ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელო

№019 (12 089)

25 იანვარი ხუთშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი 50 თეთრი



საქართველოს ჩემპიონატი.
მეორე წრის კალენდარი 5

23 თებერვალი, პარასკევი. 14:00
ბორჯომი-დინამო; ბათუმი-დილა; ოლიმპი-სიონი; მერანი-კახეთი; ლოკომოტივი-ზესტაფონი; ჩიხურა-ამერი; ვიტ ჯორჯია-ტორპედო

ჩერვიჩენკო: ან პირობები შემისრულეთ, ან ეგ ბიჭი უკან დამიბრუნეთ...

გოგუას ჰართისი დაეთარსა

მერაბ მამულაშვილი

გოგიტა გოგუას "ჰართსთან" კონტრაქტის გაფორმება გაურკვეველი ვადით გაუჯანჯლდა. მიზეზი, კლუბის ხელმძღვანელობასა და ავადსახსენებელ ანდრეი ჩერვიჩენკოს შორის მორიგი შეუთანხმებლობაა. არადა, გუშინდელი მდგომარეობით, თითქოს ყველაფერი გარკვეული იყო და ხელშეკრულების გაფორმებას წინ არაფერი უნდა დადგომოდა. თუმცა, მოულოდნელად, თავისი პირობები უკვე სკოტური კლუბის მფლობელმა ვლადიმირ რომანოვმა წამოაყენა.

ჩვენი ინფორმაციით, გუშინ გოგუას კონტრაქტზე ხელის მოწერა შესთავაზეს. მან კიდევ ერთხელ მოითხოვა ჩერვიჩენკოსთან დაკავშირება, რათა მისგან საბოლოო თანხმობა მიეღო. და სწორედ ამ დროს, აღმოჩნდა, რომ შოტლანდიელები უკვე შეთანხმებული 200 000 ევროს გადახდაზე უარს არიან და მოსკოველ "მონათმფლობელს" მხოლოდ ამის ნახევარს სთავაზობენ. ამას დაემატა კიდევ ერთი პირობა: თუ საიჯარო ვადის ამოწურვის შემდეგ გოგუასა და "ჰართსის" თანამშრომლობა არ გაგრძელდება, ჩერვიჩენკოს ავალდებულებენ, შოტლანდიელებს, საუკეთესო შემთხვევაში, 100 000 ევრო უკან დაუბრუნოს. თავიდან, "ჰართსის" მესვეურებს გაცილებით დიდი თანხა მოუთხოვიათ, მაგრამ მერე იმაზე დათანხმებულან, რამდენის გადახდასაც ახლა აპირებენ.

3

დაივიწყეთ ჩერვიჩენკო!



ფეხბურთი

რომან გარკუშა (ნ), თბილისში, ქუთაისის ტორპედოსთან მატჩის დროს

თეთრი რუსი დინამოში, ნაცნობი ბატედან: გარკუშა!

უგრინთან ვიტჯორჯიელი ფეიძრიშვილიც ვარჯიშობს 2

სპორტი

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

კარგი, ვილაპარაკოთ ფეხბურთზე...

ირაკლი ბერიაშვილი

ჩვენი პარტნიორია
CDN კავკასიის ციფრული ქსელი CAUCASUS DIGITAL NETWORK

მიხეილ აშვეთია:

შეიძლება, პარასკევს აინტრახტთან ვითამაშო...

ველოდები ლომაიას!

ინტერვიუ 3

www.kazbegi.com

გახსენი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

თბილისის დინამო

გარკუშა და ფეიქრიშვილი უგრინთან ვარჯიშობენ

დღეს დინამო შახდაგს ეთამაშება

ორი წლის წინ გარკუშამ (6) ბატეს შემადგენლობაში ტორპედოს წინააღმდეგ ითამაშა

ანთალიური შეკრებიდან თბილისში დაბრუნებული "დინამო" მშობლიურ ქალაქში განაგრძობს სამზადისს. **ნედ ზელიჩისა** და **მიროსლავ კრშკოს** წასვლის მიუხედავად "დინამოში" ახალწვეულები კიდევ გამოჩნდნენ. გუშინ ჩატარებულ წვრთნაში 23 წლის ნახევარმცველი **გიორგი ფეიქრიშვილი** გამოჩნდა, რომელიც მიმდინარე სეზონის პირველ წრეში "ვიტ ჯორჯიაში" გამორჩეული გახლდათ და ამ ცოტა ხნის წინ უკრაინულ "კრივბასში" ტესტირებას გადიოდა. მეორე ახალი ფეხბურთელი კი ბელარუსი მცველი **რომან გარკუშაა**, რომელსაც 2005 წლის 14 ივლისს, უეფას თასის გათამაშების პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე, თბილისში ქუთაისის "ტორპედოს" წინააღმდეგაც კი აქვს ნათამაშები "ბატე-ს" შემადგენლობაში.

უგრინის გუნდში ფეიქრიშვილისა და გარკუშას გამოჩენა კლუბის პრესატაშე **გიგა გვენცაძემაც** დაგვიდასტურა.

"გუშინ ვივარჯიშე "დინამოში". გუნდში კარგი ატმოსფეროა და საკმაოდ თბილად დამხვდნენ. ჩემი დიდი სურვილია "დინამოში" ვითამაშო და ამ კლუბიდანაც ვგრძნობ ჩემ მიმართ ინტერესს. ბედნიერი ვიქნები, თუკი ჩემი საკითხი დადებითად გადაწყდება და კონტრაქტს გავაფორმებ", - "ლელოსთან" საუბარში განაცხადა გიორგი ფეიქრიშვილმა.

რაც შეეხება რომან გარკუშას, მის შესახებ უცხოურ ვებგვერდებზე გარკვეული ცნობები მოვიძიეთ. გარკუშა 180 სმ სიმაღლისაა და 76 კგ-ს იწონის. მას ბორისოვოს "ბატეს" გარდა მინსკის "ზვეზდაში", ჟდანოვიჩის "დარიდასა" და მინსკის "მოტორში" უასპარეზია. რაც შეეხება მის ასაკს, აქ უკვე დილემის წინაშე აღმოვჩნდით, სხვადასხვა საიტებზე დაბადების სხვადასხვა თარიღია მითითებული, ზოგან 25 წლისაა, ზოგან – 22-ის და ზოგანაც 21-ის.

"დინამო" მეორე ანთალიურ შეკრება 27 იანვრიდან 7 თებერვლამდე გასტანს. თურქეთში თბილისელები რამდენიმე ამხანაგურ მატჩს გამართავენ. უგრინის გუნდი 29 იანვარს მარიუპოლის "ილიჩევეცს" დაუპირისპირდება, 31-ში პოლტავის "ვორსკლას", 2 თებერვალს ლვოვის "კარპატს", 4-ში უზბეკეთის მეოთხეადგილოსან "მაშალს", ხოლო 6 თებერვალს სამხრეთი კორეის "პუანგისთან" მოსინჯავს ძალებს.

დაბოლოს, დღეს, 15 საათზე, თბილისის "დინამო" დიღმის საწვრთნელ ბაზაზე საქართველოში მოსამზადებლად მყოფ აზერბაიჯანულ "შახდაგთან" ამხანაგურ მატჩს გამართავს.

დავით ცაბაძე

ბაქის ქართველი გმირი გოლს ვერ იხსენებს

აზერბაიჯანის ჩემპიონ "ბაქის" ხელმძღვანელობას შეუძლია ქართველი ახალწვეულით იამაყოს, ყოფილი ბათუმელი **ამირან მუჯირი** უმალ გახდა კლუბის შეტევების ლიდერი. თანამეგობრობის თასის B ჯგუფის გადამწყვეტ მატჩში "ბაქიმ" ამირანის ერთადერთი გოლით (52-ე წუთი) მოიგო "ლევადიასთან" და მეოთხედფინალშიც გავიდა. სამ მატჩში 32 წლის ქართველმა ორი გოლი შეაგდო. "ლევადიასთან" მატჩის შემდეგ შეხვედრის გმირი ვერაფრით იხსენებდა, როგორ შეაგდო გამარჯვების გოლი: *"ნუ მკითხავთ, ვერ ვიხსენებ გოლი როგორ გავიტანე. იმდენად გახარებული ვარ, რომ მოვიგეთ და მეოთხედფინალში გავედით. შესვენებაზე ბიჭები მივხვდით, რომ ხელიდან გვეცლებოდა მატჩი, რომელიც, წესით, უნდა მოგვეგო. ორმაგად ბედნიერი ვარ, რომ გუნდს ჩემმა გოლმა მოაგებინა"*. "ლევადიასთან" მატჩში მუჯირმა და **გოგობერიშვილმა** თავიდან ბოლომდე ითამაშეს. გოგობერიშვილი ნახევარდაცვის ცენტრში მოქმედებდა, მუჯირი კი - უფრო ფორვარდთა უკან. ამირანს პირველივე ტაიმში შეეძლო ანგარიშის გახსნა, მაგრამ ესტონელთა გოლკიპერმა იყოჩაღა. ორჯერ აუღო "ლევადიის" კიპერმა გოგობერიშვილსაც. ალეკომ ერთ-ერთ ეპიზოდში ყვითელი ბარათიც მიიღო. საერთოდ კი ჯგუფურ ეტაპზე ის ერთი გოლით შეეწია გუნდს. "ბაქი" დსთ-ის თასის მეოთხედფინალში მოსკოვის ცსკა-ს დუბლშემადგენლობას შეხვდება.

მოსკოვს მხოლოდ თარხნიშვილი შემორჩა

დანარჩენები ჰენალტებით დამარცხდნენ

თანამეგობრობის თასის გუშინდელი დღე ქართველი ლეგიონერებისთვის არცთუ წარმატებული გამოდგა. ერთადერთი ჩვენი თანამემამულე, რომელმაც ნახევარფინალს უწია, **ვაჟა თარხნიშვილია**.

მისმა "შერიფმა" მინიმალურად, მაგრამ დამაჯერებლად სძლია ბელარუსულ ბატე-ს. ტირასპოლელებმა გამარჯვების გოლი მატჩის 21-ე წუთზე გაიტანეს. თარნიშვილმა სრულად ითამაშა.

მანამდე, დღის პირველი შეხვედრა გაიმართა, სადაც ერთმანეთთან ურთიერთობა ბალტიისპირელებმა გაარკვიეს. თავდაპირველად "ვენტსპილსი" დაწინაურდა, მეორე ტაიმში "კაუნასმა" წონასწორობა აღადგინა და ნახევარფინალისტი თერთმეტმეტრიანებმა გამოავლინა. გამარჯვება "ვენტსპილსს" დარჩა. ლიტველთა შემადგენლობაში მოედანზე 90 წუთი გაატარა **გივი კვარაცხელიამ, ნუკრი მანჩხავას** კი ტრავმის გამო არ უთამაშია.

"ბაქისა" და მოსკოვის ცსკა-ს შეხვედრის ძირითადი დრო უგოლო ფრით დასრულდა, ჰენალტებით კი რუსებმა გაიმარჯვეს. აზერბაიჯანელთა რიგებში **ალექსანდრე გოგობერიშვილმაც** ითამაშა და **ამირან მუჯირმაც**.

ასევე თერთმეტმეტრიანების სერიით გამოვლინდა ნახევარფინალისტი "ფახთაქორისა" და ოფკ-ის მატჩში. ჰენალტები უზბეკებმა უკეთ შეასრულეს, თუმც მათმა წარმოშობით ქართველმა ფეხბურთელმა **დავით კოპაძემ** მეკარეს ვერ აჯობა.

ხვალ ნახევარფინალებია: "შერიფი"-"ფახთაქორი", "ვენტსპილსი"-ცსკა.

ლევან ჯანეზაშვილი

თანამეგობრობის თასის შემდეგ

ბოლნისური და მოსკოვური სიონი

ზედიზედ მესამედ, თანამეგობრობის თასზე ქართული კლუბი ჯგუფში ჩარჩა. ოღონდ იმ განსხვავებით, რომ შარშანწინ და შარშან "თბილისმა" და "დინამომ", პირდაპირ ვთქვათ, სამარცხვინოდ იასპარეზეს, "სიონს" კი ქართული ფეხბურთის სახელი არ შეურცხვენია.

საქართველოს ჩემპიონთათვის არასასურველი მოვლენები ჯერ კიდევ მოსკოვში გამგზავრებამდე კარგა ხნით ადრე განვითარდა. რუსეთთან პოლიტიკური ურთიერთობის გაფუჭება ფეხბურთზეც აისახა და "სიონის" დელეგაციის "სპორტული ნაწილი" ცხრამეტ ფეხბურთელამდე და ორ მწვრთნელამდე შეიკვეცა. ჩვენებს რუსეთის დედაქალაქამდე ჩაღწევა შემოვლითი გზით მოუხდათ. სულაც არ იქნებოდა გასაკვირი, ბოლნისელებს თამაშის ეს წესები არ მიეღოთ და არცთუ პრესტიჟულ ტურნირზე უარი ეთქვათ, მაგრამ გადაწყვეტილება არ შეუცვლიათ, რისთვისაც ვერ დავძრახავთ - თანამეგობრობის თასი ხომ, უპირველეს ყოვლისა, დიდი ბაზარია და ფეხბურთელთა სარფიანად გაყიდვის შანსი ხელიდან რომ არ გაუშვიათ, სულაც არაა გასაკვირი.

სხვა საქმეა, რომ "სიონი" მოსკოვში სანახევროდ იყო "სიონი". გუნდის ძირითად შემადგენლობაში 7 დამატებული მოთამაშე თამაშობდა. მიზეზი რთულად ასახსნელი არაა. ოლიმპურ ხუთეულს დამატებული **დარასელია** და **სილაგაძე** სოლიდური ძალაა, მათმა დროებით "გასიონელებამ" მოსკოვური წარმატებისა და ამ მოთამაშეთა საზღვარგარეთულ კლუბებში მოწყობის შანსი კი გაზარდა, მაგრამ საკითხავი ისაა, რამდენად წაადგებათ ბოლნისელებს დსთ-ის თასის გათამაშება ქართული სეზონის მეორე ნახევრისთვის მოსამზადებლად.

თავის მხრივ, "ოლიმპს", რომელიც მეორე წრისთვის ემზადება და, ფაქტობრივად, ახალ გუნდს აყალიბებს, ამ უმნიშვნელოვანეს ეტაპზე ხუთი წამყვანი ფეხბურთელი რამდენიმე დღით დააკლდა, რაც როგორც წესი, საწვრთნელი პროცესის შეფერხებას იწვევს ხოლმე. ბუნებრივია, ხუთეული "ოლიმპს" კიდევ უფრო გვიან დაუბრუნდებოდა იმ შემთხვევაში, "სიონს" დსთ-ზე ბრძოლა რომ გაეგრძელებინა. ერთი სიტყვით, არცთუ ტიპური შემთხვევაა. ვნახოთ, რა სარგებელს მოუტანს "სიონსა" და "ოლიმპს" ურთიერთთანამშრომლობის ამგვარი ფორმა. მეორე წრის დაწყებამდე დიდი დრო არაა დარჩენილი და შესაბამისად ყველაფერი მალე გამოჩნდება.

მოდით, "სიონის" სრულ მოსკოვურ განაცხადს გადავავლოთ თვალი:

მეკარეები: **ზურაბ მამალაძე, მინდია ბობღიაშვილი.**

მცველები: **მიხეილ კობაური, ლაშა ჭელიძე, გიორგი სეთურიძე, გიორგი ონიანი, ბოიომო ფრიდოლინი.**

ნახევარმცველები: **არჩილ ალავიძე, ლევან სილაგაძე, გიორგი ოქროპირიძე, ვიტალი დარასელია, თორნიკე აფციაური, ლაშა ქებაძე, გიორგი კახელიშვილი, ლევან ბაჯელიძე, გიორგი კვიტაიშვილი.**

თავდამსხმელები: **ერიკ რომეო ჩასემი, გასტონ ევოჩე, ბაჩანა ცხადაძე.**

როგორც უკვე ვთქვით, აქედან შვიდი მხოლოდ მოსკოვში იყო სიონელი, დანარჩენები კი ბოლნისური კლუბის ღირსებას საქართველოს ჩემპიონატის მეორე წრესა და თასის გათამაშებაში დაიცავენ. ამათ მოსკოვში არნაყვანილი სიონელები (**უგრეხელიძე, რაქვიაშვილი, ზ. ჭელიძე, ქურასბედიანი, სვანიძე**) და სავარაუდო ახალწვეულები დაემატებიან. კადრების შევსება კი "სიონს" აუცილებლად დასჭირდება.

თორემ, თუ სამწვრთნელო შტაბმა საჩემპიონო შემადგენლობის რამდენიმე წევრი რუსეთში არ წაიყვანა (ბოლნისელთა განცხადებით, შვიდი არასიონელი დსთ-ზე უკეთ გამოსვლის მიზნით დაიმატეს), ლოგიკურად, უნდა დავასკვნათ, რომ გუნდს შიდა ასპარეზზე წარმატების მისაღწევად, "შვიდეულზე" არანაკლებ კვალიფიციური ახალწვეულები დასჭირდება.

თანამეგობრობაზე გამოსვლას დავუბრუნდეთ და გულდაწყვეტით აღვნიშნოთ, რომ სამივე მატჩში გოლი მატჩის მიწურულს გავუშვით, უშუალო კონკურენტებმა, "კაუნასმა" და ოფკ-მ კი ზედ საფინალო სასტვენის წინ გაგვიტანეს. ამას უკვე კანონზომიერების სახე აქვს და არა შემთხვევითობის. სამწუხაროდ, მოსკოვური ტელეტრანსლაციების ხილვის საშუალება არ გვქონია და ამიტომაც, ხელაღებით ვერ ვიტყვით, რომ შეხვედრების ბოლოს მიღებული გოლი სუსტი ფიზიკური მომზადების ბრალია.

"სიონის" კიდევ ერთი დიდი მინუსი რიცხობრივი უპირატესობის გამოუყენებლობაა. გამოყენებას ვინ ჩივის, შემადგენლობის შეთხელების შემდეგ, ჩვენმა მეტოქეებმა აქეთ ისარგებლეს - მტტუ-მაც და ოფკ-მაც გოლი მაშინ გაგვიტანეს, როცა ჩვენზე ერთი ფეხბურთელით ნაკლები ჰყავდათ. გამართულ გუნდებს კი ასეთი წუნი სამიდან ორ მატჩში არ მოსდით.

ამის საპირისპიროდ, ათკაციანი შემადგენლობით დარჩენილმა "სიონმა" გოლი თავად გაუშვა. თუმც არც იმაზე დავობს ვინმე, რომ "კაუნასთან" მარცხში ლომის წილი უზბეკმა არბიტრმა **ირმატოვმა** დაიდო. ეს ტურნირის პირველ დღეს იყო, მომდევნო ორ მატჩში კი აღარავის დავუჩაგრივართ და შესაბამისად, ათკაციანი თურქმენებისა და ცხრაკაციანი სერბების გოლს ჩვენი ქვეყნის ჩემპიონები ვერავის დააბრალებენ.

ვინძლო, "სიონი" ვერც არაობიექტურ მსაჯობას გაეტეხა და ვერც ოფკ-"კაუნასის" საეჭვო თამაშს ჩაეტოვა ქვეჯგუფში, ლიტველებთან საბრძოლველად მგზავრობით გადაქანცული რომ არ გასულიყო მოედანზე. გასაგებია, რომ ბოლნისელებმა ერევანში დაუგეგმავი ღამე გაატარეს, მაგრამ არ იქნებოდა ურიგო, კლუბის ხელმძღვანელობას თადარიგი რომ დაეჭირა და "სიონი" თბილისიდან ერთი დღით ადრე მაინც დაძრულიყო. "კაუნასი" მოსკოვს ტურნირის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე სწვევია, რაც ლიტველთა გამჭრიახობაზე მეტყველებს, ჩვენთვის კი, შედარებით მოკრძალებული ფინანსური შესაძლებლობების მიუხედავად, თავის გასამართლებელ საბუთად ვერ გამოდგება.

მეკარის უპატიებელ შეცდომაზე "სიონი"-ოფკ-ის მატჩის მიმოხილვიდან წაიკითხავდით და ვფიქრობთ, ამ თემის განვრცობა და ყველაფრის მამალაძისთვის გადაბრალება არ იქნება მიზანშეწონილი. მეკარეთა პრობლემა კარგა ხანია, გვიდგას, ამაზე ბევრი ითქვა და დაიწერა, საქმეს კი მკვდარი წერტილიდან დაძვრისა არაფერი ეტყობა. საშუალო ევროპული კლასის მეკარე "სიონს" კი არა, საქართველოს ნაკრებს არ ჰყავს და გასაკვირი უფრო ის იქნებოდა, ამ მხრივ, ბოლნისელთა გოლკიპერი რომ ყოფილიყო შეუცდომელი. არადა, ზურას მთელი მატჩი მაღალ დონეზე ჩაუტარებია და სადაც სამართალია, "სიონი" ჯგუფში მისი მიზეზით არ უნდა ჩარჩენილიყო.

ამ უდღეური და ამავდროულად, უკვე თხუთმეტწლოვანი ტურნირის ისტორიაში "სიონი" ცხრაკაციანი მეტოქისგან მიღებული გოლითაც შევა.

ზოგადად კი, კიდევ ერთხელ გავიმეოროთ, საქართველოს ჩემპიონები მოსკოვში ასე თუ ისე, ღირსეულად გამოვიდნენ. სიონელებმა მოედანზე მაქსიმუმი გაიღეს, მოედნისმიღმაც სამაგალითონი იყვნენ და "თბილისის" ფეხბურთელთა მსგავსად, მათთვის ექსკურსანტები არავის უწოდებია. პირიქით, თურმე რუს გულშემატკივრებს აპლოდისმენტებითაც გამოუცილებიათ.

ერთი სიტყვით, მოსკოვური ფორმაციის "სიონი" ღირსეული გუნდი იყო, მაგრამ რამდენიმე უარყოფითმა მომენტმა, რომლებზეც უკვე გესაუბრეთ, საქართველოს ჩემპიონები მეოთხედფინალსმიღმა დატოვა. დღეიდან მოსამზადებელ ეტაპს ძველსახედაბრუნებული "სიონი" განაგრძობს.

ლევან ჯანეზაშვილი

www.kazbegi.com

გაზეთი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

მიხეილ აშვეთია

ინტერვიუ მიხეილ აშვეთიასთან

ტოპრეკომენდაცია

აშვეთია ჩაირიცხა, კვირას ლომაიას ელიან

ნაკრების სათავეში კლაუს ტოპმიოლერის მოსვლის შემდეგ, გერმანელთა მხრიდან ქართველ ფეხბურთელებზე მოთხოვნა მნიშვნელოვნად გაიზარდა. ორი დღის წინ ქართული ლეგიონი გერმანიაში კიდევ ერთი ფეხბურთელით გაიზარდა – "კარლ ცაისთან" კონტრაქტი მიხეილ აშვეთიამ გააფორმა. როგორც ირკვევა, აშვეთიას ტრანსფერში დიდი როლი ითამაშა ტოპმიოლერის დადებითმა რეკომენდაციამ.

"კარლ ცაისს" საქართველოს ნაკრების ფორვარდი მიხეილ აშვეთია დაემატა და, სავარაუდოდ, მისი დებიუტი 26 იანვარს ბრაუნშვაიგში, "აინტრახტთან" მატჩში შედგება. აშვეთიას თაობაზე იენელთა გუნდის თავკაცი ჰაიკო ვებერი ტელეფონით ესაუბრა საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელ კლაუს ტოპმიოლერს.

- ის "ბაიერნისა" და "ვერდერის" დონის თავდამსხმელი არაა, მაგრამ მეორე ბუნდესლიგაში გამორჩეული იქნება და ძალზე წაგადგებათ. ის აქტიურია და კარგი ფორვარდისთვის დამახასიათებელი ყველა თვისება აქვს", - ამ სიტყვებით დაუხასიათა ჰაიკო ვებერს კლაუს ტოპმიოლერმა მიხეილ აშვეთია", - წერს "ბილდი".

გუშინ გვიან ღამით გაირკვა გიორგი ლომაის საკითხი. "ვერდერის" ასაკოვანმა მეკარე ანდრეას რაინკემ იენელები უარით გაისტუმრა და გერმანელებმაც არჩევანი საქართველოს ნაკრების კარის დარაჯზე შეაჩერეს. ლომაია კვირას იენაში ჩავა და წესით, რამდენიმე დღეში კონტრაქტიც უნდა გააფორმოს. ინფორმაცია თავად ლომაიამ დაგვიდასტურა. მასთან ინტერვიუს ხვალინდელ ნომერში შემოგთავაზებთ, დღეს კი ჩვენი რესპონდენტი მიხეილ აშვეთიაა.

- ჯერ ის გვითხარი "რუბინიდან" წასვლის შემდეგ რა მოხდა...

-"რუბინთან" კონტრაქტი დამიმთავრდა, მაგრამ ერთი პერიოდი ყაზანელები კვლავ შეეცადნენ ჩემთან ხელშეკრულების გახანგრძლივებას. საბოლოოდ პირობებზე ვერ შევთანხმდით. მერე აგენტის დახმარებით, უკრაინული "ილიჩევეცის" ვარიანტი გამოჩნდა და მარიუპოლელებს თურქულ შეკრებაზე შევუერთდი. ორ საკონტროლო მატჩში ვითამაშე, მწვრთნელ ივან ბალანს მოვეწონე კიდეც და უკრაინაში დაბრუნებისთანავე კონტრაქტი უნდა გამეფორმებინა. თუმცა, იხვე აგენტი დამიკავშირდა და "კარლ ცაისის" ვარიანტზე მითხრა. დიდი დრო არ მქონდა, უცებ ავწონ-დავწონე ყველაფერი და უკრაინას ისევ მეორე ბუნდესლიგა ვამჯობინე.

- გერმანიაში როგორ შეგხვდნენ?

- აეროპორტში კლუბის სპორტული დირექტორი, პოსტსაბჭოთა ფეხბურთში კარგად ცნობილი სერგეი კირიაკოვი საკმაოდ თბილად დამხვდა. კლუბის სხვა თავკაცებთან და მწვრთნელებთან სწორედ მან წარმადგინა.

- გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ჰაიკო ვებერმა რა გითხრა?

- ცოტა ხანს ვისაუბრეთ. "კარლ ცაისი" მეორე ბუნდესლიგაში ერთ-ერთი აუტსაიდერია და როგორც მითხრეს, აქ იმისთვის მიხმეს, როგორმე ადგილი უნდა შევინარჩუნოთო. ვატყობ, რომ "კარლ ცაისის" ხელმძღვანელობას საკმაო მონაცემები აქვს ჩემი სანაკრებო და საკლუბო კარიერის შესახებ. ისინი მენდობიან და ყველაფერს გავაკეთებ მათი ნდობა რომ გავამართლო.

- იენელები კლაუს ტოპმიოლერსაც დაკავშირებიან...

- ეგ არ ვიცი, მაგრამ მთავარი მწვრთნელი ჰაიკო ვებერი ჩემი თანდასწრებით, ტელეფონით ესაუბრა რალფ მინგეს. მინგემაც სათანადოდ დამახასიათა. ნაკრების მწვრთნელებს "ლელოს" მეშვეობით მინდა მადლობა გამოვუცხადო.

- რა სახის კონტრაქტი გააფორმე?

- კონტრაქტი სამშაბათს, 23 იანვარს გავაფორმე და მერე გუნდთან ერთადაც ვივარჯიშე. ხელშეკრულება ჯერ ამ სეზონის ბოლომდე მაქვს. თუკი კარგად აგვეწყო საქმე და მეორე ბუნდესლიგაში დავრჩით, შესაძლოა, კონტრაქტი გავაგრძელო კიდეც. ერთი სიტყვით, ამას სეზონის ბოლოს გადავწყვეტ.

- "კარლ ცაისს" გიორგი ლომაიას დამატებაც უნდა. ასეა?

- კი, ლომაიაზე მეც მკითხეს. როგორც ვიცი, გიორგი კვირას იენაში უნდა ჩამოვიდეს.

- ახალი კლუბის განაცხადში უკვე შეგიყვანეს?

- იენელებმა ამაზეც იზრუნეს. სატრანსფერო ფურცელი უკვე ჩამოვიდა რუსეთიდან და ხვალ მაისურასაც გადმომცემენ.

- ე.ი. "აინტრახტთან" უნდა ითამაშო...

- კი, ყველაფერი აქეთკენ მიდის.

- როგორ ფიქრობ, ძირითადში გაგამწესებენ?

- მთავარ მწვრთნელ ჰაიკო ვებერთან ამაზეც მქონდა საუბარი. ორ ტაიმს სათანადოდ ჯერ ვერ ვითამაშებ. ბრაუნშვაიგში ალბათ უფრო მეორე ტაიმიდან ჩავერთვები თამაშში. მომდევნო ტურში კი უკვე ორ ტაიმსაც შევძლებ.

- ბინასაც მალე შეარჩევ?

- ვფიქრობ, ამ საკითხს ბრაუნშვაიგიდან დაბრუნების შემდეგ მოვაგვარებ. იენა კარგი ქალაქია, დავათვალიერებ და სათანადო ბინის არჩევაც არ გამიჭირდება.

დავით ცაბაძე

მოსალოდნელი ტრანსფერი

გოგუას ჰართსი დაეთარსა

პირველი გვერდიდან



რა დიდი მიხვედრა უნდა, რომ ჩერვიჩენკო ქვას ააგდებდა და თავს შეუშვერდა. ჰოდა, შეუთვალა კიდეც ედინბურგელებს, ან ძველი პირობა შეასრულეთ, ან ეგ ბიჭი უკან დამიბრუნეთო.

საინტერესოა, რომ გუშინ ზოგიერთ ვებგვერდზე გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს გოგუამ "ჰართსთან" კონტრაქტი უკვე გააფორმა და ივარჯიშა კიდეც. მაგრამ ეჭვს იწვევდა ის, რომ თავად კლუბის ოფიციალური გვერდი სდუმდა. ისე, ქართველ ნახევარმცველს მართლა უვარჯიშია და **ვალდას ივანაუსკასის** მოწონებაც დაუმსახურებია, მაგრამ... ერთი სიტყვით, გოგუა სრულ გაურკვევლობაშია. როგორ ახლოს იყო "ჰართსი"... მაგრამ იმედი ვიქონიოთ, რომ ამ თრილერს მალე დაესმება წერტილი.

გუშინ მეტის დაზუსტება ვეღარ მოხერხდა, ბევრი რამ დღეს გახდება ცნობილი და ისღა დაგვრჩენია, მოვლენათა განვითარებას დაველოდოთ. ნებისმიერ შემთხვევაში, თუ მხარეები ისევ აპირებენ მოლაპარაკებას, ეს 31 იანვრამდე უნდა გაკეთონ, თორემ დაიხურება სატრანსფერო ფანჯარა და...

19-წლამდელთა ნაკრები

ფრეს დავჯერდით



ჰაინც ტოპმიოლერი

არაკლისფორი- საქართველო 1:1

1:0 უნალი (48), 1:1 ხიდეშელი (73. ყენიას პასით).

საქართველო: რ. კვასხვაძე, ბენაშვილი, თომაშვილი, ქვრივიშვილი, სანაია (60. სალარიძე), წულაძე (60. ხიდეშელი), ნ. კვასხვაძე, თარგამაძე, მჭედლიძე, ყენია, დაუშვილი (70. ჯანელიძე).

ტრაბზონში, თურქეთის ეროვნული ნაკრების საწვრთნელ ბაზაზე დაბინავებულმა საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა გუშინ დასკვნითი საკონტროლო მატჩი გამართა. **ჰაინც ტოპმიოლერის** გუნდი მესამე ლიგაში (რიგით მეოთხეში) მოასპარეზე "არაკლისფორს" დაუპირისპირდა. ბუნებრივია, დაბალ ლიგაში მოასპარეზე მოწინააღმდეგესთან ჭიდილში ფავორიტად ჩვენი გუნდი იყო შერაცხული. წინა შეხვედრაში დაშავებული **მირზა ბჟალავას** ნაცვლად, გუნდს **გულვერდ თომაშვილმა** უკაპიტნა.

ფეხბურთის ფედერაციის პრესცენტრის ცნობით, 48-ე წუთზე, გოლი ჩვენი იერიშის ჩაშლასა და მეტოქის სწრაფ კონტრშეტევას მოჰყვა. მანამდე კი პირველი ნახევარი გარდამავალი უპირატესობით წარიმართა. ხიფათი ორივე გუნდის კართან იქმნებოდა. რამდენჯერმე ქართველებს მიეცათ გოლის გატანის შანსი, თურქთა შეტევებიც მწვავე იყო, მაგრამ ჭაბუკთა ნაკრების მეკარე **როინ კვასხვაძე** ჩინებულად ირჯებოდა, რის გამოც ეს გოლკიპერი მატჩის შემდეგ ჰაინც ტოპმიოლერმაც გამოარჩია.

მეორე ტაიმის დასაწყისში მიღებულმა ბურთმა, ქართველები გاააქტიურა. 73-ე წუთზე **ლევან ყენიას** მიერ მონოდებული კუთხურისას, თანაგუნდელთა დასახმარებლად მეტოქის საჯარიმოში ჩასულმა **გიორგი ხიდეშელმა** იმარჯვა და ზუსტი თავურით წონასწორობა აღადგინა - 1:1.

"მართალია, "არაკლისფორში" ჩვენს მოთამაშეებზე 5-6 წლით უფროსი ფეხბურთელები ასპარეზობდნენ, მაგრამ ეს მომენტი კმაყოფილების საბაბს ნამდვილად არ გვაძლევს. ამ მატჩში, ჩვენი გუნდიდან მეკარე როინ კვასხვაძეს გამოვარჩევდი. საერთო ჯამში კი ამ შეკრებით კმაყოფილი ვარ. ეს მზადება გუნდს სჭირდებოდა და ეს კიდევ არაერთხელ გამოჩნდება", - მატჩის შემდეგ განაცხადა 19-წლამდელთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა.

ჩვენი ჭაბუკები **პეტარ სეგრტის** თანხლებით, დღეს დილით სამშობლოსკენ აიღებენ გეზს.

დაბოლოს, გუშინ აზერბაიჯანული ვებგვერდების მიერ გავრცელებული ცნობა მოვიძიეთ, რომლის მიხედვითაც ევროპის ჩემპიონატის ელიტრაუნდში გასული აზერბაიჯანის 19-წლამდელთა ნაკრები 23 და 25 აპრილს ბაქოში ჰაინც ტოპმიოლერის გუნდს ამხანაგურ მატჩებში დაუპირისპირდება. წყაროს მტკიცებით ამ თამაშების ჩატარება გადაწყვეტილია და ეს აზერბაიჯანელი ჭაბუკების მწვრთნელმა არიფ ასადოვმა თავადვე განუცხადა პრესას. ინფორმაცია გადავამოწმეთ და როგორც ირკვევა, ჯერჯერობით, გადაწყვეტილი არაფერია.

"აზერბაიჯანელებთან მართლაც გვაქვს მოლაპარაკებები. ისინი თანახმანი არიან, ჩვენს 19-წლამდელთა ნაკრებს 23 და 25 აპრილს ბაქოში უმასპინძლონ. თუმცა აზერბაიჯანული მხარისთვის საბოლოო თანხმობა ჯერ არ გაგვიგ ზავნია.

პარალელურად უკრაინისა და ლატვიის 19-წლამდელთა ნაკრებებთანაც ვანარმოებთ მოლაპარაკებებს გასვლითი ამხანაგური მატჩის გამართვასთან დაკავშირებით. თუკი მათთან ზემოთნახსენებ თარიღზე ვერ შევთანხმდით, მაშინ ბაქოში თანხმობას გავაგ ზავნით. ეს საკითხი მალე საბოლოოდ გადაწყდება", - თურქეთში დაკავშირებისას გვითხრა ნაკრები გუნდების მენეჯერმა **თამაზ ბოკერიამ**.

დავით ცაბაძე

სკონტო მეტალურგთან შერცხვა

გუშინ თურქეთში. პირველი საკონტროლო მატჩები გამართეს დონეცკის "მეტალურგმა" და რიგის "სკონტომ". **კო ადრიაანსესა** და **პოლ ეშუორტის** კლუბები ერთმანეთს შეხვდნენ, უკრაინელებმა 4:2 იმარჯვეს. ლატვიელთა გუნდში ორმა ქართველმა ითამაშა, გამოჯანმრთელებულმა **ზაალ ელიავამ** მარცხენა ფლაგნზე, ხოლო **დავით გამეზარდაშვილმა** დაცვის ცენტრში. არ უთამაშია "სკონტოს" ახალწვეულ **რევაზ გენაძეს**. რაც შეეხება უკრაინელ ქართველებს, **გიორგი დემეტრაძე** "მეტალურგის" შემადგენლობაში მეორე ტაიმში გამოჩნდა, მან ფლანგზე ითამაშა, მაგრამ გოლის გატანა ვერ მოახერხა.

გვაზავა კრილიაში ისინჯება

გუშინ თურქეთში სამარის "კრილია სოვეტოვმა" საკონტროლო მატჩი ითამაშა ლვოვის "კარპატისთან". თავიდანვე ცნობილი იყო, რომ მცირე ტრავმის გამო ამ შეხვედრაში ვერ ითამაშებდა **დავით მუჯირი**, მაგრამ მოულოდნელად ქართველი ამ თამაშში მაინც ვიხილეთ. "კრილია სოვეტოვში" სინჯებზე ყოფილა ქართველი ნახევარმცველი **ლევან გვაზავა**, რომელმაც გასული სეზონის მეორე ნახევარი ნალჩიკის "სპარტაკში" გაატარა. გვაზავა "კარპატისთან" მატჩში 33-ე წუთზე ჩაერთო თამაშში და ხნ-ეზე შეცვალეს. სხვათა შორის, რუსულ პრემიერლიგაში გვაზავას ორი გოლი აქვს გატანილი და ორივე "კრილიას" კარში. მატჩი "კარპატიმ" 2:1 მოიგო. თამაშში "კრილიას" მწვრთნელმა თითქმის ყველა მოთამაშე შეცვალა და გვაზავას შეცვლაც ამით იყო განპირობებული.

ნიკოლოზ ნეფარიძე

www.kazbegi.com

გაზეთი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტოქე. შოტლანდია

მაკლიში მომავალ კვირას...

საფეხბურთო ასოციაცია სარეზერვო ვარიანტსაც იტოვებს



ალექს მაკლიში

გუშინ დილით გავრცელებული ინფორმაციით, შოტლანდიის საფეხბურთო ასოციაციას, საღამოთი, **ალექს მაკლიში** მთავარ მწვრთნელად უნდა დაემტკიცებინა. მაგრამ მოხდა ისე, რომ ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი **დევიდ ტეილორი** უეფას კონგრესზე გაემგზავრა და მწვრთნელის დანიშვნა გადაიდო, სავარაუდოდ, ორშაბათისთვის.

თუმცა ასე ხელაღებით თქმა, რომ ვაკანტური პოსტი მაინცდამაინც მაკლიშმა უნდა დაიკავოს, მთლად სწორიც არ იქნება. მართალია, "რეინჯერსის" ყოფილ მწვრთნელს ასოციაციასთან ორი წარმატებული მოლაპარაკება ჰქონდა და ტეილორიც ფრიად კმაყოფილი დარჩა, ეს უკანასკნელი მაინც ინახავს სარეზერვო ვარიანტს **გარი მაკალისტერის** სახით. დიახ, მომავალი მწვრთნელი სწორედ ამ ორიდან ერთ-ერთი იქნება. რა თქმა უნდა, მაკლიში გაცილებით ძლიერი კანდიდატია. თუ ზოგიერთ ბრიტანულ მედიასაშუალებას ვენდობით, მასთან ხელშეკრულების გაფორმება საქმის მხოლოდ ფორმალური ნაწილია, თითქოსდა, ასოციაციასა და მაკლიშს შორის მეორე შეხვედრისას ყველაფერი გარკვეულა. მაკალისტერი კი იმიტომ ყოფილა საჭირო, რომ ტეილორმა უბრალოდ კონკურენციის იმიტაცია შექმნას. ეს არის და ეს.

გუშინ ღამით ერთ-ერთმა ვებგვერდმა ასეთი ინფორმაციაც გაავრცელა, აქაოდა, მაკლიშმა ასისტენტად, შეიძლება, მაკალისტერი მიიწვიოსო. თუმცა უმეტესობა მაინც **ენდი უოტსონისკენ** იხრება. ეს კაცი მისტერ ალექსს "ჰიბერნიანსა" და "რეინჯერსში" ეხმარებოდა. ამასობაში, გამოქვეყნდა ასოციაციის პრესსამსახურის განმარტებაც იმასთან დაკავშირებით, რომ ეს უწყება მოვლენათა ფორსირებას არ აპირებს:

"ამ მომენტისთვის გადაწყვეტილი არაფერია. მართალია, საფეხბურთო ასოციაცია უკვე ანარმოებს მოლაპარაკებას კონკრეტულ კანდიდატთან, მაგრამ საბოლოო შეთანხმებამდე საქმე ჯერ არ მისულა. აჩქარების საჭიროებას ვერ ვხედავთ. ერთი რამ ნათელია, რომ შოტლანდიის ნაკრების ახალმა მწვრთნელმა საფუძველი უნდა ჩაყაროს იმისთვის, რომ წარმატებით გამოვიდეთ 2010 წლის მუნდიალზე, თუმცა მიმდინარე შესარჩევი ციკლი კარგად დავიწყეთ და უკან დახევას არ ვაპირებთ".

ინტერვიუ ვალერი გიორგობიანთან

ფედერაციის პრეზიდენტად ახალგაზრდა, ყოფილი ფეხბურთელი წარმოვიდგენია

2007 წელს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებია. მზადება პრეზიდენტობის კანდიდატებმა რა თქმა უნდა, უკვე დაიწყეს. თუმცა, ჯერ მხოლოდ ორი მათგანის განზრახვაა ცნობილი. მამუკა კვარაცხელიამ დიდი ხანია ჩანაფიქრი გაამხილა, "ლელოს" გუშინდელ ნომერში კი ვლადიმერ გუცაევმა არ გამორიცხა არჩევნებში მონაწილეობა.

ეს უკვე პირდაპირი ნიშანი უნდა იყოს, რომ კანდიდატები ვითარების დაზვერვიდან საქმეზე გადადიან. რას ფიქრობს ამის თაობაზე საპარლამენტო უმრავლესობის სპორტული მიმართულების კურატორი ვალერი გიორგობიანი, ვფიქრობთ, საინტერესოცაა და საყურადღებოც.

- ფეხბურთის ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნები შორს არაა. მამუკა კვარაცხელიამ და ვოვა გუცაევმა პოზიცია უკვე დააფიქსირეს. თქვენი აზრით, რამდენად რეალურია, რომ ახალკაცი პოსტს შეელიოს?

- მე ვფიქრობ, რომ ფედერაციის დღევანდელი ხელმძღვანელობა წავა, იმიტომ, რომ დღემდე იტყუება და რეალურად საქმეს ვერ აკეთებს. შესაძლოა, ფედერაციის თავკაცებს ტყუილი არც სურთ, მაგრამ საქმეს ვერ აკეთებენ.

მაგალითად მოვიყვან "ქორთიარდ მარიოტში" დიდი ხმაურით ჩატარებულ პრეზენტაციას. იქ ფედერაციამ ბავშვთა ფეხბურთის განვითარების პროექტი წარმოადგინა. არც მაშინ მჯეროდა, რომ ამ პროექტს განახორციელებდნენ და ასეც მოხდა. მას შემდეგ რაიმე გაკეთდა? სადაა დაპირებული საქმეები?

ამაზე მწყდება გული, თორემ ახალკაცს პიროვნულად კი არ ვერჩი. გააკეთონ საქმე, ფეხბურთი განავითარონ და პრეტენზიაც არავის გაუჩნდება.

- საერთოდ, რას ელოდით ფედერაციის დღევანდელი ხელმძღვანელობისგან და რა მიიღეთ შედეგად?

- ჩვენთვის მნიშვნელოვანია სპორტის პოპულარულ სახეობებში წარმატების მიღწევა, ფეხბურთში, რაგბში, ჭიდაობაში, კალათბურთში და ა.შ. წარმატება და პლუს სახეობის განვითარება თვალსაჩინო უნდა იყოს.

ახალკაცმა ფეხბურთის განვითარების პროგრამა წარმოადგინა, მაგრამ გამოვიდა, რომ ჩვენ ვილაცამ მოგვატყუა. ამ პროგრამიდან რა გაკეთდა? ტოპმიოლერში ოთხი მილიონი ევრო გადაგვახდევინეს და რა შედეგს მიაღწია ნაკრებმა? ჩივაძემ გუნდი მესამე ადგილზე გაიყვანა და მილიონებს არავინ უხდიდა, ხელფასი 1000 ლარი ჰქონდა.

ამას აჯობებდა, დალოდებოდნენ კენჭისყრის შედეგებს და ვინმე სხვა ჩამოეყვანათ, რომელიც ამხელა თანხას არ მოითხოვდა.

საფრანგეთთან და იტალიასთან შევრცხვით. ტოპმიოლერმა ვერც ახალი, ნიჭიერი ბიჭები აღმოაჩინა.

- გაიოზ დარსაძემ დაიწყო ნაკრებში ახალგაზრდების დაწინაურება და ახალკაცს პირველად სწორედ მაშინ დაუპირისპირდით.

- იმიტომ, რომ მაშინ დარსაძე ობიექტურად არ არჩევდა მოთამაშეებს. ან ახლაც, თუკი ახალგაზრდებს იწვევენ, რა ნიშნით არჩევენ, არ იცით? ვინ არჩევს ნაკრებისთვის ხალხს და ვისთან ერთად დადიან ნაკრების მწვრთნელები? დარსაძე აღარ ერევა?

- ის ხომ ფედერაციას ჩამოშორდა?

- მე პიროვნებასთან არ მაქვს პრეტენზია, მაგრამ საქმე არ კეთდება. გვინდა, რომ ფეხბურთი განვითარდეს, ამ დროს საპირისპირო ხდება.

- კულუარული ინფორმაციით, რამდენიმე კანდიდატურას ხელისუფლება კვევ განიხილავს. საუბარია ნაკრების ყოფილ მოთამაშეებზე, გიორგი ნემსაძესა და მიხეილ ყაველაშვილზე, გამოჩნდა ვოვა გუცაევის კანდიდატურაც.

- პირდაპირ ვამბობ, რომ ხელისუფლებას არჩევნების შედეგებზე გავლენის მოხდენის არანაირი სურვილი არ გააჩნია. თუმცა, რაღა თქმა უნდა, ფეხბურთში განვითარებული მოვლენებისადმი გულგრილი ვერ დავრჩებით.

ჩემი პოზიცია ასეთია - ვისურვებდი, რომ ქართული ფეხბურთის სათავეებთან მოვიდეს პროგრესულად მოაზროვნე ადამიანი, რომელიც ფეხბურთელი იყო და უკეთ ერკვევა პრობლემებში.

- ასეთი სამივეა - გუცაევი, ნემსაძე და ყაველაშვილი.

- გუცაევი ჩემი კოლეგაა და უდიდეს პატივს ვცემ. სამივეს გვერდში დავუდგები. თუმცა, უკეთესი იქნება, ადგილი უფრო ახალგაზრდა კანდიდატებს დავუთმოთ. ჩვენ არჩევნებში არ ჩავერევით, მაგრამ შედეგებზე პასუხს მოვთხოვთ.

- რას ფიქრობთ პრეზიდენტობის კანდიდატ მამუკა კვარაცხელიაზე?

- მამუკა ძალიან კარგი ბიჭია, ვერცხლისწყალივით მოძრავი და ფედერაციის საქმიანობაზე ბევრ სიმართლესაც ამბობს. მე ვფიქრობ, რომ ქართულ ფეხბურთში მისი ადგილი უნდა მოიძებნოს.

მე გამიგია, რომ ტოპმიოლერი და მისი გუნდი ტრანსფერებში ერევა. და ეს იმ დროს, როდესაც ისედაც სოლიდურ ხელფასებს იღებენ.

მერაბ მამულაშვილი

მეორე წრის წინ

გოლების წვიმა

სპარინგიც ამას ჰქვია - ამხანაგური მატჩი ქუთაისის "ტორპედოსა" და "ამერი 2-ს" შორის დიდი ანგარიშით 5:4 დასრულდა. ქუთაისელთაგან ჰეთ თრიკის შესრულება, შეცვლაზე შესულმა **მამუკა ღონღაძემ** შეძღო, დანარჩენი ორი ბურთი კი **მაღლაფერიძემ** და **ჭედიამ** გაიტანეს. ამერელთაგან კი თავი გამოიჩინეს **სილაგავამ, სევასტოპულომ, ფოცხვერიამ** და გორის "დილადან" ახლახან გადმოსულმა **ვაჩეიშვილმა**.

მატჩი რომ კარგი საყურებელი იყო, ანგარიშიდანაც ჩანს. თამაში მაღალ ტემპში დაიწყო, ტორპედოელები ბურთს ფლობდნენ და შედეგმაც არ დააყოვნა 0:1. ამის მერე ბურთს კვლავ ქუთაისელები ფლობდნენ, მაგრამ ერთ-ერთ ეპიზოდში მეკარის საჯარიმოში შექმნილი არეულობით თბილისელებმა ისარგებლეს და ანგარიში გაათანაბრეს.

პირველი ტაიმი 2:2 დასრულდა. უპირატესობას პირველ ტაიმში ძირითადად ქუთაისელები ფლობდნენ, ცენტრიც ეპყრათ და ბურთსაც მეტს აკონტროლებდნენ.

მეორე ტაიმში, მეტოქეებმა უფრო გახსნეს თამაში. ტორპედოელებს დასაწყისშივე შეეძლოთ დაწინაურება, მაგრამ პენალტი ვერ გამოიყენეს.

სუსტად გამოიყურებოდა ამერელთა დაცვა და შეიძლება ითქვას, რომ გაშვებული ხუთი ბურთი, მეტწილად მათი დამსახურებაა.

მეოთხე გოლი ქუთაისელებმა მეკარის შეცდომის გამო გაუშვეს - გოლკიპერმა პირდაპირ მონინააღმდეგეს დაუგორა ბურთი და მანაც შეირგო საჩუქარი. უკვე 5:4 იყო, როდესაც "ტორპედოს" კარში პენალტი დაინიშნა, მაგრამ ვერც თბილისელებმა შეძლეს ასეთი შანსის გამოყენება, **მშვილდაძის** დარტყმული მეკარემ მოიგერია და ვერც დამატებაზე ივარგა ვინმემ.

ტორპედოელთაგან ითამაშეს *კოდალაევმა, კილასონიამ, დოღონაძემ, თურქიაშვილმა, ჭედიამ, ნადირაძემ, კვეტენაძემ, ლაღაძემ, ზივზივაძემ ღონღაძემ, ჩხეტიანმა, წიქარიშვილმა, მახარაძემ, ქვილითაიამ, ნაჭყებიამ, უგრეხელიძემ* და **გვილავამ.**

ამერელთაგან მოედანზე გავიდნენ **ნაჭყეპია, ნატროშვილი, ბერიანიძე, მეტონიძე, ვაჩეიშვილი, შენგელია, სილაგავა, გიგიაძე, ნაბრია, სევასტოპულო, გვენცაძე, ჩიკვილაძე, გაბრიჩიძე, ფარფალია, კობავა, ბოჯგუა, სიჭინავა, გადელია, ქავთარაძე, მშვილდაძე** და **ფოცხვერია.**

მატჩის შემდეგ თბილისელთა მწვრთნელი **დავით მახარაძე** სინჯებზე მყოფი ფეხბურთელებით უკმაყოფილო იყო: *"ჩვენთვის ეს პირველი თამაში იყო, პირველი ტაიმით კმაყოფილი ვარ. მეორე ტაიმში გასასინჯი ფეხბურთელები შევიყვანე, მაგრამ თავი ვერ მოგვაწონეს. ჯერ სამი კვირაა რაც ვარჯიში დავიწყეთ. შემდეგი სპარინგ-მატჩებს ჯერ 26 იანვარს "დინამო 2-თან", შემდეგ კი 28 იანვარს "ცხუმთან" გავმართავთ".*

კმაყოფილი არც „ტორპედოს" მწვრთნელი **გიორგი კიკნაძე** იყო: *"ჩვეულებრივი ამხანაგური თამაში იყო. ფეხბურთელების შერჩევა გვინდოდა, მაგრამ იმედები ვერ გაამართლეს. ყველაზე ამას ვერ ვიტყვი. მომავალშიც გვექნება ამხანაგური მატჩები და მათ კიდევ მიეცემათ თავის გამოჩენის შანსი."*

ავთო ცეცხლაძე



გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.kazbegi.com

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს XVIII

უმაღლესი ლიგა. II წრე. კალენდარი ჩემპიონატი

სულ

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. ოლიმპი	13	10	2	1	32-5	32
2. ვიტ ჯორჯია	13	9	3	1	30-16	30
3. ამერი	13	9	3	1	28-8	30
4. ზესტაფონი	13	9	3	1	22-3	30
5. დინამო	13	9	0	4	24-11	27
6. ტორპედო	13	7	3	3	16-8	24
7. სიონი	13	7	2	4	19-10	23
8. ლოკომოტივი	13	4	2	7	10-17	14
9. ბორჯომი	13	3	3	7	15-25	12
10. მერანი	13	3	2	8	9-26	11
11. ჩიხურა	13	2	4	7	10-22	10
12. ბათუმი	13	2	3	8	10-14	9
13. დილა	13	0	3	10	6-38	3
14. კახეთი	13	0	1	12	9-37	1

შინ

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. ამერი	8	7	1	0	19-2	22
2. ოლიმპი	6	6	0	0	20-2	18
3. დინამო	7	6	0	1	16-4	18
4. ზესტაფონი	7	5	2	0	12-0	17
5. ვიტ ჯორჯია	6	5	1	0	15-8	16
6. ტორპედო	7	4	2	1	9-4	14
7. სიონი	7	4	1	2	11-3	13
8. ლოკომოტივი	6	4	0	2	8-7	12
9. ჩიხურა	6	2	3	1	6-7	9
10. ბორჯომი	6	1	3	2	9-12	6
11. ბათუმი	6	1	1	4	5-7	4
12. მერანი	5	0	1	4	1-10	1
13. კახეთი	7	0	1	6	7-16	1
14. დილა	7	0	1	6	1-19	1

სტუმრად

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. ოლიმპი	7	4	2	1	12-3	14
2. ვიტ ჯორჯია	7	4	2	1	15-8	14
3. ზესტაფონი	6	4	1	1	10-3	13
4. სიონი	6	3	1	2	8-7	10
5. ტორპედო	6	3	1	2	7-4	10
6. მერანი	8	3	1	4	8-16	10
7. დინამო	6	3	0	3	8-7	9
8. ამერი	5	2	2	1	9-6	8
9. ბორჯომი	7	2	0	5	6-13	6
10. ბათუმი	7	1	2	4	5-7	5
11. ლოკომოტივი	6	0	3	3	2-9	2
12. დილა	6	0	2	4	7-17	2
13. ჩიხურა	7	0	1	6	4-15	1
14. კახეთი	6	0	0	6	2-21	0

ბომბარდირები

გელაშვილი (ვიტ ჯორჯია)	8
დოლიძე (ამერი)	7
ტატანაშვილი (ამერი)	7
იოანიძე (ზესტაფონი)	7
გ. დათუნაიშვილი (ვიტ ჯორჯია)	7
ფიფია (ზესტაფონი)	6
იაშვილი (დინამო)	6
ა. ალავიძე (სიონი)	5
გოგოხიძე (დინამო)	5
ჩასემი (სიონი)	5
ფეიქრიშვილი (ვიტ ჯორჯია)	4
გოჩაშვილი (ლოკომოტივი)	4
დვალიშვილი (ოლიმპი)	4
სირბილაძე (ოლიმპი)	4
ქიბაძე (ოლიმპი)	4
სავჯაია (ზესტაფონი)	4
გამეზარდაშვილი (ტორპედო)	4
კიკნაძე (ბორჯომი)	4
ხუციშვილი (დინამო)	4
წინამძღვრიშვილი (ამერი)	4
კახელიშვილი (ოლიმპი)	4

XIV ტური
14:00. 23 თებერვალი. პარასკევი

ბორჯომი-დინამო
ბათუმი-დილა
ოლიმპი-სიონი
მერანი-კახეთი
ლოკომოტივი-ზესტაფონი
ჩიხურა-ამერი
ვიტ ჯორჯია-ტორპედო

XV ტური
15:00. 2 მარტი. პარასკევი

ამერი-ბათუმი
სიონი-ვიტ ჯორჯია
ლოკომოტივი-ბორჯომი
ზესტაფონი-მერანი
კახეთი-ოლიმპი
ტორპედო-ჩიხურა
გორი-დინამო

XVI ტური
15:00. 10 მარტი. შაბათი

ბორჯომი-დილა
დინამო-ამერი
ბათუმი-ტორპედო
ჩიხურა-სიონი
ვიტ ჯორჯია-კახეთი
ოლიმპი-ზესტაფონი
მერანი-ლოკომოტივი

XVII ტური
15:00. 17 მარტი. შაბათი

მერანი-ბორჯომი
ლოკომოტივი-ოლიმპი
ზესტაფონი-ვიტ ჯორჯია
კახეთი-ჩიხურა
სიონი-ბათუმი
ტორპედო-დინამო
ამერი-დილა

XVIII ტური
15:00. 31 მარტი. შაბათი

ბორჯომი-ამერი
დილა-ტორპედო
დინამო-სიონი
ბათუმი-კახეთი
ჩიხურა-ზესტაფონი
ვიტ ჯორჯია-ლოკომოტივი
ოლიმპი-მერანი

XIX ტური
16:00. 7 აპრილი. შაბათი

ოლიმპი-ბორჯომი
მერანი-ვიტ ჯორჯია
ლოკომოტივი-ჩიხურა
ზესტაფონი-ბათუმი
კახეთი-დინამო
სიონი-დილა
ტორპედო-ამერი

XX ტური
16:00. 13 აპრილი. პარასკევი

ბორჯომი-ტორპედო
ამერი-სიონი
დილა-კახეთი
დინამო-ზესტაფონი
ბათუმი-ლოკომოტივი
ჩიხურა-მერანი
ვიტ ჯორჯია-ოლიმპი

XXI ტური
16:00. 21 აპრილი. შაბათი

ვიტ ჯორჯია-ბორჯომი
ოლიმპი-ჩიხურა
მერანი-ბათუმი
ლოკომოტივი-დინამო
ზესტაფონი-დილა
კახეთი-ამერი
სიონი-ტორპედო

XXII ტური
16:00. 27 აპრილი. პარასკევი

ბორჯომი-სიონი
ტორპედო-კახეთი
ამერი-ზესტაფონი
დილა-ლოკომოტივი
დინამო-მერანი
ბათუმი-ოლიმპი
ჩიხურა-ვიტ ჯორჯია

XXIII ტური
17:00. 5 მაისი. შაბათი

ჩიხურა-ბორჯომი
ვიტ ჯორჯია- ბათუმი
ოლიმპი-დინამო
მერანი-დილა
ლოკომოტივი-ამერი
ზესტაფონი-ტორპედო
კახეთი-სიონი

XXIV ტური
17:00. 12 მაისი. შაბათი

ბორჯომი-კახეთი
სიონი-ზესტაფონი
ტორპედო-ლოკომოტივი
ამერი-მერანი
დილა-ოლიმპი
დინამო-ვიტ ჯორჯია
ბათუმი-ჩიხურა

XXV ტური
17:00. 16 მაისი. ოთხშაბათი

ბათუმი -ბორჯომი
ჩიხურა-დინამო
ვიტ ჯორჯია-დილა
ოლიმპი-ამერი
მერანი-ტორპედო
ლოკომოტივი-სიონი
ზესტაფონი-კახეთი

XXVI ტური
17:00. 20 მაისი. კვირა

ბორჯომი-ზესტაფონი
კახეთი-ლოკომოტივი
სიონი -მერანი
ტორპედო-ოლიმპი
ამერი-ვიტ ჯორჯია
დილა-ჩიხურა
დინამო-ბათუმი

დავით მუჯირი ისევ დაშავდა

კვლავ ტრავმა მიიღო რუსული პრემიერლიგის "კრილია სოვეტოვისა" და საქართველოს ნაკრების ნახევარმცველმა **დავით მუჯირმა**, თუმცა აქვე გეტყვით, რომ ჩვენებურის ტრავმა სერიოზული არ არის. მუჯირი თურქეთში გუნდთან ერთად ვარჯიშობდა და ლვოვის "კარპატისთან" საკონტროლო მატჩისთვის სამზადისისას იტკინა ფეხი. ექიმების მტკიცებით საშიში არაფერია, მუჯირი მწყობრში რამდენიმე დღეში ჩადგება. ქართველ ლეგიონერს წლეულს "კრილიას" არც ერთ სპარინგში არ მიუღია მონაწილეობა.

ბურდულმა ითამაშა, გიგიაძემ არა

უკრაინულმა "კრივბასმა" თურქეთში მორიგი საკონტროლო მატჩი გამართა, ნალჩიკის "სპარტაკს" შეხვდა და 0:1 დამარცხდა. ტრავმის გამო კვლავ არ უთამაშია გუნდისა და უკრაინის ჩემპიონატის ბომბარდირ **ვასილ გიგიაძეს**, სამაგიეროდ, იყო **ლადო ბურდული**, რომელმაც კავკასიელებთან მატჩში მოედანზე 90 წუთი დაყო. "სპარტაკმა" იატჩენკოს გოლის (30-ე წთ.) წყალობით იმარჯვა. სხვათა შორის, "სპარტაკის" თავკაცი **კრასნოჟანი** ყოველ ნახევარ საათში შემადგენლობას ცვლიდა. 26 იანვარს **ტარანის** შეგირდები რუმინულ "ნაციონალს" შეხვდებიან და შემდეგ უკრაინაში დაბრუნდებიან.

დღეში ორი მატჩი

ნოუ ჰაუ უკრაინულად - თურქეთში ერთ დღეს ორი საკონტროლო მატჩი გამართა ოდესის "ჩერნომორეცმა", შავიზღვისპირა კლუბი ორჯერვე ლიტვის "ვეტრას" შეხვდა. პირველ მატჩში "ჩერნომორეცმა" 2:1 მოიგო **ბოჩკურის** და **მანასიანის** გოლებით. სასტარტო შემადგენლობაში ითამაშეს **გიორგი შაშიაშვილმა** და **კახა მჟავანაძემ**. მეორე მატჩი 0:0 დასრულდა, ამ შეხვედრაში უკვე **ილია კანდელაკმა** ითამაშა სრულად.

ნიკოლოზ ნეფარიძე

სიტუაცია ქართულ კლუბებში

გუნდი	მიდიან	მოდიან	გეგმები
ოლიმპი	კიკნაძე, ზამთარაძე (მწვრთნელები) **რ. ონიანი (ზესტაფონი), ხოჯავა, ნაჭყეპია,** სირბილაძე (ტორპედო), ხოხონიშვილი, მიმინოშვილი, **მიქიაშვილი (ჩიხურა),** გ. თოდუა (?), ვ. კვარაცხელია (?)	**რ. ძოძუაშვილი (მწვრთნელი, ტორპედო) ვ. კილასონია (მწვრთნელი) მერლანი (ვეტრა, ლიტვა), რ. გოცირიძე (კამაზ, რუსეთი), არზიანი (რუბინი),** სილაგაძე (მეტალურგი ზ.) ნავალოვსკი (დინამო) ბურნაძე (ნაფტანი, ბელარუსი)	თბილისი, თურქეთი
ვიტ ჯორჯია	**დიღმელაშვილი,** ფეიქრიშვილი **(დინამო),**		თბილისი, ანტალია (თურქეთი)
ამერი	**ჩანგელია (უკრაინა)** ნიკოლაიშვილი, სილაგავა (?),	**მესხი (ჩიხურა), დიდავა (კონტრ. გააგრძელა)** ბაბუნაშვილი (დინამო), კაკაშვილი (რილსკი, ბულგ.)	ორი შეკრება ანტალიაში, იანვარი, თებერვალი
ზესტაფონი	**იმედაძე** (?)	**რ. ონიანი (ოლიმპი), ც. ბუკია**	თბილისი, ბაკურიანი + კვიპროსი, ანტალია ან საემიროები
დინამო	ბობოხიძე (ზარია), **ახალაია, ბაბუნაშვილი, სტურუა,** გრიგალაშვილი, **მახარაძე** (?) **ნავალოვსკი (ოლიმპი)**	**დიღმელაშვილი (ვიტ ჯორჯია)** ზელიჩი (ავსტრალია, თავისუფალი აგენტი) კრმკო (ტილინა), ფეიქრიშვილი (ვიტ ჯორჯია)	ბაკურიანი, ანტალია
ტორპედო	**ძოძუაშვილი** (მწვრთნელი, ოლიმპი), გამეზარდაშვილი (სკონტო ლატვია) მ. ღონღაძე (ლოკომოტივი)	**კიკნაძე, ზამთარაძე (მწვრთნელები),** სირბილაძე (ოლიმპი), **კ. კვეტენაძე,** მერკვილაძე, ხურცილავა,	—
სიონი	**სიჭინავა, შავგულიძე ბათიაშვილი (ჩიხურა) ჭიჭვეიშვილი (?)**	**მამალაძე (ჩიხურა)**	დსთ-ის თასი, იანვარი
ლოკომოტივი	ყენია (ლევანტე, ესპანეთი), ყიფიანი, მხეიძე, ებანოიძე, ცხომარია მენაბდე, მიხაილიდი, ალავერდაშვილი (?, უკრაინა).	სოსელია, წუწუნავა (კახეთი). მ. ღონღაძე (ტორპედო)	ლაგოდეხი + ბორჯომი ან უცხოეთი
ბორჯომი	**ნკემი, მონგუე, ნაკანი (მერანი), მოდებაძე, კიკნაძე, ბენდელიანი, ლაბაძე**	**კვერნაძე, კაიდარაშვილი,**	10 იანვრიდან ბორჯომი, შესაძლებელია უცხოეთიც
მერანი	ბესარაშვილი (ბათუმი)	**ნაკანი (ბორჯომი), კუტივაძე** (მწვრთნელი), ქემოკლიძე, ბაბუნაშვილი, (დინამო)	ორი შეკრება
ჩიხურა	**მესხი (ამერი), გ. მანწკავა (ირანი), მამალაძე (სიონი)**	**მიქიაშვილი (ჩიხურა),** ბათიაშვილი (სიონი), ბობოხიძე, ახალაია, ბაბუნაშვილი, გრიგალაშვილი, მახარაძე, სტურუა (დინამო), კოშკაძე (ბათუმი),	შეკრება 8 იანვრიდან დაგეგმილია შეკრება უცხოეთში
ბათუმი	**ა. მუჯირი (ბაქი)** კოშკაძე, ლობჟანიძე, აფშილავა (ვიტ ჯორჯია), ნაჭყებია	**ჩარგეიშვილი, კერესელიძე, ბარამიძე (დინამო 2),** ბესარაშვილი (მერანი), შალამბერიძე (მეშაქრე)	შეკრება ბათუმში
დილა	ბეგიაშვილი (პრეზიდენტი), მამესნარაშვილი (მწვრთნელი)	**ლურსმანაშვილი (პრეზიდენტი), ეარდოსანიძე, ელიაური (მწვრთნელები)**	შეკრება გორში
კახეთი	ბიძინაშვილი, იმერლიშვილი, ცინაძე, კევლიშვილი, სოსელია, წუწუნავა (ლოკომოტივი), კევლიშვილი (მერანი),	**კუპრაშვილი (გურჯაანი) მედოევი, ე. მერებაშვილი,**	თელავი, შესაძლებელია ბაკურიანიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრისტიანო რონალდო (ბურთით) რეალის სამიზნე გახდა

რეალი

რონალდო მიდის, რონალდო მოდის?

კრისტიანო სამეფო კლუბის უპირველესი სამიზნე გახდა

"რეალს" მიმდინარე სეზონში უამრავი პრობლემა შეექმნა. მოგეხსენებათ, სამეფო კლუბმა პრიმერა დივიზიონში "რეკრეატივოსა" და "დეპორტივოსთან" ზედიზედ ორი მარცხი იწვნია. შემდეგ კი სამეფო თასის გათამაშებას გამოეთიშა. მართალია, **ფაბიო კაპელოს** გუნდი ლიდერთა მარაქაშია გარეული, მაგრამ "რეალში" არსებული პრობლემები ამით არ მცირდება. უდავოა, შემადგენლობას გაძლიერება სჭირდება.

კაცმა არ იცის წლევანდელი სეზონი როგორი შედეგით დასრულება, მაგრამ **რამონ კალდერონი** და **პრედრაგ მიატოვიჩი** უკვე სამომავლო საკითხებზე მუშაობას შეუდგნენ. გუშინ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ესპანურმა გიგანტმა უპირველეს სამიზნედ **კრისტიანო რონალდო** გაიხადა. როგორც გაირკვა, კაპელოს პორტუგალიელი სისწრაფისა და ტექნიკური შესაძლებლობების გამო ძალიან მოსწონს. მისი შეძენის საკითხი დღის წესრიგში სწორედ იტალიელმა დააყენა. მიატოვიჩი გვარწმუნებს, რომ რონალდომ სამეფო კლუბის დაინტერესების შესახებ საკუთარი მენეჯერისგან უკვე ამომწურავი ინფორმაცია მიიღო. თავად მენეჯრეს კი პირადად გენერალური დირექტორი ესაუბრა. უახლოეს დღეებში მადრიდელები "მანჩესტერის" ოფიციალურ პირებთან მოლაპარაკებების დაწყებას აპირებენ. ცნობილია, რომ ინგლისელებს პორტუგალიელის გაშვება არ სურთ. სხვათა შორის, რამდენიმე დღის წინათ დაინერა, რომ "წითელი ეშმაკები" ახალგაზრდა ვარსკვლავისთვის ახალ, მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულ კონტრაქტს ამზადებენ...

აქტუალობას ბრაზილიელი **რონალდოს** საკითხიც არ ჰკარგავს. გუშინ მოგახსენეთ, რომ მიატოვიჩმა იტალიელ კოლეგებს კონკრეტული შეტყობინება გაუგზავნა. თუ რონალდოს შეძენა გინდათ, "სანტიაგო ბერნაბეუზე" მოდითო. **ადრიანო გალიანიმ** გზავნილი სწორად გაიგო. "დიარიო მარკას" ინფორმაციით, აპენინელი საფეხბურთო ფუნქციონერი მადრიდს ორშაბათს გაფრინდება. ჩვენმა კოლეგებმა დაადგინეს, რომ ეს გადაწყვეტილება მან **ფრანკო ბალდინისთან** საუბრის შემდეგ მიიღო. "რეალის" ტექნიკური მდივანი მილანში საიდუმლო ვიზიტით იმყოფებოდა. ხსენებული "დიარიო მარკას" კორესპონდენტი გუშინ საღამოს გალიანის ტელეფონით დაუკავშირდა. სინიორ ადრიანომ ბალდინისთან შეხვედრის ფაქტი არ დაადასტურა, თუმცა ის კი აღიარა, რომ მადრიდის ბილეთი უკვე აღებული აქვს: *"თუ გაუთვალისწინებელი რამ არ მოხდება, ორშაბათს ესპანეთის დედაქალაქში ვიქნები. წინასწარ არაფრის თქმა არ შეიძლება. საკმაოდ რთულ მოლაპარაკებას ვაწარმოებთ. არავინ იცის, ის როგორ დასრულდება. რონალდო ამბობს, "რეალში" გული აღარ მიძლებს და "მილანში" თამაში მინდაო. ვნახოთ, რა გამოვა."*

სამეფო კლუბზე საუბარს კიდევ ერთი სატრანსფერო დაინტერესებით დავასრულებთ. ფაბიო კაპელომ კრისტიანო რონალდოსთან ერთად **ფრანკ რიბერისაც** დაადგა თვალი. ესპანურ გრანდთან დაახლოებული ჟურნალისტები ამბობენ, იტალიელისთვის ამ ორ ფეხბურთელს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვსო. კალდერონს ისღა დარჩენია, მიზნის მისაღწევად ხელებდაკაპიწებულმა იმუშაოს.

მილანი

როგორც იქნა, აქ ვარ!

მილანმა ოდო წარადგინა, ზეედორფმა კონტრაქტი გააგრძელა

მასიმო ოდომ კარგა ხნის ოცნება აიხდინა. გუშინწინ, ოფიციალურად გაცხადდა, რომ "მილანმა" "ლაციალეს" კაპიტანი 5.5 მილიონ გირვანქად შეიძინა, თავად კი რომაულ კლუბს მიჰყიდა **პასკუალე ფოჯა**, რომელიც "ოლიმპიკოზე" აქამდე არენდის წესით თამაშობდა...

ოდომ კი "მილანთან" კონტრაქტი 2011 წლამდე გააფორმა. ასე რომ, "როსონერის" უკვე ჰყავს ფეხბურთელი, რომელმაც ბრაზილიელი ვეტერანი **მარკუშ კაფუ** უნდა შეცვალოს. ისე, არც თვითონაა პატარა ბიჭი, ზაფხულში 31 წლის ხდება. თუმცა "მილანში" ხომ ყოველთვის პატივს სცემდნენ ასაკოვან, გამოცდილ მოთამაშეებს, განსაკუთრებით დაცვის ხაზში...

ოდო 44 ნომრით ითამაშებს. არადა, 30 უნდოდა, "რომასთან" დერბიში გამარჯვების (3:0) უკვდავსაყოფად. მაგრამ უარი მიიღო და შეთავაზებულს დასჯერდა. მაგრამ ეს არ არის მთავარი, მთავარი ისაა, რომ "მილანის" ფეხბურთელი გავხდიო, ასე იწყება ოდოს ტრაფარეტული პრესკონფერენცია. აი, კიდევ ერთი პატარა ფრაგმენტი ამ პრესკონფერენციიდან:

"მახსოვს, აქ ახალგაზრდულ გუნდში რომ ვიყავი, სახეგაბრწყინებული შევცქეროდი "მილანის" ყოველ გამარჯვებას. ახლა მაქვს ბედნიერება, ამ გამარჯვებებით თავადაც დავტკბე. მოლაპარაკებები ძალიან გაიწელა, მაგრამ მჯეროდა, რომ ყველაფერი კარგად იქნებოდა. თუმცა მხოლოდ მაშინ დავწყნარდი, როცა კონტრაქტს ხელი მოვაწერე. მართალია, ჩემპიონატის ბოლო მატჩში მწვრთნელმა არ მათამაშა, მაგრამ გარწმუნებთ, კარგ ფორმაში ვარ".

ამასობაში, **კლარენს ზეედორფმა** "მილანთან" ახალი კონტრაქტი გააფორმა. ის "სან სიროზე" 2011 წლამდე დარჩება და თამაშსაც იქ დაასრულებს. "როსონერი" ზეედორფის კარიერაში მეხუთე გუნდია. აქ მან 140 მატჩში 18 გოლი გაიტანა.

ბომასონი ვილიარეალში?

„კიკერი" იტყობინება, რომ „შტუტგარტის" დანიელი თავდამსხმელი **იონ დალ ტომასონი** სულ მალე ესპანურ „ვილიარეალში" ალმოჩნდება. როგორც იცით, 30 წლის ფორვარდს შვაბური კლუბის რიგებში თამაში, პირველ ნრეში თითქმის საერთოდ არ უნევდა, რადგან ის გუნდის მწვრთნელმა **არმინ ფეჰმა** აითვალწუნა. ტომასონის მრჩეველი **ბაირამ თუთუმლუ** აცხადებს, რომ „ვილიარეალთან" მოლაპარაკებებს ანარმოებს და ტრანსფერი თითქმის გადაწყვეტილია. შეგახსენებთ, რომ ტომასონი „შტუტგარტში" 2005 წელს **ჯოვანი ტრაპატონიმ** მიიყვანა. დანიელმა თავდამსხმელმა შვაბურ კლუბს „მილანიდან" ყოველგვარი საზღაურის გარეშე მიაშურა. მაგრამ VFB-ში ადგილის დამკვიდრება ვერ შეძლო. ტომასონს ბუნდესლიგაში ჩატარებულ 30 მატჩში მხოლოდ 8 გოლი აქვს გატანილი.

მოსალოდნელი ტრანსფერი

რონალდო მილანში: ხვალ ან ორშაბათს

დარჩა მოლაპარაკების ბოლო რაუნდი, გუშინ საქმე ოლივეირამ ჩაშალა

რონალდო "მილანში"... თითქმის ყველაფერი გადაწყვეტილია. ყოველ შემთხვევაში, იტალიური წყაროები საქმეს მოთავებულად თვლიან - ტრანსფერი დროის საქმეა, ხუთშაბათს ან ორშაბათს "რონი" მილანში იქნება და კონტრაქტს გააფორმებსო. სამშაბათს, "რეალის" გენერალურმა დირექტორმა **ფრანკო ბალდინიმ** და "მილანის" ვიცე-პრეზიდენტმა **ადრიანო გალიანიმ**, **არიედო ბრაიდასთან** ერთად, მილანის ერთ-ერთ პრესტიჟულ რესტორანში (შეიძლება, **კახა კალაძის**) ივახშმეს. ცნობილია, რომ სამეფო კლუბი რონალდოს უფასოდ არ უშვებს. თავდაპირველად, "რეალმა" "კიჭას" 8 მილიონი ევრო დაადო. მოლაპარაკებების შემდეგ თანხა ჯერ 5.7 მილიონამდე ჩამოვიდა, გუშინდელი ინფორმაციით კი უკვე 3 მილიონზეც. უფრო სწორად, ამ 3 მილიონს "მილანი" იძლევა და ზედ **რიკარდო ოლივეირასაც** ამატებს. არადა, დღეს ირკვევა, რომ ზაფხულში "მილანი" მზად იყო, რონალდოში 11 მილიონი ევრო გადაეხადა. მაგრამ ვინ იფიქრებდა, რომ ბრაზილიელი **ფაბიო კაპელოს** გეგმებში ველარ ჩაჯდებოდა...

ოლივეირას ფაქტორმა მოლაპარაკებები კიდევ ერთხელ შეაფერხა. როგორც ჩანს, "რეალს" ეს ახალგაზრდა არ აინტერესებს. ამიტომ თქვა გალიანიმ გუშინ, იქაური დროით 13 საათზე: *"რონალდო დღეს არ მოდის. საუბარს გავაგრძელებთ და მჯერა, ყველაფერი კარგად დასრულდება".*

მოლაპარაკების მორიგი რაუნდი ორშაბათს, მადრიდში გაიმართება. თუმცა, შესაძლოა, გალიანის ესპანეთში გამგზავრება აღარც დასჭირდეს და ყველაფერი დღესვე გადაწყდეს. როგორც ამბობენ, **სილვიო ბერლუსკონი** ტრანსფერის გაჭიანურებამ ძლიერ დაღალა და არაა გამორიცხული, "რეალის" მიერ მოთხოვნილ თანხას დასტური მისცეს. მილანში, ტურატის ქუჩაზე, რონალდოსთვის კონტრაქტი უკვე გამზადებულია: 2009 წლის 30 ივნისამდე, ყოველწლიური 4 მილიონი ევროთი...



რონალდო

არგენტინის ნაკრები

იგუაინი ირჩევს არგენტინას

ფულმა გულს ვერ აჯობა

გონსალო იგუაინმა არჩევანი გააკეთა. **რაიმონ დომენეკის** უამრავი უმორჩილესი თხოვნის მიუხედავად "რეალის" თინეიჯერმა ფორვარდმა საფრანგეთის ნაკრებში თამაში არ ისურვა და **ალფიო ბასილეს** ერთგულება აღუთქვა. მოგეხსენებათ, საკლუბო ფეხბურთისგან განსხვავებით სანაკრებო ასპარეზზე გუნდის გამოცვლა აკრძალულია. ასე რომ, იგუაინმა არგენტინას ბედი სამუდამოდ დაუკავშირა. მას სჯერა, რომ "ალბისელესტეში" ხანგრძლივი და წარმატებული კარიერა ექნება. ფრანგულმა პასპორტმა და ფრანგულმა ფულმა გული ვერ გადაძლია... საქმეში უკეთ გარკვევის მიზნით, უმჯობესი იქნება, თავად იგუაინის კომენტარი შემოგთავაზოთ: *"საფრანგეთის ნაკრების ხელმძღვანელობას დაფასებისთვის უდიდეს მადლობას მოვახსენებ, მაგრამ მათ შემოთავაზებას ვერ დავთანხმდებოდი. გადაწყვეტილება არა გონებამ, არამედ გულმა მიიღო. ჩემი სამშობლო ჩემი სახლი, მეგობრები, ოჯახის წევრებია. ერთობლიობაში კი ამ ყველაფერს არგენტინა ჰქვია. მე არგენტინელი ვარ!"*

ძანეტი და სამი დებიუტანტი

ბასილე საფრანგეთში ესპანური ლეგიონის იმედად მიემგზავრება...

არგენტინელმა თავკაცმა **ალფიო ბასილემ** საფრანგეთთან მატჩისთვის შემადგენლობა დაასახელა. შეხვედრა 7 თებერვალს, პარიზში გაიმართება. ხანგრძლივი პაუზის შემდეგ "ალბისელესტეს" უბრუნდება **ხავიერ ძანეტი**. "ინტერის" კაპიტანმა ნაკრებში ბოლოს 2005 წლის ნოემბერში ითამაშა - სტუმრად ინგლისთან 2:3. ძანეტის ეროვნულ გუნდში 102 მატჩი აქვს ჩატარებული.

ბასილეს სიაში სამი დებიუტანტია - "რეალის" ახალწვეული **ფერნანდო გაგო**, მალიორკელი **ხონას გუტიერესი** და პორტუელი **ლისანდრო ლოპესი**. მოულოდნელი ალმოჩნდა განაცხადში ვილიარეალელი მარცხენა მცველის **როდოლფო არუაბარენას** ხილვა. ის 31 წლისაა და ეროვნული გუნდში მხოლოდ 6 მატჩი აქვს ჩატარებული. ბასილემ შარშანდელი მუნდიალის მონაწილეთაგან მხოლოდ 11 ფეხბურთელი გამოიძახა. გამოძახებულთა აბსოლუტური უმრავლესობა - 14 მოთამაშე - ესპანეთის პრიმერა დივიზიონში ასპარეზობს.

მეკარეები - რობერტო აბონდანსიერი (ხეტაფე), ლეონარდო ფრანკო (ატლეტიკო);

მცველები - რობერტო აიალა (ვალენსია), გაბრიელ მილიტო (სარაგოსა), ნიკოლას ბურდისო (ინტერი), ხავიერ ძანეტი (ინტერი), გაბრიელ ჰანცე (მანჩესტერ იუნაიტედი), ფაბრისიო ფუენტესი (ვილიარეალი), როდოლფო არუაბარენა (ვილიარეალი);

ნახევარმცველები - ფერნანდო გაგო (რეალი), ალდო დუშერი (დეპორტივო), ესტებან კამბიასო (ინტერი), ლუის გონსალესი (პორტუ), ლეანდრო სომოსა (ვილიარეალი), პაბლო აიმარი (სარაგოსა), ხონას გუტიერესი (მალიორკა);

თავდამსხმელები - ხავიერ სავიოლა (ბარსელონა), სერხიო აგუერო (ატლეტიკო), დიეგო მილიტო (სარაგოსა), ერნან კრესპო (ინტერი), ლისანდრო ლოპესი (პორტუ).

ეროვნული ბიბლიოთეკა

იუვენტუსი პირველი წრის შემდეგ

ქალბატონი ავტოსტრადაზე გავიდა

რეალური ქულები, კალენდარი და ტრავმების დასასრული: სამი ფაქტორი, რომელმაც იუვეს სერია A უკვე დაანახა

ბოლო ტურში „ბარისთან“ გამარჯვებისა (4:2) და „ლეჩე“-„ნაპოლის“ ფრის (1:1) წყალობით, „იუვენტუსი“ სეზონში პირველად გახდა სერია B-ს ერთპიროვნული ლიდერი. ნეაპოლელებთან უპირატესობა სულ რაღაც ორი ქულაა და ჩემპიონატის დასასრულამდე ჯერ კიდევ ერთი ტური (შაბათს „იუვე“ „სპეციას“ სტუმრობს) და მთელი წრე რჩება, მაგრამ იტალიაში ფიქრობენ, რომ დადგა მომენტი, როცა „იუვენტუსი“ ადგილიდან მოწყდება, ყველას დიდი დისტანციით ჩამოიშორებს და სერია A-ში შეგრიალდება. სამი გარემოებაა ისეთი, რაც იტალიელ მიმომხილველებს ამის თქმის უფლებას აძლევს: 1) რეალურად დაგროვილი ქულების რაოდენობა, 2) ხელსაყრელი კალენდარი, 3) საკარდო პრობლემების დასასრული. მომავალზე საუბრისას **დიდიე დეშამი** ძალიან ფრთხილი და სიტყვაძუნწია, მაგრამ ეს სამი ფაქტორი მწვრთნელს იმის საშუალებას აძლევს, რომ უფრო ოპტიმისტურად იყოს განწყობილი, ვიდრე სამი კვირის წინათ, როდესაც ნახევარი გუნდი აკლდა და ჩემპიონატში პირველ ნაგებასაც გაუგო გემო. ტრავმებთან დაკავშირებული სიტუაცია, სატურნირო ცხრილი და კალენდარი ისეთია, რომ სერია A „იუვენტუსისთვის“ უკვე ხელშესახები გახდა. მრუდე გზებით სიარულის შემდეგ, „ქალბატონი“ ავტოსტრადაზე გავიდა, ანუ საბოლოოდ დაიბევა ერთ-ერთი ადგილი პირველი ორიდან, რომელიც სერია A-ში პირდაპირ გადასვლის საშუალებას იძლევა. ახლა „ნაპოლიმ“, „ჯენოამ“ და დანარჩენებმა უნდა დახოცონ ერთმანეთი იმ მეორე და ერთადერთი ადგილისთვის, რომელიც ფლეიოფის გარეშე ხსნის სერია A-ს კარს.

რეალური ქულები. ცოტა ბანალურიც კია, მაგრამ ის 38 ქულა, რომლითაც ტურინელები პირველი წრის დასრულებამდე ერთი ტურით ადრე გათამაშების ცხრილს ლიდერობენ, რეალობას არასწორად ასახავს. სინამდვილეში „ბებერმა ქალბატონმა“ 47 ქულა დააგროვა, მაგრამ 9 ქულა კარგად ცნობილი მიზეზების გამო ჩამოაკლეს. ამის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ „იუვეს“ გაქცევა უკვე მე-5 ტურიდან დაიწყო, როცა პიაჩენცაში მოიგო და „ბრეშა“ ორი ქულით ჩამოიტოვა. მაგრამ რაკი გამოსაკლები უკვე გამოკლებულია და ამიერიდან ყველა მოპოვებული ქულა „სინიორას“ ცხრილში ხელუხლებლად ჩაეწერება, მაშინ აზრს მოკლებული არ უნდა იყოს ამ რეალურად დაგროვილი 47 ქულის მეორე წრეზე პროექცირება. ერთ შეხვედრაში „იუვენტუსი“ საშუალოდ 2, 35 ქულას აგროვებდა და თუ მეორე წრეც ამ რიტმში გააგრძელა, ის ყველასთვის მიუღწეველი იქნება, იმის გათვალისწინებით, რომ მდევრებს შორის საუკეთესო, „ნაპოლი“, ერთ შეხვედრაში საშუალოდ 1,8 ქულას აგროვებს.

კალენდარი. მაგრამ ოპტიმიზმის მთავარი საფუძველი „იუვესთვის“ მაინც კალენდარია: მეორე წრის ყველა რთულ შეხვედრას ტურინელები საკუთარ მოედანზე ჩაატარებენ. ყველა იმ გუნდს, ვინც სერია B-ს ცხრილში ლიდერის შემდგომ შვიდ საფეხურს იკავებს (მეორედან მერვეს ჩათვლით), „იუვენტუსი“ პირველ წრეში სტუმრად შეხვდა. ესენი არიან „ნაპოლი“, „ჯენოა“, „რიმინი“, „ბოლონია“, „პიაჩენცა“, „მანტოვა“ და „ალბინოლეფე“. არცთუ მცირე უპირატესობაა, როცა თავისუფალი ხარ ყველაზე რთული შეხვედრებისგან, თან ისეთ რთულ სტადიონებზე, როგორებიცაა ნეაპოლური „სან პაოლო“, გენუური „მარასი“ და ბოლონიური „დალ'არა“, კიდევ იმიტომ, რომ საკუთარ მოედანზე „იუვე“ ერთ შეხვედრაში საშუალოდ 2,8 ქულას აგროვებს. ასე რომ, ყველაზე რთული გზა გავლილია, ახლა „ბიანკონერის“ ისღა დარჩენია, რომ მოპოვებული უპირატესობა მშვიდად აკონტროლოს და მის გაზრდაზე იფიქროს.

ფორს-მაჟორის დასასრული. ამასობაში ტურინელთა ლაზარეთიც სწრაფად ცარიელდება. „იუვეს“ მცირე კრიზისი იმ პერიოდს დაემთხვა, როცა დეშამს რამდენიმე შეხვედრაში, არც მეტი არც ნაკლები, ათი წამყვანი ელემენტიც კი აკლდა. მაგრამ გასულ კვირაში **კამორანეზის** დაბრუნების შემდეგ, მწყობრში ჩადგნენ **კრისტიანო ძანეტი, ჯანიკედა** და **მარკიონი**. ორი გოლით დაბრუნდა **პაველ ნედვედიც**, რომელსაც 6-მატჩიანი დისკვალიფიკაციის გამო, მთელი თვენახევარი გაუცდა. სამშაბათის ამხანაგურში **ბუფონმაც** ითამაშა, რითაც დადასტურდა, რომ ტრავმა საბოლოოდ მოიშუშა და შაბათს ძირითადში ითამაშებს. მომდევნო კვირაში **ლეგროტალიესა** და **კოვაჩის** დაბრუნების ჯერი იქნება, რის შემდეგაც გუნდს **ძებინა** და, შეიძლება, **ბუმსონგიც** შეუერთდნენ. ეს ყველაფერი ძალიან დიდ შვებას მოუტანს სადღეისოდ ყველაზე სუსტ, დაცვის რგოლს. ასე რომ, ლაზარეთში მხოლოდ **კიელინი** დარჩება, თუმცა თვეზე მეტხანს არც მისი გამოჯანმრთელების პროცესი უნდა გაგრძელდეს.

ოპტიმისტი დეშამი. *„ახლა მხოლოდ იმაზე ვფიქრობ, რომ დაშავებული ფეხბურთელები დავიბრუნო,“* – ამბობს დეშამი. ორი კვირის წინ ფრანგი ჩაფიქრებული და მოწყენილი უყურებდა თავისი გუნდის ვარჯიშებს, ბოლო გამარჯვების შემდეგ კი კარგი განწყობა დაუბრუნდა და ახლა თავადაც ხაზგასმით აღნიშნავს იმ სახარბიელო სიტუაციას, რომელშიც „იუვე“ მეორე წრის წინ აღმოჩნდა: *„პირველი წრის დასრულებამდე ერთი შეხვედრა რჩება, ჩემპიონატის ბრწყინვალედ დაწყების შემდეგ, გარკვეულ პრობლემებს წავაწყდით, თუმცა ამის მიზეზი ტრავმების სიმრავლე იყო. მაგრამ ჩვენს სიძლიერეზე ციფრები მეტყველებენ* (გატანილი და გაშვებული გოლების მიხედვით, სერიაB-ს საუკეთესო თავდასხმა და დაცვა „იუვენტუსს“ ჰყავს, 36-12). *გულწრფელად გითხრათ, უკეთესი შედეგის მიღწევაც შეიძლებოდა. ახლა მთლიანად კონცენტრირებულები ვართ მეორე წრეზე, რომელიც სპრინტით უნდა გავიაროთ.“*

გოგა ახალაძე



დიდიე დეშამი

ძველი ამბავი

დელ პიერომ მეინიუს უარი უთხრა

კაპელო რომ არ წასულიყო, იუვეს კაპიტანი მანჩესტერში მიდიოდა

**ალესანდრო დელ პიერომ ინგლისელ ჟურანლისტებს უთხრა, რომ ზაფხულში, „იუვენტუსის“ სერია B-ში დაქვეითების შემდეგ, „მანჩესტერ იუნაიტედისგან“ მიღებულ შეთავაზებაზე უარი განაცხადა. კაპიტანი ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც „კალჩოპოლის“ სკანდალის დღეებშივე გამოაცხადა, რომ „იუვენტუსს“ არ დატოვებდა, თუმცა ტურინში დარჩენის სანაცვლოდ მას „იუნაიტედის“ ვარიანტზე უარის თქმა მოუხდა. *„მართალია, აგვისტოში „მანჩესტერ იუნაიტედმა“ კონტრაქტის გაფორმება შემომთავაზა, მაგრამ უარი ვუთხარი* – განაცხადა დელ პიერომ „სანისთვის“ მიცემულ ინტერვიუში – *გულწრფელად გითხრათ, „იუვენტუსის“ გარშემო დატრიალებული მოვლენების გამო, ძალიან განწყობილი ვიყავი და სერიოზულად ვფიქრობდი გუნდის დატოვებაზე. მაგრამ ამ ნაბიჯზე წასვლა ძალიან ძნელი იყო, მით უმეტეს ჩემთვის, რომელიც „ბიანკონეროს“ ღირსებას 13 წლის განმავლობაში ვიცავდი და კარიერის დასრულებასაც მასთან ერთად ვაპირებდი. დარწმუნებული ვარ, რომ სერ ალექს ფერგიუსონი ადვილად მიხვდებოდა, თუ რა მიზეზები იდგა ჩემი უარის უკან“.*

ნინა ორ სეზონში, როცა „იუვენტუსს“ ფაბიო კაპელო წვრთნიდა, დელ პიეროს მძიმე ცხოვრება ჰქონდა. „ბებერი ქალბატონის“ კაპიტანი და სიმბოლო მუდამ თადარიგში იყო და საყვარელ გუნდზე გული ცოტათი აუცრუვდა კიდეც. იმ პერიოდში რამდენჯერმე საჯაროდ თქვა, სიამოვნებით მოვსინჯავდი ძალებს პრემიერლიგაშიო. იმ დროს ალექსი ასე იხსენებს: *„ისეთ სიტუაციაში აღმოვჩნდი, რომელიც ტურინდან წასვლისკენ მიბიძგებდა, მაგრამ იმაში კი დარწმუნებული ვიყავი, რომ წასვლის შემთხვევაში, კარიერას იტალიაში არ გავაგრძელებდი. ჩემთვის წარმოუდგენელი იყო, რომ „იუვენტუსის“ გარდა სხვა რომელიმე იტალიურ გუნდში მეთამაშა. მაგრამ მერე სიტუაცია შეიცვალა და მოხარული ვარ, რომ ტურინში დარჩენა გადავწყვიტე“.*

სერია B-ს ბოლო ტურში დელ პიერომ „იუვენტუსის“ მაისურით თავისი მე-500 მატჩი ჩაატარა და ეს მოვლენა გოლით აღნიშნა. *„მე კიდევ დიდხანს მინდა, რომ „იუვეში“ დავრჩე და მასთან ერთად სხვა ბედნიერი წუთები გავიზიარო. დღეს ყველაფერი კარგად მიგვდის და მომავალიც ძალიან ნათელ ფერებში მოჩანს. სხვა გუნდის მაისურში ჩემი თავი, უბრალოდ, ვერ წარმომიდგენია,“* – დასძინა დელ პიერომ.

პლატინი და ბეკენბაუერი

ხვალ დიუსელდორფში უეფას ახალ პრეზიდენტს აირჩევენ. ფრანც ბეკენბაუერმა, გერმანული ფეხბურთის სახემ, უარი თქვა ევროპული ფეხბურთის მთავარი სავარძლისთვის ბრძოლაზე და საკუთარი კანდიდატურა ამჟამინდელი პრეზიდენტის, ლენარტ იოჰანსონის სასარგებლოდ მოხსნა. ამგვარად, არ შედგა დიდი ბრძოლა კაიზერ ფრანცსა და მიშელ პლატინის შორის, რასაც მთელი ევროპა დიდი ინტერესით ელოდა. თუმცა ბეკენბაუერი საერთაშორისო ასპარეზს არ დატოვებს: არჩევნების შემდეგ ის უეფას წარმომადგენელი გახდება ფიფას აღმასრულებელ კომიტეტში. არჩევნებამდე ორი დღით ადრე კაიზერს „გაძეტა დელო სპორტის“ კორესპონდენტი გაესაუბრა.

ინტერვიუ ფრანც ბეკენბაუერთან

კაიზერი იოჰანსონს ირჩევს

იტალიური ფეხბურთის მთავარ პროგლემად ბეკენბაუერი სტადიონების ძველს მიიჩნევს

- თქვენ და გერმანიის ფეხბურთის ფედერაცია ლენარტ იოჰანსონის ხელახლა არჩევას უჭერთ მხარს. რატომ?

- იმიტომ, რომ ევროპული ფეხბურთი არასოდეს ყოფილა ისე კარგად აწყობილი, როგორც მისი ხელმძღვანელობის პერიოდშია. იოჰანსონი უპატიოსნესი და ღირსეული ადამიანია, უეფას ბრწყინვალედ უძღვება და ამ ორგანიზაციისთვის გრანდიოზული საქმეები აქვს გაკეთებული.

- და რას ფიქრობთ მიშელ პლატინის შესახებ?

- არაფერია ისეთი, მის საწინააღმდეგოდ რომ მეტყველებდეს. შეიძლება, 52 წლის ასაკში ცოტა მოუთმენლობა გამოამჟღავნა, მოცდა არ ისურვა. პლატინი უდიდესი ფეხბურთელი იყო და ხელმძღვანელის როლშიც ჰქონდა გარკვეული წარმატებები. მაგრამ გერმანიის ფედერაცია იოჰანსონის პოზიციას მიემხრო.

- ვინ გაიმარჯვებს საპრეზიდენტო არჩევნებში?

- უმძიმესი ბრძოლა იქნება. კანდიდატს თვალი იქით უნდა ეჭიროს, საიდანაც ხმები მოდის. აშკარაა, რომ პლატინიმ ძალიან დაკვირვებული და შორსგამიზნული წინასაარჩევნო კამპანია ჩაატარა.

- გაგიკვირდათ, როცა გასული წლის საუკეთესო ფეხბურთელად ყველა პრესტიჟულმა გამოკითხვამ კანავარო დაასახელა?

- ყოველთვის გასაკვირია, როცა ასეთი პრესტიჟული ჯილდოების მოგებას მცველი ახერხებს. კანავარომ მსოფლიო ჩემპიონატზე უდიდესი როლი ითამაშა, მაგრამ უფრო მეტად ბუფონის მეორე ადგილზე გასვლამ გამაოცა. ეს იმას ნიშნავს, რომ თავდამსხმელებმა მართლა ძალიან ცოტა გააკეთეს.

- მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ როგორ უყურებთ იტალიურ ფეხბურთს?

- იტალიური ფეხბურთი ყოველთვის მონინავე ადგილებს იკავებს. მაგრამ ის, რომ იტალიაში თამაშებს მხოლოდ 7-8 ათასი მაყურებელი ესწრება, ძალიან სამწუხარო ფაქტია.

- თქვენი აზრით, რა არის ამის მიზეზი?

- იტალიაში სტადიონები ძველია, ბილეთების ფასი კი ძალიან მაღალია. ტელევიზიების ბრალია? არა მგონია. ფასიანი ტელევიზია გერმანიაშიც ყველა თამაშს პირდაპირ ეთერში აჩვენებს, მაგრამ ხალხი სტადიონებზე მაინც დადის. ის კი არა, მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ დასწრებამ საგრძნობლად იმატა, რაც პირველ რიგში იმის დამსახურებაა, რომ სტადიონებია კომფორტული და კეთილმოწყობილი. ჩვენში ხალხი ახლა ბევრად უფრო დიდი სიხარულით მიდის სტადიონზე.

- მიზეზი ფეხბურთის ხარისხიც ხომ არ არის?

- არა მგონია. თუმცა ვფიქრობ, რომ იტალიისთვის უკეთესი იქნებოდა, სერია A 16 ან 18 გუნდისგან შემდგარი რომ იყოს. ბევრი გუნდია ისეთი, ვინც ხალხს ნაკლებად იზიდავს. გარდა ამისა, „იუვენტუსის“ სერია B-ში ყოფნით, ჩემპიონატს ის გუნდი აკლია, რომელსაც ტრადიციულად ყველაზე მეტი მაყურებელი და მიმდევარი ჰყავს.

- რატომ ხდება, რომ იტალიის ჩემპიონატი გერმანელ ფეხბურთელებს ვეღარ იზიდავს, როგორც ეს ერთ დროს იყო?

- იმიტომ, რომ გერმანელი ფეხბურთელები ვეღარ აკმაყოფილებენ საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნებს. კლოზეს გარდა, არის კიდევ ვინმე?

- და იტალიელი ფეხბურთელები რატომ არ მიდიან გერმანიის ჩემპიონატში სათამაშოდ?

- რატომ უნდა დატოვონ ის სამოთხე, რომელიც საკუთარ ქვეყანაში აქვთ?

- იანვრის ბოლომდე იტალიაში შეიძლება, რონალდო დაბრუნდეს? როგორ უყურებთ ბრაზილიელის შესაძლო ტრანსფერს „მილანში“?

- ამ კითხვით „მილანის“ ხელმძღვანელებს უნდა მიმართოთ. თუმცა იმის თქმა კი შეიძლება, რომ რონალდო დღესაც დიდი ფეხბურთელია.

- დაბოლოს, ჩემპიონთა ლიგა. როგორ ფიქრობთ, ვინ მოიგებს წელს ამ ტურნირს?

- პროგნოზის გაკეთება ძნელია, მაგრამ ესპანეთი ძალიან ძლიერი გუნდებით არის წარმოდგენილი: „ვალენსია“, „ბარსელონა“... და ასევე „რეალი“, რომელიც შესაფერის მომენტში ყოველთვის აჩენს თავის ძალას, რაც არ უნდა უჭირდეს. გასათვალისწინებელია ასევე კაპელოს სტილი: მას ყველგან და ყოველთვის გამარჯვება უნდა, არ არის იმ მწვრთნელების კატეგორიიდან, ვისაც მარტო კარგი თამაში აინტერესებს. ამიტომაა, რომ რონალდოები და ბექჰემები არ სჭირდება. ესპანელების გარდა, დიდი ყურადღებით ვაკვირდები „ლიონის“ თამაშს. ეს მართლაც სენსაციური გუნდია.

გოგა ახალაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩელსი. დიდი შერიგება

უმნიშვნელოვანესი დუბლი შევჩენკოსაგან

მოურინიომ ტერის უთხრა, რომ ლონდონში რჩება

ანდრეი შევჩენკო

ანდრეი შევჩენკომ შვიდკვირიანი უგოლო სერია შეწყვიტა. სამშაბათს ინგლისის ლიგის თასის განმეორებით ნახევარფინალში "ჩელსიმ" მეოთხე დივიზიონის "ვიკომბი" 4:0 გაანადგურა. უკრაინელმა დუბლი შეასრულა. ორი გოლი გაიტანა **ფრენკ ლემპარდმაც. ჯონ ტერის** არყოფნაში ეს უკანასკნელი კაპიტნის სამკლაურით ასპარეზობს.

"სანის" მიმომხილველის ვარაუდით, სამშაბათის გოლები შევჩენკოს კარიერაში, შეიძლება ყველაზე მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს. ანდრეის უკვე მეორე წუთზე შეეძლო თავის გამოჩენა, მაგრამ არაზუსტად დაარტყა. კიდევ ერთი რეალური მომენტი მე-14 წუთზე ჰქონდა, მაგრამ მცველებმა დაუფარეს. 22-ე წუთზე კი მას ხელი ვეღარავინ შეუშალა. შევამ მეტოქის შეცდომით ისარგებლა, "ვიკომბის" მეკარესთან პირისპირ გავიდა და დაბალ კუთხეში დასცხო. ეს მისი პირველი გოლი იყო 5 დეკემბრის შემდეგ. ანდრეის წარმატებამ **ჟოზე მურინიო** ისე გაახარა, რომ სკამიდან წამოხტა და ხელების ქნევას მოჰყვა.

მწვრთნელმა უსუსტეს მეტოქესთან უძლიერესი შემადგენლობა გამოიყვანა. პირველი წუთიდანვე ითამაშა შევჩენკომ, რომელიც ბოლო დროს განუწყვეტლივ სკამზე იჯდა. ტაიმის დასრულებამდე ორი წუთით ადრე ანდრეიმ **დიდიე დროგბას** პასით ისარგებლა, ხელოვნურ თამაშგარეს დაუსხლტა და მეორედ შეაგდო.

შესვენების შემდეგ "ჩელსის" უპირატესობა კიდევ ორ გოლში გამოიხატა. "არისტოკრატები" ბოლო სამ წელიწადში მეორედ გავიდნენ ლიგის თასის ფინალში. ინგლისის ლიგის თასი პირველი ტიტული იყო, რომელიც მოურინიომ "ჩელსიში" დანიშვნის შემდეგ მოიპოვა (2005 წლის თებერვალში). "არისტოკრატთა" მეტოქის ვინაობა გუშინ, "არსენალისა" და "ტოტენჰემის" მატჩში უნდა გაირკვეულიყო. 25 თებერვლის ლონდონურ ფინალს კარდიფის "მილენიუმ სთედიუმი" უმასპინძლებს.

"ვიკომბთან" თამაშის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე მოურინიოს პირველად ეს ჰკითხეს, აპირებთ თუ არა "ჩელსიში" დარჩენას მიმდინარე სეზონის შემდეგო. მწვრთნელმა მიუგო: *"რამდენიმე დღის წინ ჯონ ტერიმაც ეს მკითხა და ვუთხარი, მგონი, ვრჩები მეთქი."* დანარჩენი დრო ჟოზემ შევჩენკოზე საუბარს დაუთმო: *"დღეს ის ისეთი კარგი იყო, რომ კვირასაც* ("ნოტინგემ ფორესტთან" ასოციაციის თასის მეოთხე რაუნდში) *ძირითადში ითამაშებს."*

უკრაინელი 83-ე წუთზე შეცვალეს. "სტემფორდ ბრიჯის" პუბლიკამ ის ტაშით გააცილა, მწვრთნელმა კი თბილად ჩამოართვა ხელი - განსხვავებით შაბათისაგან, როცა "ლივერპულთან" დამარცხებულმა მოურინიომ თავდამსხმელს ზედაც კი არ შეხედა: *"თუ ფეხბურთელები დავალებას კარგად ასრულებენ, ვალმერთებ, თუ არა - სიძულვილს ვერ ვფარავ. ზოგჯერ კოცნის ხასიათზე ხარ, ზოგჯერ ჩხუბის. მე არ ვჩხუბობ ხოლმე, უბრალოდ ყურადღებას არ ვაქცევ. შევჩენკო კარგი ბიჭია. ვფიქრობ, დღევანდელი თამაშით თვითონაც ისიამოვნა. მან იცის, რას მოვითხოვ. შევჩენკოს გუნდთან შეგუება ხანგრძლივი პროცესია და არა რალაც, რაც ერთი ხელის დაკვრით შეიძლება გადაწყდეს. ვფიქრობ, ის ნელ-ნელა უახლოვდება იმ კონდიციებს, რომელსაც ვითხოვთ."*



ეიდურ გუდიონსენი

ინტერვიუ ეიდურ გუდიონსენთან

ისლანდიელებს ძლიერი იმუნიტეტი გვაქვს

დაუნდობელი ბრძოლა ძირითადში დამკვიდრებისთვის

"ბარსელონის" ისლანდიელ ფორვარდს კატალონიაში ჩასვლის შემდეგ ყველაზე რთული დრო დაუდგა. გუდიონსენმა კარგად იცოდა, რომ სამუელ ეტოოს, ლიონელ მესისა და რონალდინიოს კომპანიაში ძირითად შემადგენლობაში მოხვედრის დიდი შანსი არ ექნებოდა. ის სათადარიგო ფეხბურთელის სტატუსს იმ იმედით დათანხმდა, რომ რომელიმე ვარსკვლავის ტრავმის ან დისკვალიფიკაციის შემთხვევაში მოედანზე გასვლასა და საკუთარი საქმის კეთებას შეძლებდა. ასეც იყო, მოგეხსენებათ, ეტოო და მესი უმძიმესი ტრავმების გამო ლაზარეთში აღმოჩნდნენ. ამით ისლანდიელს ხელ-ფეხი გაეხსნა. მან არაერთი ორთაბრძოლა ჩაატარა, თუმცა მოულოდნელად სრულიად სხვა მხრიდან სერიოზული პრობლემა შეექმნა. ხავიერ სავიოლამ იმდენად დიდი პროგრესი განიცადა, რომ ეიდურს ძირითად შემადგენლობაში ადგილი წაართვა. "სევილიაში", "ბეტისთან" ორთაბრძოლის გასამართად გამგზავრებამდე ისლანდიელს "დიარიო სპორტის" კორესპონდენტი შეხვდა და ინტერვიუ ჩამოართვა.

- როდის მიხვდით, რომ "ხიმნასტიკთან" მატჩში სათადარიგოთა სკამზე აღმოჩნდებოდით. რიიკაარდმა ეს უსიამოვნო ინფორმაცია თამაშის დაწყებამდე მცირე ხნით ადრე ხომ არ მოგაწოდათ?

- რიიკაარდმა ტარაგონელებთან შეხვედრამდე ერთი საათით ადრე მართლაც მითხრა, ძირითადში არ ხარო. ჩემთვის ეს სიურპრიზი სულაც არ ყოფილა. მთელი კვირის განმავლობაში სათადარიგოს ბიჭებთან ერთად ვვარჯიშობდი, რაც იმას ნიშნავდა, რომ მთავარი მწვრთნელი საბრძოლველად ხავიერ სავიოლას ამზადებდა. არგენტინელი დიდი შემართებით მუშაობდა. მოკლედ, ნინასწარ ვიცოდი, რომ პირველივე წუთიდან თამაში არ მომიწევდა. როგორც გითხარით, ეს ამბავი რიიკაარდმა შეხვედრამდე მცირე ხნით ადრე დამიდასტურა.

- კონკრეტულად, რა გითხრათ რიიკაარდმა? მხოლოდ ინფორმაცია მოგაწოდათ და არაფერი განგიმარტათ?

- მისთვის ახსნა-განმარტებები არ მითხოვია. ყველა ხედავს, რომ სავიოლა ჩინებულ ფორმაშია. გულწრფელად ვიტყვი, თამაშს ისიც იმსახურებს. ბუნებრივია, სათადარიგოთა სკამზე კომფორტულად ვერ ვგრძნობ თავს, ბედნიერებაზე საუბარიც ზედმეტია, მაგრამ ერთ შეხვედრაში სამი გოლის გამტან ფორვარდს შანსი აუცილებლად უნდა მიეცეს. სხვაგვარად ვერც მოხდებოდა. ჩემი აზრით, რიიკაარდმა აბსოლუტურად სამართლიანი გადაწყვეტილება მიიღო.

- სათასო შეხვედრაში სამი გოლი იმის გამო ვერ გაიტანეთ, რომ განაცხადშიც კი არ შეგიყვანეს. ვიფიქრეთ, რიიკაარდმა გუდიონსენი პრიმერა დივიზიონისთვის დაასვენა-თქო. ჩვენი ვარაუდი მცდარი აღმოჩნდა. ხომ არ გეჩვენებათ, რომ მთავარი მწვრთნელი თქვენი თამაშით უაღრესად უკმაყოფილოა?

- მეც ვიფიქრე, სათასო დაპირისპირებისთვის იმიტომ არ მიხმო, რომ სურს, ჩემპიონატისთვის დამასვენოს-მეთქი. თქვენ კი არა, მეც შევცდი. იმ მომენტისთვის, როცა მოედანზე გასვლა მომიწევს, კიდევ უფრო კარგად დასვენებული ვიქნები. ცხოვრებაში ყოველთვის ისე არ ხდება, როგორც ჩვენ გვგონია. სიურპრიზებიც ხშირად გვაოცებს.

- უსიამოვნო სიურპრიზი ალბათ არავის ახარებს...

- რა თქმა უნდა, თუმცა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მაზოხიზმთან არ გვაქვს საქმე. ვაღიარებ, განაცხადს მიღმა აღმოჩენა და სათადარიგოთა სკამზე დასმა ჩემთვის ძალიან მტკივნეულია, მაგრამ მოუთოკავი ემოციების მქონე ადამიანთა კატეგორიას არ განვეკუთვნები. ჩუმად ვიმუშავებ და შევეცდები, რიიკაარდი დავარწმუნო, რომ არავიზე ნაკლები არ ვარ. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. მიუხედავად ყველაფრისა, მომავლის იმედი არ დამიკარგავს. ჯერ ყველაფერი წინაა. რაც მთავარია, მშვიდი და მტკიცე ნერვები მაქვს. ჩემი წინაპრები ჩრდილოურ კლიმატს, ძვლების გამყინველ სუსხს არ უშინდებობდნენ და შესანიშნავ ქვეყანას აშენებდნენ. ასე რომ, როგორმე მეც გავუძლებ. ისლანდიელებს წარმოუდგენლად ძლიერი იმუნიტეტი გვაქვს (იცინის).

- "კამპ ნოუ" რიიკაარდის მიმართ კატეგორიულად და ოდნავ აგრესიულად განეწყო. ინჩასები მისგან შემადგენლობაში ცვლილებების შეტანას ითხოვდნენ. ხალხი სავიოლას გვარს სკანდირებდა...

- იმედია, ეს ჩემს წინააღმდეგ მოწყობილი აქცია არ იყო. ვფიქრობ, საზოგადოებას უბრალოდ სავიოლას გამოყვანა და მისი თამაშის ხილვა სურდა. ხავიერი "ბარსელონაში" ძალიან დიდი ხნის წინათ ჩაირიცხა. მართალია, მას შემდეგ მან რამდენიმე კლუბში იჯარის წესით მოღვაწეობდა, მაგრამ კატალონიელ გულშემატკივართა თვალში პოპულარობა არ დაუკარგავს. ის ხალხის ერთ-ერთი კერპია. მერწმუნეთ, უამრავი ფანი ჰყავს. არ მინდა ვინმემ ჩათვალოს, რომ არგენტინელს პირად პრობლემად და ბარიერად აღვიქვამ. მეც არ მინდა, ასე ვიფიქრო. გულწრფელად რომ მოგახსენოთ, სავიოლას უშუალო კონკურენტად არც მივიჩნევ. შესაძლებლობების მაქსიმუმი ჯერაც არ გამომივლენია. თუმცა, რომელ მაქსიმუმზეა საუბარი, მაშინ, როცა პოტენციალის 60 პროცენტის დემონსტრირებაც ვერ მოვასწარი. მოდით, მას შემდეგ ვილაპარაკოთ, რაც სასურველ კონდიციებს აღვიდგენ.

- რა არის ის მოტივი, რომელიც გაიძულებთ, ყოველ დილით ფეხზე წამოხტეთ, ბაზაზე წახვიდეთ და თავდაუზოგავად ივარჯიშოთ?

- რამდენიმე მოტივი მაქვს. გენიალურ გუნდში გადმოვედი. ყველა დამეთანხმება, რომ ისეთ გრანდში, როგორიც "ბარსელონაა" საუკეთესო თვისებების გამოვლენა და რაიმე ახლის თქმა ურთულესი საქმეა. იქნებ მითხრათ, რითი უნდა განვაცვიფრო კატალონიელი გულშემატკივრები? მართლაც წარმოუდგენელია, მაგრამ ის, რასაც ვერ წარმოიდგენ, შეუძლებელი სულაც არ არის. აი, ჩემი მთავარი მოტივაციაც, მსურს, "ბარსელონის" გულშემატკივრებს სამუდამოდ დავამახსოვრო თავი. დანარჩენ მოტივებს რაც შეეხება, რა თქმა უნდა, ტიტულების მოხვეჭის დაუოკებელ წყურვილს უკავშირდება.

- მე მაინც პირდაპირობას ვამჯობინებ. გულშემატკივრები ხმამაღლა და დაუფარავად ამბობენ, რომ ეიდურ გუდიონსენს ხავიერ სავიოლა ურჩევნიათ. თქვენთვის ეს ძალიან დამამცირებელია?

- არა. კარიერის განმავლობაში უამრავი სირთულე გადამილახავს და ფაქტობრივად, გამორიცხულია, რომ გულშემატკივრებმა რაიმეთი გამაკვირვონ. ცხოვრებამ მორიგი გამოცდა მომიწყო. დიდი გამოცდილება მაქვს და ზუსტად ვიცი, როგორ უნდა მოვიქცე. ერთი სიტყვით, ფეხბურთის გარდა ყურადღებას არაფერს ვაქცევ. დამამცირებელი ის იქნება, იმედი რომ დავკარგო.

- სამუელ ეტოოსა და ლიონელ მესის დაბრუნების შემდეგაც არ დაკარგავთ ძირითად შემადგენლობაში თამაშის იმედს?

- მათ გამოჯანმრთელებას მთელი კატალონია ელის. მე, როგორც ნამდვილი ბარსელონისტი, მათ დაბრუნებას გულით მივესალმები. ჩასაფრებული ნამდვილად არ გახლავართ. არც ალტრუისტი ვარ და ვერ ვიტყვი, რომ სხვების კეთილდღეობის ფასად ძირითადში მოხვედრის შანსის გაუარესება მახარებს. ბუნებრივია, სამუსა და ლეოს გამოჯანმრთელების შემდეგ კონკურენცია ერთი-ორად გაიზრდება, მაგრამ იმედს არც ერთ შემთხვევაში არ დავკარგავ. უიმედო ადამიანი პოზიტიურ საქმეს ვერასოდეს გააკეთებს.

- "ჩელსიდან" წამოსვლას ხომ არ ნანობთ?

- კონტრაქტის გაფორმებამდე ბევრს ვფიქრობდი. კატალონიელთა წინადადებას ყველა დეტალის გაანალიზების შემდეგ დავთანხმდი. რა თქმა უნდა, ვიცოდი, რომ პლანეტის საუკეთესო კლუბში ჯოჯოხეთური კონკურენცია იქნებოდა. შესაძლოა, "ჩელსიში" მეტი შანსი მქონოდა, მაგრამ გადავწყვიტე, ცხოვრების გამოწვევა მიმეღო. არაფერს ვნანობ. პირიქით, ბედნიერი ვარ, რომ "ბარსელონაში" ჩავირიცხე.

- როგორ ფიქრობთ, თქვენი და სავიოლას ერთად თამაში თუ შეიძლება?

- რატომაც არა? ჩვენს შორის ჰოკეისტი არავინაა. ორივე ფეხბურთელები ვართ და თუ მწვრთნელი გადაწყვეტს, ერთად ჩინებულად ვიასპარეზებთ.

- "ბარსელონაში" ჰენრიკ ლარსონის შესაცვლელად ჩამოგიყვანეს. როგორ ფიქრობთ, შვედს უფრო წარმატებული კარიერა ჰქონდა?

- მე არავის ვედრები. არ მიყვარს, როცა რომელიმე ფეხბურთელის კონტექსტში მომიხსენიებენ. ყველას საკუთარი გზა აქვს გასავლელი. ასე რომ, ლარსონთან შეჯიბრს არ ვაპირებ. მან აქ დიდი საქმე გააკეთა. წარმატებებსაც მიაღწია და წავიდა. იმედია, ჩემი თამაშის შეფასებისას ჰენრიკს საერთოდ არ ახსენებენ. ჩვენ ორი სხვადასხვა ადამიანი ვართ.

- მართალია, მოურინიო "ჩელსიდან" მიდისო?

- არ ვიცი.

- ყოფილ თანაგუნდელებთან კავშირი აღარ გაქვთ?

- მაქვს, მაგრამ ამ ინფორმაციას ისინიც არ ფლობენ. ამასთან, სხვა კლუბის საიდუმლოების გამხელა დიდი არაკაცობა იქნებოდა. მოკლედ, რომც ვიცოდე, მაინც არაფერს გეტყოდით (იცინის).

- ჩემპიონთა ლიგაში "ლივერპულთან" მოგიწევთ დაპირისპირება. თქვენ ინგლისურ ფეხბურთში თამაშის დიდი გამოცდილება გაქვთ. საინტერესოა, რიიკაარდს რაიმე ხომ არ უკითხავს, ან რჩევა ხომ არ უთხოვია?

- ერთხელ ხუმრობით მითხრა, რა გუნდია "ლივერპული," ხომ არ გამაცნობო. ვუთხარი, ეს ხომ ჩემზე კარგად იცით-მეთქი. რიიკაარდს ჩემი რჩევა ალბათ, არ დასჭირდება. გლობალიზაციის პირობებში ინფორმაცია ხელმისაწვდომია. ფრანკი "წითელი ეშმაკების" სტილსა და შესაძლებლობებს კარგად იცნობს.

- პრიმერა დივიზიონში სიტუაცია სერიოზულად დაიძაბა. როგორ ფიქრობთ, "სევილია" "ბარსელონისა" და "რეალის" ქიშპში ბოლომდე ჩაერევა?

- ჩემი აზრით, სევილიელთა დროებით ამბიციებზე საუბარი შეცდომაა. მათ არაერთხელ დაამტკიცეს, რომ სერიოზული ამოცანების გადაჭრის უნარი შესწევთ. ანდალუსიელები ჩემპიონობისთვის ბრძოლას ბოლომდე არ შეწყვეტენ. ალბათ, ძალიან ბრაზდებიან, როცა მთავარ ფავორიტებად "ბარსასა" და სამეფო კლუბს ასახელებენ. "სევილიაც" ერთ-ერთი უპირველესი ფავორიტია.

ილია ნიკოლაიშვილი

ერთვნული ბიბლიოთეკა

მარიო ბასლერის სვეტი

მირო, დაურეკე ბალაკს

სანამ ვერდერში ოვომოიელა ირიცხება...



ძილი ძალიან მიყვარს და შუაღამისას მხოლოდ ორი რამის გამო შეიძლება წამოვდგე ლოგინიდან. პირველი: თუკი ჩემი ოჯახის რომელიმე წევრი ავადაა და მეორე: თუკი, ტელევიზორში „ვერდერის" თამაშს აჩვენებენ. მე ხომ არ ვამბობ, რომ ბრემენული კლუბი ევროპაში ყველაზე ლამაზ ფეხბურთს თამაშობს და ამით მაოცებს. არა! უბრალოდ, ძალიან მიხარია, რომ გერმანიაში, ბოლოს და ბოლოს, გამოჩნდა გუნდი, რომელიც ჯეროვან კონკურენციას უწევს „ბაიერნს" - „ბაიერნს", რომელიც წლების განმავლობაში თავზე აჯდა გერმანიას. გამოჩნდა და ყველანი რაღაც განსაკუთრებული ინტერესით შევცქერით ამ გუნდს – „ვერდერს".

პირადად მე **ტორსტენ ფრინგსი** და **დიეგო** აღმაფრთოვანებენ. ნახევარდაცვის ცენტრში ეს წყვილი შეუდარებელია და ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ერთმანეთისგან კარდინალურად განსხვავებული ტიპები არიან, აბსოლუტურად სხვადასხვა ამოცანებით – დიეგომ უნდა შექმნას, ფრინგსმა უნდა ჩაშალოს. მიუხედავად იმისა, რომ სულ რაღაც ნახევარი წელია, რაც დიეგო ბრემენშია, მან უკვე სრულფასოვნად დაიმკვიდრა ადგილი და ერთ-ერთი ყველაზე სიმპათიური ფეხბურთელი გახდა. ძალიან გავბრაზდი, როცა რამდენიმე ბრემენელმა თქვა, დიეგო ზანტია და თავის თავზე ზედმეტად ბევრს იღებს, მიკუ უფრო კარგი და გულუხვი გამთამაშებელი იყოო. თავდამსხმელმა, რომელიც დიეგოს გააკრიტიკებს, უნდა დაითვალოს, რამდენი გოლი აქვს გატანილი, უფრო სწორად, რამდენი დარტყმიდან რამდენი გაიტანა, მორჩა და გათავდა!

მით უმეტეს, რომ „ვერდერს" სწორედ თავდასხმაში აქვს პრობლემები. პირველ წრეში ფორვარდებს ბევრი მომენტი რომ არ გაენიავებინათ, ბრემენელები ახლა გაცილებით წინ იქნებოდნენ და მეც ვიტყოდი, ჩემპიონები გახდებიან-მეთქი. სამწუხაროა, რომ მეორე წრისთვის ფორვარდი ჯერ ვერ იყიდეს. **მოჰამედ ზიდანი** წავიდა (ისე, ვერ გავიგე, რატომ ვერ წარმოაჩინა ამ ბიჭმა „ვერდერში" თავისი შესაძლებლობები, მისი ადრინდელი თამაშები ნანახი მაქვს და გაცილებით მეტი შეუძლია, ვიდრე გვიჩვენა), **ივან კლასნიჩი** კი დიდი ხნის განმავლობაში ვერ ითამაშებს – თირკმელს უნერგავენო, მალე გამოჯანმრთელდი, ივან! **უგო ალმეიდა** დიეგოს მეგობარი კი არის, მაგრამ საფეხბურთო თვალსაზრისით, მათ საერთო არაფერი აქვთ. **აარონ ჰანტიც** ტრავმირებული იყო და კაცმა არ იცის, რას მოახერხებს მეორე წრეში. და **კლოზე**?

მიროს შემთხვევა განსაკუთრებულია. ის ახლა მომავლის სუდოკუს თამაშობს: ამბობს, 5 გუნდი 3-4 ქვეყნიდანო. რა გასაკვირია, რომ ძალიან უნდა, წელიწადში 6 მილიონი ევრო უხადონ. ცოლშვილიანია, ორი ბავშვი ჰყავს, რაც არ უნდა იყოს. და ამ ყველაფრიდან რა გამოდის? სატრანსფერო თეატრი, წარმოდგენა, რომელიც ყველას ნერვებს უშლის.

ეჰ, მირო, მოდი, ერთ კარგ რჩევას მოგცემ: დაურეკე **მიხაელ ბალაკს** და ჰკითხე, რამდენად „იოლია" სხვა ქვეყანაში ფეხის მოკიდება. ის ყველაფერს კარგად აგიხსნის, მწარე გამოცდილება მიიღო და იმიტომ. ანაც ფრინგსს დაელაპარაკე და ჰკითხე, რა გადაიტანე „ბაიერნში" ისეთი, ასე თავპირისმტვრევით რომ გამოიქეცი ბრემენში-თქო. ის გეტყვის, რა და როგორ ხდება რეკორდმაისტერში. დარწმუნებული ვარ, რომ ბალაკთან და ფრინგსთან კონსულტაციების შემდეგ, მაშინვე **კლაუს ალოფსთან** მიხვალ და ახალ კონტრაქტს ხელს მოაწერ. საღამოს კი შენს მეუღლეს ვახშამზე დაპატიჟებ. აი, იქ კი, რესტორანის მენიუში, შეგიძლია აირჩიო ესპანური, ინგლისური ან იტალიური კერძები.

როგორც ამბობენ, მას შემდეგ, რაც **ჯონ კარუმ** „ასტონ ვილას" მიაშურა, ბრემენელებს აქცენტი აიაქსელ **მარკუს როზენბერგზე** გადაუტანიათ. ეს ბევრისთვის საერთოდ უცნობი ფეხბურთელია, მაგრამ ეგ არაფერი – „ვერდერს" სჩვევია ვარსკვლავების აღმოჩენა. თუ როზენბერგი ბრემენში ჩავა, ეს არ იქნება ბუნდესლიგის მოგების გარანტია, აი, უეფას თასის მოგებისა კი, შესაძლოა, იყოს. და თუ ეს ასე მოხდა, მაშინ ალოფსი **თომას შაფს** კონტრაქტს 2010 წლამდე გაუგრძელებს. 7 წელია, რაც ეს კაცი ბრემენულ კლუბს წვრთნის.

მინდა, დაცვაზეც ვთქვა ორიოდ სიტყვა. საჯარიმო დარტყმების ოსტატ **ნალდოსა** და აყლაყუდა **მერტეზაკერის** ტანდემი უკანა ხაზის დაცვის ცენტრში, შეუდარებელია. კარში კი **ტიმ ვიზე** დგას, რომელიც, ჩემი აზრით, გერმანიის ნაკრების მეორე გოლკიპერი უნდა იყოს.

„ვერდერი" სიამოვნებას მანიჭებს. მაგრამ არის ერთი რამ, რის გახსენებაზეც სიცილით ვკვდები და რაც ბრემენული კლუბის უდიდეს სირცხვილად მიმაჩნია. **პატრიკ ოვომოიელა!** ტირილი მინდება, როცა მახსენდება, რომ ეს ფეხბურთელი გერმანიის ნაკრებში თამაშობდა. ახლა კი „ვერდერის" ძირითად შემადგენლობაშიც კი ვეღარ ხვდება და საერთოდ, 2006 წლის ფიასკო ფეხბურთელია. ვერაფრით გამიგია, რატომ იყიდა ოვო ალოფსმა. ეს ტრანსფერი **ვილი ლემკეს** დროს რომ განხორციელებულიყო, კიდევ ჰო, მაგრამ ალოფსს ხომ წესით, ჭკუა მოეკითხება. მოკლედ, სანამ „ვერდერში" ოვომოიელა ირიცხება, მე ამ გუნდს მაინც ცალი თვალით ვუყურებ...

მარიო ბასლერი
ბილდი

ივან კლასნიჩი

ვერდერი

კარუ არა? მაშინ როზენბერგი

ივან კლასნიჩს თირკმელს გადაუნერგავენ...

„ვერდერის" ხელმძღვანელებს **ჯონ კარუს** შეძენა ძალიან უნდოდათ, მაგრამ „ლიონს" ნორვეგიელი თავდამსხმელის სატრანსფერო თანხაზე ვერ მოურიგდნენ. „ლიონმა" კი, კარუ „ასტონ ვილას" **მილან ბაროშში** გაუცვალა. ერთი სიტყვით, ბრემენული კლუბი პირში ჩალაგამოვლებული დარჩა. კულისებიდან გამოჟონილი ინფორმაციის თანახმად, „მუსიკოსებმა" აქცენტი სასწრაფოდ „აიაქსის" ცენტრფორვარდ **მარკუს როზენბერგზე** გადაიტანეს და ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ ამ დღეებში ეს უკანასკნელი „ვერდერის" ფეხბურთელი გახდეს.

შეგახსენებთ, რომ როზენბერგის შეძენა ბრემენელებს ჯერ კიდევ ზაფხულში სურდათ და საერთოდ, ძალიან დიდი ხანია, რაც ამ შვედ ფორვარდს აკვირდებიან. 24 წლის თავდამსხმელი „აიაქსმა" 2005 წელს გადაიბირა. 4-3-3 ტაქტიკაში როზენბერგს ცენტრალური თავდამსხმელის პოზიციაზე უნდა ეთამაშა, მაგრამ მან მალე დაკარგა სასტარტო შემადგენლობაში ადგილი, რადგან **კლაას იან ჰუნტელაარის** კონკურენციას ვერ გაუძლო. დღესდღეობით როზენბერგი ამსტერდამული კლუბის ძირითად შემადგენლობაში ძალიან იშვიათად ხვდება. ასე რომ, ბრემენში გადაბარგებაზე, წესით, უარი არ უნდა თქვას. პრობლემას არც ის უნდა წარმოადგენდეს, რომ უეფას თასის მომდევნო ეტაპზე „აიაქსი" და „ვერდერი" ერთმანეთს ხვდებიან, რადგან როზენბერგმა ამ ტურნირზე უკვე ითამაშა „აიაქსის" რიგებში და შესაბამისად, უეფას თასზე „ვერდერს" ვეღარ დაეხმარება.

კლაუს ალოფსი როზენბერგის შესაძლო ტრანსფერის შესახებ დანვრილებით არაფერს ამბობს და არც არაფერს აკონკრეტებს. „მუსიკოსთა" მენეჯერი არც იმას გამორიცხავს, რომ „ვერდერმა" მეორე წრე ახალი თავდამსხმელის გარეშე დაიწყოს: *„პირველ წრეშიც მხოლოდ კლოზე, ალმეიდა და ჰანტი გვყავდა ჯანზე, მაგრამ ამით ცუდი არაფერი მომხდარა."*

როგორც იცით, **ივან კლასნიჩი** ტრავმირებული იყო და პირველ წრეში თამაში იშვიათად უწევდა. გაირკვა, რომ ხორვატ ფორვარდს სასწრაფოდ თირკმლის გადანერგვა სჭირდება. ფეხბურთელს ოპერაციას ამ კვირაში გაუკეთებენ. ექიმების თქმით, კლასნიჩის კარიერას საფრთხე არ ემუქრება, ივანი მოედანს ორთვენახევრის შემდეგ დაუბრუნდება.

კლასნიჩს „ვერდერთან" კონტრაქტი სეზონის ბოლოს უმთავრდება და ახალი ხელშეკრულება ჯერაც არ გაუფორმებია. ალოფსი ამბობს: *„ჩვენ მას აუცილებელად შევთავაზებთ კონტრაქტის ერთი წლით გაგრძელებას. არ დავუშვებთ იმას, რომ ზაფხულში უმუშევარი დარჩეს."*

შალკე

ღმერთი შალკეს მხარეზეა

ყველას კარგად გვახსოვს, რაც დაემართა „შალკეს" 2001 წელს. გელზენკირხენული კლუბის იმდროინდელმა მენეჯერმა, **რუდი ასაუერმა** მაშინ თქვა, საფეხბურთო ღმერთის აღარ მჯერა და საერთოდ, არანაირი ღმერთის აღარ მჯერაო. „შალკეს" დღევანდელი კაპიტანი და დაცვის ბურჯი **მარსელო ბორდონი** დარწმუნებულია, რომ ღმერთი ამჯერად შალკეს მხარესაა და „შპორტ-ბილდში" გამოქვეყნებული წერილით ცდილობს ახსნას, რატომ ფიქრობს ასე...

ღმერთის გარეშე არაფერი ხდება – სხვა თუ არაფერი, ეს მაინც ვიცი. და ისეთი გრძნობა მაქვს, რომ ღმერთი ამ სეზონში შალკელია! როგორც გნებავთ, ისე გაიგეთ, მე კი ვიცი, რომ ღმერთი წელს ჩვენსკენაა!

ცხადია, „ვერდერის", „ბაიერნისა" და ჩემი ყოფილი გუნდის, „შტუტგარტის" სახით, ძალიან ძლიერი კონკურენტები გვყავს. მათაც შეუძლიათ „ვერცხლის სინის" მოგება, მაგრამ რატომღაც მგონია, რომ საქმეს ისე სერიოზულად არ უდგებიან, როგორც ჩვენ. დარწმუნებული ვარ, რომ სეზონს პირველ ადგილზე დავასრულებთ, განსაკუთრებით იმის გამო, რომ მე, როგორც კაპიტანს, ბევრი საენერვიულო აღარ მაქვს. „შალკეში" ყველაფერი ჩინებულადაა. დღითიდღე, სულ უფრო და უფრო მეტად იგრძნობა ის, რომ თითოეული ფეხბურთელი თავდაჯერებულია. ჩვენ გამარჯვებულის მენტალიტეტი ჩამოგვიყალიბდა.

პირველ რიგში, ვარჯიშის დროს ჩანს ის, რომ ჩემპიონობა თითოეულ ჩვენგანს ძალიან უნდა. ჯერ კიდევ სექტემბერში ვთქვი, რომ ჩვენს გუნდში ერთსულოვნება არ იყო. აბსოლუტურად სამართლიანადაც, რადგან იმ დროს მართლა არ ვიყავით ერთ მუშტად შეკრული გუნდი. მას შემდეგ კი, ჩვენთან ბევრი რამ შეიცვალა. ნელ-ნელა, მაგრამ ნაღდ ერთიანობად ჩამოვყალიბდით. თითოეულ ფეხბურთელს თავისი საკუთარი ინტერესები და მოთხოვნები აქვს, ოღონდ იმ მხრივ, რომ ინტერესთა ერთიანობა, პირველ რიგში, გუნდის ინტერესებს ემსახურება. მხოლოდ თავის თავზე არავინ ფიქრობს - ჩვენ ყველანი „შალკეს" ვემსახურებით.

იყო ბევრი წინააღმდეგობა და არაერთი ხელისშემშლელი ფაქტორი, მაგრამ პრობლემებმა მხოლოდ და მხოლოდ გაგვაძლიერა. დარწმუნებული ვარ, რომ უეფას თასზე, „ნანსისთან" მარცხმა თითოეულ ჩვენგანს მწარედ უკბინა და განარისხა. ანაც, გერმანიის თასზე, „კიოლნთან" ნაგებამ. დღესდღეობით ყველა ჩემი თანაგუნდელი ჩემთან ერთად მზადაა იმისთვის, რომ ბოლომდე იბრძოლოს, იბრძოლოს იმ შემთხვევაშიც კი, თუ სხვა დაიზარებს. ეს აბსოლუტურად ყველა ფეხბურთელს ეხება. იმათაც კი, ვინც სათადარიგოთა სკამზე ზის და თამაში იშვიათად უწევს.

ერთ-ერთი ყველაზე დადებითი რამ, რაც პირველ წრეში მოხდა, **კრისტიან პანდერის** გამოჯანმრთელება იყო. პანდერის დაბრუნებით, ერთბაშად ორი რამ მოხდა. პირველი: ჩვენი დაცვის მარცხენა ფრთა ისევ იდეალურადაა დაცული. სანამ პანდერი დაშავებული იყო, მის ადგილზე ისეთი ფეხბურთელები თამაშობდნენ, რომლებსაც სხვაგან ურჩევნიათ ასპარეზობა. მაგალითად, **ლევან კობიაშვილი**, რომელსაც მემარცხენე ნახევარმცველის პოზიციაზე ურჩევნია და ჩვენ ყველამ ვიცით, რომ კობი საუკეთესო თვისებებს ნახევარდაცვაში ავლენს. მოკლედ, კრისტიანის დაბრუნებით კობი ნახევარდაცვისთვის გათავისუფლდა და ესეც მეორე პლუსი.

მას მერე, რაც პანდერი დაგვიბრუნდა, აღარაფერზე ვნერვიულობთ და მხოლოდ ფეხბურთზე ვართ კონცენტრირებულნი. იგივე ეხება **ჰამით ალთინოფსაც**, რომელსაც სეზონის ბოლოს კონტრაქტი უმთავრდება. მის გამო ნურავინ ინაღვლებს – დარწმუნებული ვარ, რომ ჰამითი ჩვენთან დარჩება, რადგან ის „შალკეს" ძალიან სჭირდება.

როცა ამბობენ, **მირკო სლომკა** ჯერ მხოლოდ 39 წლისაა და ჩემპიონობისთვის მომწიფებული მწვრთნელი არ არისო, ნერვები მეშლება. ოდესმე ხომ უნდა დაეწყო სამწვრთნელო კარიერა? მირკომ იცის, რასაც აკეთებს და თავის საქმეს ძალიან კარგად ართმევს თავს. მან დაამტკიცა, რომ ისეთი გადაწყვეტილების მიღებაც შეუძლია, არავინ რომ არ ელის მისგან. ყველაზე მეტად კი ის მომწონს, რომ მას მერე, რაც მთავარი მწვრთნელი გახდა, ოდნავადაც არ შეცვლილა და ზუსტად ისეთია, როგორიც რანგნიკის ასისტენტობის დროს იყო. და დარწმუნებული ვარ, რომ მირკოს არც გერმანიის ჩემპიონობა შეცვლის.

მარსელო ბორდონი

ასევე დარწმუნებული ვარ იმაშიც, რომ ბუნდესლიგაში ბოლო ტურამდე უშელავათო ბრძოლა იქნება. ჩემპიონის ვინაობა ნაადრევად არ გაირკვევა. ყველაზე მეტ ხიფათს, რა თქმა უნდა, მაინც „ბაიერნისგან" ველი. მიუნხენელებმა პირველ წრეში შესაძლებლობების მაქსიმუმი ვერ გამოავლინეს და მჯერა, ამას ვერც მეორე წრეში მოახერხებენ. „ვერდერი" კი, ბევრით არაფრით გვჯობია.

მარსელო ბორდონი
შპორტ-ბილდი

ARSENALI. ინტერვიუ ადრიან ფორდთან

პრემიერლიგა ევროთასებზე უკეთესად იყიდება

არსენალის კომერციული დირექტორი კლუბის ფინანსურ კეთილდღეობას წინასწარმეტყველებს...



2006 წლიდან ლონდონის "არსენალმა" ახალი ცხოვრება დაიწყო. არსენ ვენგერის გუნდმა ისტორიის ის გვერდი დახურა, რომელიც სტადიონ "ჰაიბერის" უკავშირდებოდა. ახლა "მეთოფეები" საშინაო მატჩებს ულტრათანამედროვე სტადიონ "ემირიტსზე" ატარებენ. არენის აშენება კლუბს ძვირი დაუჯდა. ამ ეტაპზე "არსენალს" ევროპულ გრანდთაგან ყველაზე დიდი ვალი აქვს. მაგრამ ლონდონელთა კომერციულ დირექტორ ადრიან ფორდს ყველაფერი კარგად აქვს დაანგარიშებული - "ემირიტსის" საპატიო ლოჟები და პრემიუმ-კლასის ადგილები კლუბს სულ მალე მოგებაზე გაიყვანს. ქვემოთ მოყვანილ ინტერვიუში ფორდი პრემიერლიგაში და ევროპულ ფეხბურთში არსებულ პრობლემებსა და ტენდენციებზე საუბრობს, აგრეთვე "არსენალის" რომელიმე რუსი ოლიგარქისთვის მიყიდვის შესაძლებლობასაც გამორიცხავს.

- როგორია იმ კლუბში მუშაობა, რომელსაც მსოფლიო ფეხბურთში ყველაზე დიდი საბიუჯეტო დეფიციტი აქვს?

- ფორმალურად ეს ასეა: 250 მილიონ ფუნტზე მეტი კრედიტი გვაქვს აღებული, მაგრამ "არსენალის" ფინანსური მდგომარეობა მყარია, იმაზე მყარი, ვიდრე იმ დროს, როცა "ჰაიბერიზე" ვთამაშობდით. ამ სტადიონის მცირე მოცულობისა და არასაკმარისი კომფორტულობის გამო, ყოველ მატჩზე 500 ათას ფუნტს ვკარგავდით. დღეს კი, ყოველ ტურზე "ემირიტსის" მარტო 9 000 პრემიუმ-კლასის ადგილი ზუსტად ისეთივე მოგებას ტოვებს, რამდენსაც "ჰაიბერიზე" ყველა, 38 ათასივე ბილეთის გაყიდვა. "არსენალისთვის" ახალი არენის აშენება - ეს არის ახალ წონით კატეგორიაში, ნამდვილი სუპერკლუბების რანგში გადასვლა. როცა "ემირიტსზე" გადავბარგდით, ვალის რესტრუქტურიზაცია მოვახდინეთ, კრედიტის ვადა 15-დან 25 წლამდე გავზარდეთ და პროცენტიც შევამცირეთ. კლუბის პროგნოზირებადი შემოსავლები ამ ვალის მშვიდად გასტუმრების საშუალებას გვაძლევს.

- რამდენია ახალი არენის ღირებულება?

- დაახლოებით 350 მილიონი ფუნტი, ანუ 600 მილიონი დოლარი.

- ბევრია.

- სამაგიეროდ, ეს ინგლისში ყველაზე თანამედროვე სტადიონია, რომელსაც ყველა უახლესი ტექნოლოგია გააჩნია. აქ არის ელექტრონული ბარათების სისტემა, რომელსაც ბილეთების ნაცვლად გამოიყენებენ. გარდა ამისა, ეს თანხა შეიცავს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურისა და "ჰაიბერის" საცხოვრებელ კომპლექსად გადაკეთების ხარჯებს. ამ კომპლექსს 2010 წელს დაასრულებენ და ის "არსენალს" დამატებით შემოსავალს მოუტანს.

- რითი ხელმძღვანელობდით, როცა სტადიონის ტევადობა 60 ათას ადამიანზე განსაზღვრეთ?

- ჩვენი აუდიტორია გამოვიკვლიეთ. მთელ მსოფლიოში "არსენალის" ოფიციალური ფანკლუბის წევრთა რიცხვი 130 ათას ადამიანს აღწევს. ყოველ მატჩზე ბილეთების მოთხოვნა საშუალოდ 80 ათასია, მაგრამ სჯობს, ბილეთების დეფიციტი არსებობდეს, ვიდრე ზედმეტი დაიბეჭდოს.

- "ემირიტსზე" "ჰაიბერის" ატმოსფეროს გადატანა ვერ შეძელით - ასეთია იმ ადამიანების აზრი, რომლებიც "არსენალის" ორივე არენაზე ყოფილან. გულშემატკივრები ხომ არ წუწუნებენ?

- ასეც ხდება. როცა ძველი ბინიდან ახალში გადადიხარ, ყოველთვის კარგავ შენთვის რაღაც ძვირფასს, მაგრამ ამის გამო სხვაგან გადაბარგებაზე უარს არასოდეს ამბობ. ატმოსფეროს გადატანა რთულია. არა უშავს, ახალ ატმოსფეროს შევქმნით.

- როგორ მიიღეს გულშემატკივრებმა არენისთვის სპონსორის სახელის მინიჭების ფაქტი? მაგალითად, "მანჩესტერ იუნაიტედის" ფანები აქტიურად აპროტესტებენ "ოლდ ტრეფორდისთვის" სახელის გადარქმევის შესაძლებლობას.

- სახელის გაყიდვა მხოლოდ ახალი არენისთვის შეიძლება. "ოლდ ტრეფორდს" "მაკდონალდსს" თუ დაარქმევენ, ამით არაფერი შეიცვლება და სტადიონს მაინც ძველ სახელს დაუძახებენ. "არსენალის" გულშემატკივრებს კი ჩვენი ესმით. "ემირიტსის" ფულის გარეშე, ასეთი ამბიციური პროექტი ვერ განხორციელდებოდა.

- "არსენალში" ინგლისელი ფეხბურთელების სიმცირე ქვეყნის შიგნით კლუბის პოპულარობას არ ვნებს?

- არა მგონია. ინგლისელი ფეხბურთელები - ეს მტკივნეული თემაა. არ შეიძლება იმის თქმა, რომ ჩვენ მათ არ ვზრდით: "ჩელსიში" თამაშობს ეშლი კოული, "ლივერპულში" - ჯერმენ პენანტი, "ბლექბერნში" - დევიდ ბენტლი, სხვა კლუბებშიც არიან ჩვენი აღზრდილები. მაგრამ, მათი უმრავლესობა "არსენალის" ძირითადი შემადგენლობის დონეს ვერ აკმაყოფილებს. სხვა კლუბებში მოთამაშე ინგლისელი ფეხბურთელების შესაძლებლობები კი გადაფასებულია. შესაბამისად, ჩვენ არ გვინდა არაადეკვატური თანხების გადახდა.

- ბოლო 7-10 წელია, ევროპული კლუბები აზიის მიმართულებით ექსპანსიას ეწევიან. რას აკეთებს "არსენალი"?

- ჯერ სხვის გამოცდილებას ვსწავლობთ, რათა შეცდომები არ დავუშვათ. ბევრი კლუბი იქ ოქროს მთებს ელოდა და მაღაზიები გახსნა ტოკიოში, სინგაპურში და ჰონგ კონგში. ახლა ეს მაღაზიები ერთი მეორის მიყოლებით იხურება. დიახ, იქ მართლაც ოქროს მთებია, მაგრამ ბაზარი არც ისე მარტივია.

- არ ცხრება საუბარი ევროპულ სუპერლიგაზე, რომელიც ყველა ევროპულ გრანდს გააერთიანებს და სრულფასოვან, ორწრიან ჩემპიონატს ჩაატარებს. რამდენად რეალურია მსგავსი პროექტის განხორციელება?

- იდეა საინტერესოა, მაგრამ მისი განხორციელება საეჭვოდ მიმაჩნია. ტურნირების დღევანდელ სტრუქტურაში რევოლუციური ცვლილებები სათანადო ფინანსური დაინტერესების ხარჯზე თუ მოხდება. ეს ინტერესი კი არ ჩანს. უფრო მეტიც, ინგლისის ჩემპიონატი უფრო კარგად იყიდება, ვიდრე ევროტურნირები. მაგალითად, შარშან, "ვესტ ჰემთან" ან "ევერტონთან" მატჩებზე ბილეთები უფრო სწრაფად საღდებოდა, ვიდრე "არსენალისა" და "აიაქსის" მატჩზე. საბოლოო ჯამში, ორივე შემთხვევაში ბილეთებს კარგად ვყიდდით, მაგრამ ზოგიერთი კლუბი მაინც ვერ ახერხებს ევროტურნირებზე ტრიბუნების შევსებას. ინგლისური აუდიტორიის თვალში, პრემიერლიგა უფრო მიმზიდველი ასპარეზობაა.

- პერიოდულად ჩნდება ჭორები "არსენალის" რუსი ბიზნესმენებისთვის მიყიდვის თაობაზე...

- ამ ჭორებში სიმართლის დოზა ძალიან მცირეა. რუსები ინგლისურ ფეხბურთში - ეს მოდური თემაა და მე მესმის საინფორმაციო საშუალებების, რომლებსაც უყვართ ამ თემით სპეკულირება, მაგრამ "არსენალის" ექვსი ძირითადი აქციონერიდან, რომლებსაც აქციათა 80 პროცენტი აქვთ, მხოლოდ ერთია თანახმა საკუთარი წილის გაყიდვაზე. ეს არის ტელეკომპანია ITV, რომელიც "არსენალისა" და "ლივერპულის" აქციათა 10-10 პროცენტს ფლობს.

- ამბობენ, "არსენალის" მატჩებს ბევრი მდიდარი რუსი ესწრებაო...

- "ემირიტსზე" საკუთარი ლოჟა აქვს ბორის ბერეზოვსკის და მგონი, კიდევ ვიღაცას, ვისი გვარიც არ მახსენდება. ჩვენ ასეთი 150 ლოჟა გვაქვს...

ლივორნოს სკანდალი

ტოტი: მხოლოდ ერთი მატჩი

კაპიტანი ინტერთან ითამაშებს

"ლივორნოს" მცველმა **ფაბიო გალანტემ ფრანჩესკო ტოტის** ბოდიში მოუხადა. კვირას ამ გუნდების მატჩი 1:1 დასრულდა. მსაჯისგან დამატებულ მეორე წუთზე კი მოვლენები დრამატულად განვითარდა. გალანტესა და ტოტის დუელი იმით დასრულდა, რომ რომაელი კაპიტანი მეტოქეს ეჩხუბა, მერე წითელი ბარათი მიიღო და სანამ გასახდელში ჩავიდოდა, პირად მწვრთნელ **ვიტო სკალასაც** ისე ჰკრა ხელი, რომ სარბენ ბილიკზე გააგორა.

მოგვიანებით გალანტემ აღიარა, რომ ტოტის იდაყვი ჩასცხო. "ლივორნოს" ფეხბურთელი ირწმუნება, ეს განზრახ არ ჩამიდენიაო: "როგორც კი წამოვდექი, ტოტისკენ გავემართე, ბოდიში მოვუხადე და ვუთხარი, რომ ჩემი ხელი შემთხვევით მოხვდა. ფრანჩესკო ჩემი მეგობარია. მას ძალიან ვაფასებ, თანაც, მე უხეში ფეხბურთელი არ ვარ. გასულ სეზონში 35 მატჩი ჩავატარე და მხოლოდ ოთხჯერ გამაფრთხილეს. "რომასთან" მატჩში მიღებული ყვითელი ბარათი ამ სეზონში პირველი იყო. გაზეთებში დაწერეს, თითქოს ტოტი პროვოკაციაზე წამოვაგე, რომ თითქოს მისთვის ტრავმის მიყენება მინდოდა, მაგრამ ეს სიცრუეა. არბიტრის დამშვიდებაც კი ვცადე, მან კი ჩემი მოსმენა არ ისურვა და ფრანჩესკოს წითელი ბარათი უჩვენა. ვწუხვარ, რომ ტოტი გააძევეს. ვფიქრობ, მსაჯს ვითარებაში უკეთ გარკვევა მართებდა."

ტოტისთან ურთიერთობები უკვე გაარკვია **ვიტო სკალამ**. ის ამბობს, რომ რომაელ კაპიტანთან უმნიშვნელო პრობლემაც კი არ აქვს: *"თქვენ წარმოიდგინეთ, ხანდახან ასეთი ამბებიც კი ხდება. როცა თამაშს უზარმაზარი ემოცია და დაძაბულობა ახლავს, მეგობრებიც გავიწყდება და ოჯახიც. ფრანჩეს სიბრაზემ რომ გადაუარა და ერთმანეთს შევხვდით, სიცილი აგვიტყდა. ძალიან სახალისო სცენა იყო."*

აქვე გეტყვით, რომ "ლივორნოსთან" მატჩში მიღებული წითელი ბარათის გამო იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ ტოტის მხოლოდ ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია აკმარა. "რომას" კაპიტანს "ინტერთან" 4 თებერვლის შეხვედრის გამოტოვება არ მოუნევს.



ტოტისა და გალანტეს დუელი, რომელსაც რომას კაპიტნის გაძევება მოჰყვა

სმერტინი ფულჰემშია

ალექსეი სმერტინი ლონდონში გაემგზავრა. მან "ფულჰემში" სამედიცინო შემოწმება გაიარა და კონტრაქტის გასაფორმებლად ემზადება. სამშაბათს სმერტინი მომავალ თანაგუნდელებს წარუდგინეს. ფეხბურთელმა ინგლისი 2006 წლის მარტში დატოვა, როცა 1 მილიონ გირვანქად "ჩარლტონიდან" მოსკოვის "დინამოს" მიაშურა. "დინამოში" მას წლიურად 2.5 მილიონ დოლარს უხდიდნენ. "ფულჰემში" ფეხბურთელის ანაზღაურება გაცილებით ნაკლები ქნება. ლონდონელები "დინამოს" ასევე 1 მილიონს მიუთვლიან.

შეფერი ნიურნბერგიდან შტუტგარტში

შაბათს, ბუნდესლიგის მეორე წრის სტარტზე, „ნიურნბერგი" „შტუტგარტს" ხვდება. ფრანკების მეკარე **რაფაელ შეფერისთვის** ეს განსაკუთრებული მატჩი იქნება, რადგან ის იმ გუნდის წინააღმდეგ ითამაშებს, სადაც ზაფხულიდან იასპარეზებს. სამშაბათს საღამოს მხარეები 27 წლის გოლკიპერის ტრანსფერზე შეთანხმდნენ. „შტუტგარტმა" შეფერის შეძენის სურვილი ჯერ კიდევ დეკემბერში გამოთქვა და მალე მოურიგდა კიდეც მას. მაგრამ შვაბები „ნიურნბერგის" შეფებს სატრანსფერო თანხაზე ვერ უთანხმდებოდნენ. საბოლოოდ VFB დათმობაზე წავიდა და გადანყვეტილია, რომ ფრანკები ზაფხულში 2 მილიონ ევროს მიიღებენ. შეფერი კი, „შტუტგარტთან" ოთხწლიან კონტრაქტს გააფორმებს. ის შვაბურ კლუბში **ტიმო ჰილდებრანდს** შეცვლის, რომელსაც „ვალენსიისკენ" აქვს გეზი აღებული.

ლარსენი გამოჯანმრთელდა

ORHUSIANI იძულებითი პაუზის შემდეგ, რაც ოპერაციით იყო გამოწვეული, „შალკეს" დანიელმა თაყდამსხმელმა **სიორენ ლარსენმა** სრული დატვირთვით ვარჯიში განაახლა. ლარსენს ოპერაციამდე ქრონიკული ტრავმები ჰქონდა, რის გამოც თითქმის მთელი პირველი წრე გაუცდა. დეკემბრის შემდეგ მცირე ტრავმები ჰქონდათ **ზლატან ბაირამოვიჩსა** და **პეტერ ლოვენკრანდსსაც**. სამშაბათს ორივე მათგანმა მსუბუქად ივარჯიშა. გელზენკირხენული კლუბის ექიმების თქმით, ბაირამოვიჩი და ლოვენკრანდსი შაბათამდე სრულად გამოჯანმრთელდებიან და მეორე წრის სტარტს (ფრანკფურტში, „აინტრახტთან") არ გამოტოვებენ.

მანჩესტერ იუნაიტედი

ჰაინცე: 2007 თუ 2009?

არგენტინელს კონტრაქტის გამოსყიდვა 6 მილიონი დაუჯდება...

გაბრიელ ჰაინცე მზადაა, მანჩესტერული კონტრაქტი გამოისყიდოს. თუ ასე მოხდა, არგენტინელი მცველი პირველი იქნება, რომელიც ფიფას ახალი კანონმდებლობით ისარგებლებს. ჰაინცეს კონტრაქტში ერთი წელი აქვს დარჩენილი. კანონმდებლობის თანახმად, თუ ის კლუბს 6 მილიონ გირვანქას გადაუხდის, თავისუფალი აგენტი გახდება, შემდეგ კი უპრობლემოდ მიაშურებს საფრანგეთს, იტალიას ან ესპანეთს, საიდანაც არაერთი სარფიანი შეთავაზება მიიღო. ჰაინცე: *"ვიცი, რომ ჩემი შეძენა "მილანს" სურს, მაგრამ მე "მანჩესტერ იუნაიტედის" გადაწყვეტილებას ველოდები. მზად ვარ, ივნისამდე დავიცადო და ვნახო, რა მოხდება."*

სერ ალექს ფერგიუსონმა ამ კომენტარის წაკითხვისას გაკვირვება ვერ დამალა. ის სასწრაფოდ დაუკავშირდა კლუბის ხელმძღვანელობას და განმარტება მოითხოვა. ფერგიმ იცოდა, რომ ჰაინცეს ხელშეკრულება 2009 წლამდე ჰქონდა გაფორმებული. ამიტომ ვერ მიხვდა, რას ნიშნავდა 2008 წლის ზაფხული. სერ ალექსს ერთი გარემოება გამორჩა მხედველობიდან - გაბის "იუნაიტედთან" შეთანხმება მართლაც 2009 წლამდე აკავშირებს, მაგრამ ურთიერთობა იურიდიულად 2008 წლამდეა გაფორმებული. თანამშრომლობის ერთი ნლით გასაგრძელებლად დამატებითი შეთანხმებაა საჭირო. "მენიუს" ჰაინცეს შესახებ კომენტარი არ გაუკეთებია.

ჰელათბურთი

ლეგიონერები

სანიკიძისა და ნაცვლიშვილის პარალელები

ვახტანგ ნაცვლიშვილი (13) კალევთან

ევროლიგაზე **ვიქტორ სანიკიძის** "ესტუდიანტესმა" ესპანეთში ბელგიური "ლიეჟი" დაამარცხა (93:81), ხოლო ვახტანგ ნაცვლიშვილის "დიჟონმა" სტუმრად ესტონურ "კალევს" აჯობა - 75:74.

ვიქტორმა, თითქოს უფროს მეგობარს, ვატოს მიბაძაო - მასსავით 4 ქულა მიითვალა, 2 პასი გააკეთა, მატჩი სასტარტო შემადგენლობაში დაიწყო და თანაგუნდელთა შორის პირველი ორქულიანიც ჩაადგო. ანგარიშის გახსნამდე სანიკიძემ ჯერ პელს დაუფარა, შემდეგ საკუთარი ფარიდან ასხლეტილი ბურთი მოხსნა. მწვრთნელი ახალგაზრდა ქართველს ოთხივე პერიოდში ენდო და უკანასკნელ წუთებზეც ათამაშა, თუმცა ვიქტორს ჯამში 14 წუთი მოუგროვდა.

"ესტუდიანტესს" ბელგიელთა დამარცხება გაუჭირდა - მეოთხე პერიოდის პირველივე წუთზე სტუმრებმა სხვაობა ოთხ ქულამდე შეამცირეს (63:67), თუმცა სანიკიძის თანაგუნდელებმა ჯგუფში მესამე მატჩიც მოიგეს. ახლა უკვე თამამად შეგვიძლია "ესტუ" პირველ მეოთხედფინალისტად მოვნათლოთ.

ვახტანგ ნაცვლიშვილის "დიჟონმა" ესტონეთში "კალევთან" გამარჯვებით სატურნირო მდგომარეობა ოდნავ გამოისწორა. თუმცა მეოთხედფინალში მოსახვედრად დარჩენილი სამი მატჩის მოგება სჭირდება (შინ ბოლონიის "ვირტუსა" და "კალევთან", სტუმრად ესპანურ „ხირონასთან").

როგორც გითხარით, დიჟონელთა მხრიდან პირველი ორქულიანი ვატომ ჩააგდო და 0:6-ზე ჩამორჩენილი თანაგუნდელები ცოტა გამოაფხიზლა. ჩვენიანმა მეორე ტყორცნა პირველ მეოთხედში გამოიყენა და დარჩენილ დროში შეტევაზე მეტად დაცვაში იმუშავა: 23 წუთში 4 ქულა (5-დან 2 ორქულიანი), 4 ჩაჭრა, 2 პასი და 1 მოხსნა მიითვალა.

საფინალო სირენამდე 4 წუთით ადრე მბაიემ ანგარიში სწორედ ნაცვლიშვილის პასის შემდეგ გაათანაბრა - 65:65. ამის შემდეგ თამაში კიდევ უფრო დაიძაბა და მეტოქეებმა 11 საჯარიმო შეასრულეს. დიჟონელებმა შვიდივე ტყორცნა გამოიყენეს, რომელთა შორის გადამწყვეტი, სირენამდე 4 წამით ადრე სტუმარი **ლუქსის** ორი ზუსტი საჯარიმო გამოდგა - 75:74.

ევროლიგა. მე-3 ტურის შემდეგ. I ჯგუფი: 1. ესტუდიანტესი (ესპანეთი) - 3 მოგება, 2. აელ (კვიპროსი) - 2 / 3. ლიეჟი (ბელგია) - 1, 4. შიაულიაი (ლიტვა) - 0; **L ჯგუფი:** 1. ვირტუსი (იტალია) - 2, 2. ხირონა (ესპანეთი) - 2 / 3. დიჟონი (საფრანგეთი) - 1, 4. კალევი (ესტონეთი) - 0.

ვაჟა სიმონიშვილი

ბურთით გიორგი ცინცაძე

ბალტიის ლიგა

პოპოვიჩი თუ ცინცაძე?

თუკი **ვიქტორ სანიკიძე** და **ვატო ნაცვლიშვილი** ევროთასის მატჩებში დიდი ხნის შესვენების შემდეგ სასტარტო ხუთეულებს დაუბრუნდნენ, **გიორგი ცინცაძემ** წელს პირველად დაიწყო მატჩი სათადარიგოთა სკამიდან. თუმცა, ამას ჩვეული ნაყოფიერებით თამაშში მისთვის ხელი არ შეუშლია. გიორგიმ "ფაუსტოსთან" 25 წუთში 2-2 ორქულიანი, სამიანი და საჯარიმო გამოიყენა და თანაგუნდელებს 12 ქულით შეეწია. გარდა ამისა, მის ანგარიშზე 5 შედეგიანი გადაცემა, 3 მოხსნა და თითო ჩაჭრა-დაფარებაა.

ცინცაძის "როკმა" თანაქალაქელი "ფაუსტო" იოლად დაამარცხა - 91:74 და ესტონეთის ჩემპიონატში პირველი პოზიცია კიდევ უფრო გაიმყარა.

ესტონეთის პირველობა. XXII ტური. 1. როკი-20 მოგება, 2. კალევი-14, 3. ფაუსტო-15, 4. დალკია-14, 5. პირატა-12, 6. რაპლა-10, 7. რაკვერე-9, 8. ველგი-9, 9. ტტუ-4, 10. პიარნუ-1.

ბალტიის ოლ-სტარის გამოკითხვის დასრულების შემდეგ, ბალტიის თასის ოფიციალურ ვებგვერდზე ახალი, ჩვენთვის საინტერესო გამოკითხვა მოეწყო: **ვინ არის ლიგის საუკეთესო უკანახაზელი?**

ჩვენდა გასახარად, ხმათა 31 პროცენტით (134 ხმა) პირველ ადგილზეა გიორგი ცინცაძე, რომელიც ბალტიის ლიგის ოლ-სტარში ლეგიონერთა ნაკრების ძირითად ხუთეულში სათამაშოდ ემზადება. ხმათა 25 პროცენტით მეორეა ჟალგირისელი **მარკო პოპოვიჩი,** ხოლო მესამე - რიგელი **კურტის მილაგე** (21 პროცენტი).

ამ გამოკითხვასთან დაკავშირებით ამავე ვებსაიტზე გამოქვეყნებულია საიტის სტუმართა კომენტარები, რომელთა თანმიმდევრობით გაცნობა ქართველ მკითხველს უთუოდ დააინტერესებს.

თომასი: ცინცაძემ ხმების 31 პროცენტი კი მიიღო, მაგრამ ჩემი აზრით, ბალტიის ლიგის საუკეთესო უკანახაზელები არიან პოპოვიჩი და მილაგე.

როკი: პოპოვიჩის ერთი მატჩი მაქვს ნანახი და შთაბეჭდილება ნამდვილად არ მოუხდენია. ვერ ვხვდები, მისთვის ხმა რატომ უნდა მიმეცა?

ედი: პოპოვიჩი "ჟალგირისში" თამაშობს, ცინცაძე - "როკში"! თუ გახსოვთ, შარშან ალექსის ვაიროგსი სუსტი "ვალმეირას" მაისურით ლიგის სნაიპერი გახდა. წელს უკეთეს გუნდში გადავიდა და დაიკარგა...

ტომასი: რომელმა იდიოტმა მისცა ხმა ცინცაძეს, როგორც ლიგის №1 უკანახაზელს? მან 134 ხმა მიიღო, ხოლო ბალტიის საუკეთესო კალათბურთელს, მარკო პოპოვიჩს მხოლოდ 107 ხმა აქვს. ესაა სამართალი?

ჯუნიორი: მოდით, ეს ორი მოთამაშე ერთმანეთს შევადაროთ. ცინცაძე VS პოპოვიჩი: 11.9/14.3 ქულა, 3.9/2.4 მოხსნა, 1.9/1.7 ჩაჭრა, 4.8/2.6 პასი, ორქულიანების პროცენტული მაჩვენებელი: 59.1/57.6, სამქულიანების: 34.3/39.1, საჯარიმოები: 72.9/66.7. ცინცაძე უკეთესია! პოპოვიჩი ქართველს მხოლოდ ქულების მიხედვით, ისიც ორით სჯობნის, დანარჩენი მაჩვენებლებით ცინცაძეა პირველი. შეადარეთ, თუნდაც პასების საშუალო რაოდენობა - 4.8/2.6-თან.

კაურუმსი: ვინ ვის სჯობს, ბალტიის თასის ვარსკვლავთა მატჩზე გამოჩნდება!

რომანი: მაინც ვერ ვხვდები, ვის რაში სჭირდება ცინცაძისა და პოპოვიჩის შედარება?

ციფრებით მოთამაშეთა შედარება მხოლოდ სტატისტიკოსებისთვისაა მნიშვნელოვანი. ხოლო ჩვენთვის, ქართველებისთვის, ცინცაძის პოპოვიჩთან გატოლება 20 წლის გიორგის დიდი აღიარებაა და მეტი არაფერი. ხორვატიის ნაკრების წევრ პოპოვიჩს (1982 წელსაა დაბადებული) 2003 წელს ადრიატიკის ლიგა აქვს მოგებული და ამ შეჯიბრების MVP-დაა დასახელებული. 2004 წელს კი ხორვატიის ჩემპიონი გახდა.

გიორგი ცინცაძე კი სტაბილურად წელს ათამაშდა და ტიტულების მოგროვებას ამ სეზონიდან იწყებს...

ვაჟა სიმონიშვილი

ქართველები NBA-ში

დავეშვით ფსკერისკენ...

არა, ფლეი ოფი უკვე არარეალურია, მაგრამ ერთი-ორი თამაშის მოგება რა გახდა?! "ატლანტა ჰოქსი" ნელ-ნელა ემსგავსება იმ გუნდს, რომელიც შარშანდელი რეგულარულისას აღმოსავლეთში თითქმის ყველასთვის სასურველ მეტოქედ იქცა, რადგან ჯორჯიელები უსისტემო და უდაცვო კალათბურთს თამაშობდნენ.

წლევანდელი სეზონის შედარებით უკეთ დაწყების მერე გაჩნდა იმედი, რომ აგერ, მთელი აღმოსავლეთი დასუსტდა და საერთო რეგრესის ფონზე "ჩვენი ჰოქსი" სერიოზულ პროგრესს განიცდიდა, მაგრამ **მაიკ ვუდსონის** გუნდი კვლავ უიმედო აუტსაიდერად იქცა.

სამწუხაროდ, მთავარი მწვრთნელის ექსპერიმენტებს სასტარტოში **ზაზა ფაჩულიას** ადგილიც შეეწირა, რისი მიზეზიც, მხოლოდ და მხოლოდ, გუნდის იძულებითი გადახალისება თუ უნდა იყოს. აბა, **ლორენცენ რაიტი** რომ დაღმავალი მოთამაშეა, ეს მისი "ჰოქსში" გადასვლამდეც ბევრისთვის იყო ნათელი.

ზაზა თამაშობს და სიმართლე გითხრათ, მისი სათამაშო დროიდან გამომდინარე, საქართველოს ნაკრების ლიდერი საკმაოდ კარგ შთაბეჭდილებასაც ტოვებს, მაგრამ ეს არანაირად არ აისახება არც მისი გუნდის წინსვლასა და არც ფაჩულიას ხუთეულში დაბრუნებაზე.

ისე, ზოგიერთების აზრით, ზაზას სასტარტოში ადგილის დაკარგვა დაცვაში მისმა სუსტმა გამოსვლამ განაპირობა. ვითომ? ჩვენი ვარსკვლავის სანაკრებო შეხვედრებს მართლაც, ზაზას დაცვაში აქვს ხოლმე პრობლემები - ხან დაზღვევაზე დააგვიანებს, ხან ერთიერთზე თამაშისას ხელს არ ანევს და მასზე ბევრად დაბალ მოთამაშეს ვერ დაუფარებს. მოკლედ, ამ მხრივ სამუშაო მართლაც არის და თუ მხოლოდ ამის გამო უცხადებს ვუდსონი ჩვენს თანამემამულეს ნაკლებ ნდობას, მაშინ ყველაფერი ნორმალურადაა. ზაზას არასოდეს ეზარებოდა ვარჯიში და წინსვლა მისთვის ისეთივე აუცილებელი კომპონენტია, როგორც ნებისმიერი თავმოყვარე პროფესიონალისთვის.

"ჩიკაგოსთან" შეხვედრას რაც შეეხება, "ბულზმა" საოცრად დაბალანსებული შეტევისა და "ჰოქსზე" ბევრად უკეთესი დაცვის ხარჯზე მოიგო. სასტარტოს ხუთივე წევრმა 10 და მეტი ქულა დააგროვა, ხოლო სტუმართა რიგებში კი ისევ და ისევ **ჯო ჯონსონი** აქტიურობდა, რომელსაც ოპონენტის დაბომბვაში ამჯერად **ჯოშ სმიტი** და **მერვინ უილიამსი** შეეშველნენ. ჯონსონს შორეული ტყორცნები ოდნავ უკეთ რომ შეესრულებინა, მაშინ მისი მონაგარიც მეტად სოლიდური იქნებოდა და "ატლანტაც" მეტ წინააღმდეგობას გაუწევდა მეტოქეს, რომლის რიგებშიც საოცრად ყურადღებით ითამაშა 60-მილიონიანმა ცენტრმა, **ბენ უოლასმა.** სეზონის დაწყებამდე აყვანილმა "დიდმა ბენმა" 29 წუთში ერთი შეცდომა დაუშვა და ერთხელაც არ დაჯარიმებულა.

ზაზამ კი ისე ითამაშა, როგორც ათამაშეს. "ბულზს" ლიგაში ერთ-ერთი საუკეთესო დაცვა ჰყავს, რაც აღნიშნულმა შეხვედრამაც დაადასტურა. ერთ-ერთი შეტევისას კი ფაჩულიას ზედაზედ რამდენჯერმე დაუფარეს. თუმცა, თავადაც დააგროვა ორი დაფარება და 12 მოხსნა. ველით მომდევნო დაპირისპირებას, ამჯერად "ბოსტონთან".

ზურაბ თალაკვაძე

ჩიკაგო-ატლანტა 94:86

27:20, 14:17, 29:22, 24:27

ჩიკაგო: დენგი (18 ქ. 5 მ), პი. ჯეი. ბრაუნი (15 ქ. 9 მ. 3 დ), ნოჩიონი (14 ქ), ჰაინრიხი (12 ქ. 12 პ), გორდონი (12 ქ. 5 პ), ბ. უოლასი (11 ქ. 7 მ)...

ატლანტა: ჯო ჯონსონი (29 ქ. 4 მ. 4 პ), მერვინ უილიამსი (22 ქ. 4 მ), ჯოშ სმიტი (16 ქ. 6 მ. 3 დ. 3 პ), **ზაზა ფაჩულია (26 წთ. 6 ქ. 12 მ. 2 ს. 2 დ. 1 ჩ)...**

I მეოთხედი

06:28	ფაჩულიამ აიკი შეცვალა
05:38	პასი: 1 (ჯოშ სმიტი, 2 ქ. 12:14)
04:59	ფოლი: 1
04:44	მოხსნა: 1 (შეტ: 0, დაც: 1)
00:34	ორქულიანი: ნოჩიონიმ დაუფარა
00:32	მოხსნა: 2 (შეტ: 1, დაც: 1)
00:31	ორქულიანი: დენგმა დაუფარა
00:29	მოხსნა: 3 (შეტ: 2, დაც: 1)
00:28	ორქულიანი: სპეშოლოვამ დაუფარა
00:28	მოხსნა: 4 (შეტ: 3, დაც: 1)
00:06	ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი

II მეოთხედი

11:40	ჩაჭრა: 1 (ჰაინრიხს ჩაუჭრა)
11:00	ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი
10:28	ორქულიანი ტყორცნა: 2 ქ (24:29)
10:08	მოხსნა: 5 (შეტ: 3, დაც: 2)
07:41	მოხსნა: 6 (შეტ: 3, დაც: 3)
07:27	შეცდომა: 1 (ოლტარება)
06:03	ფოლი: 2 (შეტევაში)
06:03	შეცდომა: 2 (ფოლი შეტევაში)
06:03	ფაჩულია ლ. რაიტმა შეცვალა

III მეოთხედი

05:23	ფაჩულიამ ლ. რაიტი შეცვალა
03:29	დაფარება: 1 (გორდონს დაუფარა)
02:09	ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი
00:49	მოხსნა: 7 (შეტ: 3, დაც: 4)

IV მეოთხედი

10:11	მოხსნა: 8 (შეტ: 3, დაც: 5)
09:53	მოხსნა: 9 (შეტ: 3, დაც: 6)
09:44	ფოლი: 4 (ნოჩიონიზე დაჯარიმდა)
08:47	დაფარება: 2 (ბრაუნს დაუფარა)
08:37	ფაჩულიაზე ნოჩიონი დაჯარიმდა
08:37	საჯარიმოები: 2/2 (4 ქ. 65:77)
08:14	მოხსნა: 10 (შეტ: 3, დაც: 7)
08:00	მოხსნა: 11 (შეტ: 3, დაც: 8)
06:48	ფაჩულიაზე თომასი დაჯარიმდა
06:48	საჯარიმოები: 2/2 (6 ქ. 67:79)
06:27	მოხსნა: 12 (შეტ: 4, დაც: 8)
05:31	პასი: 2 (ჯოშ სმიტი, 2 ქ. 71:83)
02:52	ფოლი: 4
02:52	ფაჩულია ჯოუენსმა შეცვალა



ფაჩულია ჩიკაგოსთან წაგებულ მატჩში

ატლანტა ჰოქსი: 39 მატჩი, 13 მოგება, 26 წაგება, ბოლო ადგილი სამხრეთ-აღმოსავლეთის დივიზიონში, მე-13 ადგილი აღმოსავლეთის კონფერენციაში.

მომდევნო მატჩი: ბოსტონი – ატლანტა (24 იანვარი).

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა



დათო გოგილაშვილის ხსოვნას

რამდენჯერ გადაუვლია თავის ცხოვრებაში დათოს ეს ქუჩა "დინამოს" ჩოგბურთის კორტებთან - შინ ბრუნდებოდა თუ კორტებზე მიდიოდა, არავის დაუთვლია. იმ იანვრის ღამეს კი მოხდა გამოუსწორებელი რამ - დათო წავიდა ამ ცხოვრებიდან. მისი სასიცოცხლო წრე ტრაგიკულად შეიკრა.

ყველაფერი დაიწყო შორეულ 1954 წელს, როდესაც დათოს მომავალმა დედამ - რენა აბჟანდაძემ გადააბიჯა ფეხი ჩოგბურთის სტადიონის ზღუდეს. იგი მაშინ 14 წლის იყო, მაგრამ მწვრთნელმა არამ ხანგულიანმა მასში დაინახა მომავალი ჩემპიონი. წარმატება მართლაც სწრაფად მოვიდა. მალე იგი გახდა ჯერ საქართველოს, შემდეგ კი საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი უძლიერესი ჩოგბურთელი. ამ დროისთვის რენამ უკვე მოასწრო გათხოვება ცნობილ ჩოგბურთელზე ივანე გოგილაშვილზე, 1963 წელს ეყოლა შვილი ნანა. შემდეგ დაუბრუნდა რა სპორტს, გავიდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის ფინალში და სპორტული კარიერის დამთავრების შემდეგ გახდა წარმატებული მწვრთნელი (გავიხსენოთ მისი მოწაფე - ირაკლი ლაბაძე).

1976 წლის 25 იანვარს ქვეყანას მოევლინა დათო, რომელიც ყველა დინამოელისთვის გახდა ახლობელი ადამიანი. მშობლების გარდა, მას თავს ეხვეოდნენ დამსახურებული ჩოგბურთელები თუ ჩოგბურთის უბრალო მოყვარულები და საერთოდ, ვისაც ჰქონია შეხება ჩოგბურთთან.

რენამ გასწია დიდი ძალისხმევა, რომ დათოს ეთამაშა ლამაზი თანამედროვე ჩოგბურთი, მაგრამ დათოს ყოველთვის თავისი აზრი ჰქონდა ჩოგბურთის ამა თუ იმ ელემენტზე. იგი გახდა სრულიად უნიკალური სტილის მქონე მოთამაშე (იგი მე მაგონებდა ცნობილ ფრანგ ჩოგბურთელს ფაბრის სანტოროს) შესანიშნავი ტაქტიკური აზროვნებით. მისი თამაში ყველას ანიჭებდა უდიდეს სიამოვნებას. დათო უბრალოდ კი არ თამაშობდა, არამედ კორტზე ქმნიდა ლამაზ, შორს გათვლილ შესანიშნავ კომბინაციებს.

80-იანი წლების ბოლოს დათო მიიწვიეს სსრ კავშირის ჭაბუკთა ნაკრებში, მაგრამ 90-იანი წლების მოვლენებმა იმოქმედეს მისი ჩოგბურთის ტალანტის განვითარებაზე. თუმცა ნიჭმა მაინც იჩინა თავი და 1993 წელს დათო ხდება საქართველოს ჩემპიონი, 1994 წელს იგი მონაწილეობს დევისის თასის გათამაშებაში (ეს იყო საქართველოს ნაკრების დებიუტი).

რენას გარდაცვალების შემდეგ (1995) დათო, პრაქტიკულად, აღარ მონაწილეობდა შეჯიბრებებში და მთლიანად გადაერთო შეჯიბრებების ჩატარებასა და ორგანიზაციაში "დინამოს" კორტებზე. მამასთან ერთად იგი ხელმძღვანელობს პროექტს "Rena Cup", რომელმაც სულ უფრო და უფრო მეტი სპორტსმენი და სპონსორი მიიზიდა. 2006 წელს შეჯიბრებამ "Rena Cup" სახელით მიიღო აღიარება და შევიდა ევროპის ჩოგბურთის ასოციაციის ოფიციალურ კალენდარში. დათოს ჰქოდა სხვა საინტერესო იდეები და გეგმები საქართველოში ჩოგბურთის განვითარებასთან დაკავშირებით, რომლებსაც ასრულება არ ენერა.

დათო ჩვენგან წავიდა ძალიან ადრე, დაგვიტოვა გულითადი, ყურადღებიანი, ჩოგბურთზე შეყვარებული და თავდადებულ ადამიანის სახე. ის მუდმივად ჩვენთან იქნება.

ვლადიმერ გოგლიძე

ხელბურთი

საქართველოს ხელბურთელთა ნაკრების სუსტმა გამოსვლამ ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე გვარიანი იმედგაცრუება გამოიწვია ჩვენს სახელბურთო სამყაროში, თუმცა, ექვსიდან ხუთი მატჩის ნაგებასა და ბოლო ადგილს ქვეჯგუფში სპეციალისტები არაერთგვაროვნად აფასებენ. დღეს ვაგრძელებთ საუბარს ეროვნულ ნაკრებზე. წინა ნომრებში შემოგთავაზეთ ვეტერანი ხელბურთელებისა და მთავარი მწვრთნელის კომენტარები, ამჯერად კი საქართველოს ჩემპიონატში მომუშავე სპეციალისტებს გავესაუბრეთ.

ევრო 2008. შეფასება

როგორც მოვემზადეთ, ისე ვითამაშეთ და...

რატომ ვერ მოემზადეთ? ეს კირილოვი საიდანღა მოვიდა?

ნაკრების საუკეთესო ბომბარდირი ვლადიმერ რუსია

მამუკა მჟავანაძე

თბილისის მთავარი მწვრთნელი:

- საქართველოს ნაკრებმა ჩემზე ცუდი შთაბეჭდილება დატოვა. მიუხედავად იმისა, რომ გვქონდა საკადრო პრობლემები, ამ შემადგენლობითაც გაცილებით უკეთ თამაში გვმართებდა. ყოველ შემთხვევაში, ლიტვასთან სტუმრად გამანადგურებელი ანგარიშით არ უნდა წაგვეგო და არც თბილისში უნდა წაგვეგო, ფაქტობრივად, მოგებული შეხვედრა. აღარაფერს ვამბობ ბულგარეთზე. კლუბი რომ გასვლაზე მარცხდება დიდი ანგარიშით, ეს ჩვეულებრივი მოვლენაა, მაგრამ როდესაც ნაკრები აგებს ლიტვასთან 18-ბურთიანი სხვაობით, ესე იგი, რაღაც ვერ არის კარგად. არ ვიცი, ასეთ დროს ვინ უნდა იკისროს პასუხისმგებლობა.

ახლა ყველაფერს აბრალებენ შეუთამაშებლობას, მოკლევადიან მოსამზადებელ პერიოდსა და სამი ლეგიონერის მოსაკლისებას. მერე, შეეკრიბათ გუნდი უფრო ადრე, ეთამაშათ თუნდაც ერთი საკონტროლო მატჩი აზერბაიჯანზე ძლიერ გუნდთან.

შეცდომები იყო შემადგენლობის შერჩევისასაც. ყველაზე დიდ შეცდომად **სერგეი კირილოვის** ჩამოყვანა მიმაჩნია. გაგიგონიათ, ნაკრების მწვრთნელებს ხელბურთელის თამაში არ ენახოთ და ასე ზეპირი გადმოცემით გამოეძახოთ? ასეთი და უფრო მაღალი დონის ხაზის მოთამაშე საქართველოში 3-4 გვყავს, რა საჭირო იყო კირილოვის ჩამოყვანა? თუნდაც **დავით ფორაქიშვილი** ავიღოთ. მან ბულგარეთთან მეორე ტაიმში ითამაშა, გოლიც გაიტანა და ათ წუთში სამი პენალტი გამოიმუშავა. ამდენს კირილოვი მთელ მატჩში ვერ ახერხებდა. ბულგარეთიდან დაბრუნებულმა ნაკრების წევრებმა მითხრეს, ნეტავ თავიდანვე ფორაქიშვილი ყოფილიყო შემადგენლობაშიო. ნაკრების მწვრთნელებმა ხელბურთელები კლუბის კი არა, სიძლიერის მიხედვით უნდა შეარჩიონ,"თბილისის" მოთამაშეებს კი დიდად კი არ სწყალობენ. **გიორგი ნივნივაძეც** მხოლოდ ბოლო მომენტში აიყვანეს ნაკრებში.

მხოლოდ მე და სპეციალისტებმა კი არა, უბრალო გულშემატკივრებმაც კი ადვილად შეამჩნიეს, რომ ნაკრებს არ ჰქონდა არავითარი ტაქტიკური მონახაზი და საკუთარი ხელწერა. ჩვენი გუნდიდან ერთადერთი, ვისაც აშკარად ეტყობოდა კლასი, ეს იყო მეკარე **შოთა თევზაძე**. სტაბილურად გამოიყურებოდა **ლევან გელაშვილიც**, რომელიც ასაკის კვალობაზე მაქსიმუმს აკეთებდა. **რეზო ჭანტურია** ნელ-ნელა ყალიბდება მაღალი დონის ხელბურთელად, **ვოვა რუსიას** კარგი მონაცემები აქვს, მაგრამ ნაკრებში ნორმალური პარტნიორი აკლია, რომელიც გოლების გატანაში დაეხმარება.

უდიდესი შეცდომა იყო საქართველოს ჩემპიონატის ჩაშლა თუ გადადებაც. დეკემბერში დატრიალებული ამბების შემდეგ, ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ საქართველოს ჩემპიონატი მხოლოდ ჩვენს კლუბს სურდა. არადა, ყველამ უნდა გაითავისოს და ერთხელ და სამუდამოდ შეიგნოს, რომ თუკი არ ამაღლდება საქართველოს ჩემპიონატის დონე, ეროვნულ ნაკრებს ყოველთვის ექნება პრობლემები. ნაკრების კანდიდატები ბელორუსიასა და სხვა ქვეყნებში კი არა, აქ უნდა ვეძიოთ და ხელი შევუწყოთ, რომ საქართველოს ჩემპიონატში კლასი აიმაღლონ, რითაც ნაკრებ გუნდებს დიდ დახმარებას გაუწევენ. რამდენი წელი ითამაშებენ ლეგიონერები? მათი კარიერის დასრულების შემდეგ უცხოელებით გავავსოთ საქართველოს ნაკრები?

რევაზ ჭანტურია

მამულის მთავარი მწვრთნელი:

- საქართველოს ნაკრებს აშკარად აკლდა შეუთამაშებლობა. ხელბურთელები უფრო ინდივიდუალურად ცდილობდნენ ფონს გასვლას, გუნდური თამაში კი არ გამოგვდიოდა. გასვლითი მატჩები არ მინახავს, მაგრამ თბილისში ლატვია აუცილებლად უნდა დაგვემარცხებინა. საკმაოდ დიდი დანაკლისი იყო **ტიტე კალანდაძის, გარი თურქიასა** და **სერგო დათუკიშვილის** ვერჩამოსვლა. მარტო დათუკიშვილიც რომ გვყოლოდა, გუნდი გაცილებით უკეთ ითამაშებდა და შედეგიც სულ სხვა იქნებოდა. მიუხედავად ყველაფრისა, მომავალში თუ გუნდს ექნება სათანადო დაფინანსება, შეკრებები და საკონტროლო მატჩები, წარმატებებიც აუცილებლად მოვა, საამისო პოტენციალი გვაქვს.

საქართველოს ნაკრებიდან გამოვარჩევდი **შოთა თევზაძეს, გიორგი ქობელაშვილს, ვლადიმერ რუსიასა** და **ლევან გელაშვილს**. **რეზო ჭანტურია** კი ჩემი ვაჟია და არა როგორც მამას, არამედ როგორც სპეციალისტს, მისი თამაშიც მომეწონა. რაც შეეხება **სერგეი კირილოვს**, თავიდან გაუჭირდა, მაგრამ ბოლოს გაცილებით უკეთ გამოიყურებოდა, დაცვაც გააძლიერა და გოლებიც გაიტანა.

გელა ორჯონიკიძე

სტუ-შევარდენის მწვრთნელი:

- ნაკრებს როგორი მომზადება და პირობებიც ჰქონდა, შედეგი იმის პირდაპირპროპორციულია. რა თქმა უნდა, შედეგზე დიდი გავლენა მოახდინა იმანაც, რომ სამი ლეგიონერი ვერ ჩამოვიდა. თუ არ ვცდები, ნაკრებში რვა დებიუტანტი იყო, რამდენიმე ახალგაზრდული ნაკრების წევრია. შესაბამისად, ახალგაზრდებს უჭირდათ ასეთ დონეზე თამაში და ყველაზე უკეთ გამოიყურებოდნენ გამოცდილი ხელბურთელები- **თევზაძე, გელაშვილი, ჭანტურია, ბოყოჩაძე, ქობელაშვილი** და **რუსია**.

სამომავლოდ კი ყველაფერი, ისევ და ისევ, პირობებსა და ფინანსებზეა დამოკიდებული. ჩემი აზრით, თუ ყველაფერი კარგად იქნება, ამ გუნდს ნამდვილად აქვს იმის პოტენციალი, რომ შემდეგ საკვალიფიკაციო ეტაპზე, ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოსახვედრად იბრძოლოს.

კობა ხატისაშვილი



ლადო ჩიხლაძე

ჩოგბურთი

პირველი წრე გადალახა

ჩოგბურთი. ავსტრიაში, ზალცბურგის მახლობლად, ბერგჰაიმში ხალიჩაზე მიმდინარე საერთაშორისო ტურნირში (10 ათასი დოლარი) პირველი წინააღმდეგობა დაძლია საქართველოს მეორე ჩოგანმა, **ლადო ჩიხლაძემ** და მერვედფინალში გავიდა. ლადოს მეტოქე იყო ურეიტინგო, 24 წლის ავსტრიელი **ფილიპ იელინეკი**, რომელიც ტურნირში უაილდ ქარდით დაუშვეს. ჩიხლაძემ გაიმარჯვა - 6:2, 7:6 (8). მეორე წრეში მისი მეტოქის ვინაობა ნუხელ გაირკვეოდა. შეგახსენებთ, რომ ლადო ამ ტურნირის დასრულების შემდეგ თბილისში ჩამოვა და "დევისის თასის" მატჩისთვის მოემზადება. 9 თებერვალს საქართველოს ნაკრების ისტორიაში პირველად ითამაშებს ევრო-აფრიკის პირველ ზონაში, ჩვენები პორტუგალიის ნაკრებს უმასპინძლებენ.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲫᲘᲣᲓᲝ. ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲗᲐᲡᲘ

რუსები სტამბოლის გავლით მოფრინავენ

რობერ ვან დე ვალე ძველ მეგობარს ესტუმრება

ძველი მეტოქეები: რობერ ვან დე ვალე და თემურ ხუბულური თბილისის საერთაშორისო ტურნირზე — ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

27-28 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲡ გასამართი ძიუდოისტთა მსოფლიო თასის მონაწილენი თანდათან იკრიბებიან თბილისში. გუშინ იაპონელთა ნაკრები ასეთი შემადგენლობით ჩამოფრინდა: **ჰიროაკი ჰიროაკა** (60), **ტორილ ტომოო** (66), **მასატო ინაზავა** (73), **ჰიროტაკა კატო** (81), **იუტა იაზაკი** (90), **ტაკამასა ანაი** (100), **კატაბუჩი შინია** (მძიმე).

მათგან ანაიმ და ჰიროაკამ თბილისში შარშანაც იჭიდავეს - პირველი ჩემპიონი გახდა, მეორემ კი ფინალი წააგო. მთლიანობაში, იაპონელთა შემადგენლობა ექსპერიმენტულია, თუმცა ტომოო, იაზაკი და შინია წინა წლებში სტაბილურად გამოდიოდნენ საერთაშორისო ტურნირებში. რაც შეეხება კატაის, მან დეკემბერში, კანოს მემორიალზე კარგი ჭიდაობით დაიმსახურა ნაკრებში გამოცდის უფლება. იაპონელებს ქართველებთან ერთობლივი ვარჯიში სურდათ, მაგრამ ჩვენი ნაკრების თავკაცმა **ხაბარელმა** შორს დაიჭირა, გუნდი ინდივიდუალურად ემზადებაო. კაცმა რომ თქვას, არც ეჩქარება - ისინი იაპონელებს 10-11 თებერვალს პარიზის სუპერთასზეც შეხვდებიან, სადაც ერთობლივი შეკრება ჩატარდება და იაპონელებთან იქ ივარჯიშებენ.

აზიელებზე ადრე თბილისს არასრული გუნდებით ტუნისელები და სერბები ესტუმრნენ. ტუნისელებს არ ახლავთ მსოფლიო ჩემპიონი **ანის ლუნიფი** (60) და მხოლოდ ახალგაზრდებით გვესტუმრნენ, სერბებმა კი თავიანთი არცთუ ძლიერი ნაკრების გამოკვეთილი ლიდერი, ახალგაზრდებში მსოფლიო ჩემპიონი **რიუ მიიალკოვიჩი** (100) ჩამოიყვანეს.

ამ ტრიოს დღეს თურქები, უკრაინელები, ბერძნები, ირანელები და ყირგიზები შეუერთდებიან. უფრო სწორად, მათი ნაწილი წუხელ გვიან ჩამოფრინდებოდა. უახლოეს საათებში ამათ ფრანგები, რუსები, ლიტველები, ესტონელები, ებრაელები, აზერბაიჯანელები და სომხები შემოუერთდებიან.

გაურკვეველია განელთა საკითხი. დიდი ხანია, მათი მავანი მსაჯი დაჟინებით ითხოვს ტურნირზე ჩამოსვლას. ჩვენებმა მისი ვინაობა საერთაშორისო ფედერაციაში გაარკვიეს და დაადგინეს, ეროვნული კატეგორიის მსაჯი ყოფილა და საერთაშორისო ტურნირების განსჯის უფლება არ აქვს. ასეა თუ ისე, მან გუშინწინაც დაადასტურა ჩამოსვლის სურვილი და მოჭიდავეთა სიაც გვაახლა. აღდგომა და ხვალეო - თუ ჩამოვლენ, ჩვენებიც დახვდებიან. ტურნირზე კიდევ ორი ქვეყანა იქნება მსაჯებით წარმოდგენილი - შვეიცარია და აშშ.

მოკლედ, განის საკითხის გარკვევამდე, ტურნირში მონაწილე 16 გუნდის ვინაობა ცნობილია. მათი უმეტესობა საკმოდ ძლიერი შემადგენლობისაა. მაგალითად, ებრაელთა ნაკრებში არიან ტურნირის უტიტულოვანესი მოჭიდავე, ევროპის ჩემპიონი, მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი და ოლიმპიური პრიზიორი **არიელ ზეევი** (100), აგრეთვე, **ანსარ შოემანი** (81) და ჩვენი ტურნირის სტაჟიანი მონაწილენი - **იეკუტილ გალი** (60) და **იოელ რაზვოზოვი** (73). ესტონელები ევროპის ორ შარშანდელ მესამე პრიზიორს - **მარტინ პადარსა** (მძიმე) და **კინტერ როტბერგს** (66) ჩამოიყვანენ. აზერბაიჯანელებს შებერებული მსოფლიოს პრიზიორი **მოვლუდ მირალიევი** (100) ჰყავთ, სომხებს - ევროპის ჩემპიონი **არმენ ნაზარიანი** (60) და ჩვენი ტურნირის შარშანდელი მონაწილე **ჰოვანეს დავთიანი**. ამან შარშან თბილისში 60-ში იჭიდავა, მერე კი ევროპაზე 66-ში გამოვიდა და იქ მომავალ ჩემპიონ **ზაზა კედელაშვილთან** წააგო. ამჯერად ვერ გეტყვით, რომელ წონაში იჭიდავებს.

ჯერჯერობით არ ვიცით ფრანგთა შემადგენლობა, თუმცა პარიზიდან ძლიერ ნაკრებს მოელიან. არა უძლიერესი, მაგრამ მაინც სოლიდური გუნდით ჩამოვლენ რუსები, ოღონდ საკუთარი ხელისუფლების უგუნური პოლიტიკის გამო, უჩვეულოდ გრძელი გზით - სტამბოლის გავლით. მათ გუნდში იქნებიან **რუსლან კიშმახოვი** და **შამილ ნეში** (60), **აშხაბ კოსტოევი** (100), ახალგაზრდებში ევროპის ჩემპიონი **ერეკლე კოპალიანი** (81)... ესინი ჯერ ნაკრების ლიდერები არ არიან, მაგრამ ბოლო წლებში თავიანთ წონებში ყველაზე რეალურ კანდიდატებად კი იქცნენ.

ტურნირზე გვეწვევა სახელოვანი ბელგიელი ოლიმპიური ჩემპიონიც, თავის დროზე **თემურ ხუბულურის** უპირველესი მეტოქე, დღეს კი მეგობარი **რობერ ვან დერ ვალე**. მასზე თურმე ბელგიის ტელევიზია დოკუმენტურ ფილმს იღებს და თავისთვის აგრერიგად ნაცნობ შეჯიბრებაზეც ამ მიზნით გვეწვევა.

რაც შეეხება საქართველოს ნაკრებს, ჩვენები კვლავაც ვაკეში, ძიუდოს ცენტრალურ დარბაზში ვარჯიშობენ, ნაყოფიერად და ინტენსიურად. რაც მთავარია, ჯანმრთელობის მხრივ ყველაფერი კარგადაა, დანარჩენი კი ტურნირზე გამოჩნდება. ჩვენი გუნდის შემადგენლობა ადრე კი გაგაცანით, მაგრამ ერთხელაც შეგახსენებთ.

60 კგ: **ნესტორ ხერგიანი, დავით ასუმბანი, ვახტანგ ხოსიტაშვილი, ბეთქილ შუკვანი.**

66 კგ: **ზაზა კედელაშვილი, მინდია ხომიზური, სერგო ციხელაშვილი, ალექსანდრე იაკობაშვილი.**

73 კგ: **დავით კობერიძე, დავით ბოდაველი, გიგა ნიკლაური, ბექა ბაიდაური.**

81 კგ: **გიორგი ბაინდურაშვილი, გრიგოლ შინჯიკაშვილი, გრიგოლ მამრიკიშვილი, საბა გავაშელიშვილი.**

90 კგ: **ირაკლი ცირეკიძე, იოსებ მსხალაძე, ზურაბ ზვიადაური, მინდია ბოდაველი.**

100 კგ: **გიორგი ყიზილაშვილი, ლომერ ჟორჟოლიანი, რევაზ ჩიკოიძე, ნოდარ მეტრეველი.**

მძიმე: **ლაშა გუჯეჯიანი, ხვიად ხანჯალიაშვილი, ადამ ოქრუაშვილი, ზვიად ჩინჩალაძე.**

ირაკლი ᲗᲐᲕᲐᲫᲔ

ეპიზოდი შარშანდელი ტურნირიდან — ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

სამი მედალი კიევიდან

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲛᲐ ძიუდოისტებმა წარმატებით იჭიდავეს კიევში გამართულ გოგონათა ტურნირზე - ერთი ვერცხლის და ორი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. ჩვენებიდან ყველაზე უკეთ იჭიდავა **სოფო როსტიაშვილმა** (48), რომელიც მხოლოდ ფინალში დამარცხდა, **ანი კაკაბაძემ** (მძიმე) და **მაია ტარუაშვილმა** (52) კი ბრინჯაოს მედლები დაისაკუთრეს.

გუშინ ქალთა ნაკრები გაემგზავრა ბულგარეთში, სადაც 27-28 იანვარს მსოფლიო თასზე იჭიდავებს. მთავარმა მწვრთნელმა **გოდერძი ველიჯანაშვილმა** სოფიაში წაიყვანა: **ანი ავაქიანი** (52), **დუსკა ქერიმოვა** (57), **მარიამ ძაძამია** და **თინათინ ქულოსაშვილი** (63), **ენძელა სოლოღაშვილი** (70), **ლია გვიანიძე** (78), **ირინა ლეონიძე** და **მარი ჩადუნელი** (მძიმე). ჩვენი მოზრდილთა ნაკრებისთვის ეს სეზონის პირველი ტურნირია, ოღონდ ეგაა, რამდენიმე მოჭიდავე, მწვრთნელის ჩათვლით, ბულგარეთში მაღალი სიცხით გაემგზავრა.

ირაკლი ᲗᲐᲕᲐᲫᲔ

ᲭᲔᲓᲠᲘᲠᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ. ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲚᲘ�გᲐ

სწრაფი ყაიმი ლიდერობის შესანარჩუნებლად

ბელა ხოტენაშვილი

ᲛᲔᲮᲣᲗᲔ ტურში პირველ დაფაზე ლიდერები - **სოფიკო ხუხაშვილი** და **ინგა ჭარხალაშვილი** ხვდებოდნენ ერთმანეთს. ისინი უახლოეს მეტოქეებს ერთი ქულით უსწრებდნენ, ამიტომ შესაძლებელი იყო, თავი არ გამოედოთ და იოლად დაზავებულიყვნენ. ასეც მოხდა - დებიუტის შემდეგ ყაიმი გაფორმდა.

ამ ვითარებით კვალში მდგომთ უნდა ესარგებლათ და ზოგმა მოახერხა კიდეც - **ბელა ხოტენაშვილმა** შავებით **ანა ბუცხრიკიძეს** მოუგო, **ნათია ჯანჯღავამ** კი ასევე შავებით **მერი ჟორჟოლიანის** დამარცხება შეძლო. ამით 4 ქულა გაუხდათ და ნახევარი ნაბიჯით ჩამორჩნენ წინწასულებს.

გუშინ მოგება შეეძლო **მაკა ფურცელაძესაც**, რომელიც თეთრებით **ნინო ბაციაშვილს** ხვდებოდა. დებიუტიდან რომელიმე მხარის უპირატესობა არ გამოკვეთილა, შუა თამაშში კი მძიმე ფიგურათა ნაწილი გაიცვალა და თითქოს თანაბარი პოზიცია დადგა, თუმცა შავებს ორი კუს უპირატესობა ჰქონდათ და აქტიურობის შემთხვევაში მოგებაზე ფიქრი შესაძლებელი იყო. ფურცელაძემ იგრძნო საფრთხე და ჩაფიქრდა. ფიქრმა წარმატება მოუტანა - ჯერ ერთი პაიკი მოიგო, მერე მეორე, თუმცა მოგება მაინც რთული ჩანდა. ზუსტ ანალიზს ვერ მოგახსენებთ, მაგრამ პარტიის შემდეგ ფურცელაძე რომ აშკარად გულნაკლული იყო, ფაქტია - პარტია კი ყაიმით დასრულდა.

მეხუთე ტურში უმცროსი თაობისთვის წარმატებული ვერ გამოდგა. მხოლოდ **სალომე ხაჟომიამ** შეძლო **სოფიკო ტერელაძესთან** ქულის გაყოფა; **ელისაბედ ზარქუამ, მერი ჟორჟოლიანმა** და **ლელა უგულავამ** წააგეს; **სოფიკო გურამიშვილმა, მერი არაბიძემ** და **სალომე სირაძემ** ნახევარი ქულა შეიმატეს.

სანუკვარ ექვსეულში მოხვედრაზე საუბარი ნაადრევი კი არის, მაგრამ მეხუთე ტურმა, იმის ნაცვლად, რამე მაინც გამოეკვეთა, კიდევ უფრო ბუნდოვანი გახადა სურათი: პირველ ადგილს 4.5 ქული ხუხაშვილი და ჭარხალაშვილი იყოფენ; 4 ქულით მეორე-მესამე ადგილზე ხოტენაშვილი და ჯანჯღავა არიან, 3.5 ქულა კი **თამარ წერეთელს,** მაკა ფურცელაძეს და ნინო ბაციაშვილს აქვთ; 3 ქულით კიდევ 7 მოჭადრაკეა და ყველას შერჩენია უმაღლესი ლიგის საგზურის მოპოვების შანსი. როგორც ჩანს, ექვსეულში მოსახვედრად 6.5 ქულა იქნება საკმარისი, შესაძლოა, ექვსიც.

დღეს თამაშობენ: **ჯანჯღავა (4)-ხუხაშვილი (4.5); ჭარხალაშვილი (4.5)-ხოტენაშვილი (4); წერეთელი (3.5)-ფურცელაძე (3.5); ბაციაშვილი (3.5)-ჟორჟოლიანი (3); მიქაძე (3)-ტერელაძე (3); ნიკოლაძე (3)-ჭკუასელი (3); ხაჟომია (3)-ბუცხრიკიძე (3); გურამიშვილი (2.5)-გავაშელი (2.5); ვახანია (2.5)-ბოკუჩავა (2.5); ზარქუა (2.5)-ცალუღელაშვილი (2.5).**

ზვიად ᲨᲐᲗᲘᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ



ფორმულა 1. პრეზენტაცია

ჰოლანდიამ ახალი რენო იხილა

ჰოლანდიის ქალაქ ამსტერდამში, ფორმულა 1-ში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი გუნდის - "რენოს" ახალი ბოლიდის პრეზენტაცია და პილოტთა სანახევრად გადახალისებული შემადგენლობის წარდგენა მოეწყო.

ცერემონიალის ჩატარების ადგილად ჰოლანდიის არჩევა შემთხვევითი არ ყოფილა, ვინაიდან 2007 წლიდან, **ფლავიო ბრიატორეს** გუნდის ახალი სატიტულო სპონსორი ჰოლანდიური ფინანსური კომპანია ING იქნება. მან თამბაქოს მწარმოებელი იაპონური ფირმა "მილდ სევენი" შეცვალა.

"რენოს" ახალი მოდელი ჯერ კიდევ ესპანეთის ხერესში გამართული ტესტების დროს იხილეს. მაშინ, მანქანა ლურჯ-ყვითელ ფერებში იყო გადაწყვეტილი. პრეზენტაციის დროს კი გამოჩნდა, რომ R27 ოთხი ფერისაა - ნარინჯისფერი, თეთრი, ლურჯი და ყვითელი.

ახალ სეზონში, "რენოს" სტარტზე იტალიელი **ჯანკარლო ფიზიკელა** და ფინელი დებიუტანტი **ჰეიკი კოვალაინენი** გამოიყვანენ. ფიზიკოსთვის, წლევანდელი სეზონი მესამე იქნება ფრანგული გუნდის შემადგენლობაში. აქამდე, იტალიელი **ფერნანდო ალონსოს** ჩრდილში იმყოფებოდა და სამი წლის განმავლობაში, მხოლოდ ორი ეტაპის მოგება შეძლო. ეს სეზონი ჯანკარლოსთვის გადამწყვეტი უნდა იყოს. თუ ის ლიდერის სტატუსის განმტკიცებას შეძლებს, "რენოში" კარიერის გაგრძელება გარანტირებული ექნება.

ფიზიკელას თანაგუნდელი, ჰეიკი კოვალაინენი ერთი წელი ფრანგული საჯინიბოს ტესტ-პილოტი გახლდათ, ახლა კი, მსოფლიო ჩემპიონატში დებიუტისთვის ემზადება. გუნდის ხელმძღვანელთა აზრით, ფინელმა უნდა გაამართლოს მასზე გაცემული ავანსები და ღირსეულად შეცვალოს "მაკლარენში" გადაბარგებული "ალონსო.

"რენოს" პრეზიდენტი **ალენ დასა** მომავალს ოპტიმისტურად უყურებს. მას სჯერა, რომ გუნდი წელსაც ჩემპიონობისთვის იბრძოლებს. პრეზიდენტის ოპტიმიზმს სრულად იზიარებს "რენოს" ინჟინერი **კრისტიან სილკიც**: *"პირველმა ტესტებმა ყოველგვარი პრობლემების გარეშე ჩაიარა, რაც იმას ნიშნავს, რომ მანქანას საიმედოობის მხრივ, ყველაფერი წესრიგში აქვს".*

აღსანიშნავია, რომ წლეულს, ტესტებსა და პარასკევის საწვრთნელ რბოლებზე ფიზიკელა-კოვალაინენის დუეტს, **ნელსინიუ პიკე** და **რიკარდუ ზონტას** ბრაზილიური წყვილი დაეხმარება.

დავით ჩუბინიძე

ზემძიმე წონა

ჩემპიონი ბრუნდება

ვიტალი კლიჩკო

ვიტალი კლიჩკო რინგზე ბრუნდება! ამის შესახებ, ჰამბურგში სპეციალურად გამართულ პრესკონფერენციაზე მან თავად ამცნო მასმედიას. WBC-ს საპატიო ჩემპიონმა განაცხადა, რომ მისი მთავარი მიზანი ზემძიმე წონაში ყველა პრესტიჟული გაერთიანების ტიტულების გაერთიანებაა.

პრესკონფერენციის მოწვევამდე ცოტა ხნით ადრე, მან საფუძვლიანი მედ-შემოწმება ჩაიტარა, რომელზეც ძველი ტრავმების კვალი არ გამოვლენილა. პარალელურად, მან სპეციალური მიმართვა გაუგზავნა კრივის მსოფლიო საბჭოს (WBC), რომელსაც დაბრუნებისთანავე ტიტულისთვის ბრძოლის უფლება სთხოვა.

ამგვარად, კლიჩკო კრივის ისტორიაში პირველი ზემძიმეწონოსანი ჩემპიონი იქნება, ვინც ჩემპიონის რანგში წავიდა სპორტიდან, მერე კი დაბრუნებისთანავე ტიტულისთვის ბრძოლის უფლებას ღებულობს. შეგახსენებთ, რომ მან რინგი 2005 წლის 9 ნოემბერს დატოვა, რის მიზეზადაც ტრავმები დასახელდა. რომ დარჩენილიყო, ამერიკელ **ჰასიმ რაჰმანთან** ბრძოლაში უნდა დაეცვა WBC-ს ჩემპიონის წოდება.

ასე იყო თუ ისე, WBC-მ კლიჩკოს საპატიო ჩემპიონის წოდება მიანიჭა, რითაც პირდაპირ მიანიშნა, რომ დაბრუნების შემთხვევაში, სწორედ ის გახდებოდა ტიტულის მთავარი მოცილე. შეგახსენებთ, რომ ახლა რეიტინგის პირველი ნომერი ნიგერიელი **სამუელ პიტერია**, ვინც მეორედაც მოუგო ამერიკელ **ჯეიმს ტონის** და რუს **ოლეგ მასკაევთან** ბრძოლის უფლება მოიპოვა.

სხვათა შორის, WBC-მ სპეციალური სხდომაც კი ჩაატარა კლიჩკოს მიმართვის განსახილველად. ამ სხდომაზე კი გადაწყდა, რომ უკრაინელს ტიტულისთვის დაუყოვნებლივ ბრძოლის უფლება მიეცეს. ჰოდა, პასუხის მიღებისთანავე, უკრაინელმა რინგზე დაბრუნების შესახებ გვამცნო.

წინასწარი მონაცემებით, კლიჩკოსა და მასკაევის ბრძოლა მოსკოვში, 21 აპრილს ჩატარდება. ბრძოლას სპორტული კომპლექსი "ოლიმპიისკი", ან ყინგულის სასახლე უმასპინძლებს. სხვათა შორის, კლიჩკოსთან ბრძოლაზე თანახმაა მასკაევიც. მოსაგვარებელი კი საკონტრაქტო პირობების შეთანხმებაღა დარჩა და ბრძოლის საბოლოო თარიღი და ადგილიც ამის შემდეგ გამოცხადდება. არაა გამორიცხული, რომ ბრძოლა გერმანიაში, ან ამერიკაში ჩატარდეს.

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

ჩიკაგო-ატლანტა 94:86
27:20, 14:17, 29:22, 24:27

ჩიკაგო: დენგი (18 ქ. 5 მ), პი. ჯეი. ბრაუნი (15 ქ. 9 მ. 3 დ), ნოჩიონი (14 ქ), ჰაინრიხი (12 ქ. 12 პ), გორდონი (12 ქ. 5 პ), ბ. უოლსი (11 ქ. 7 მ).

ატლანტა: ჯო ჯონსონი (29 ქ. 4 მ. 4 პ), მერვინ უილიამსი (22 ქ. 4 მ), ჯოშ სმიტი (16 ქ. 6 მ. 3 დ. 3 პ), **ზაზა ფაჩულია (26 წთ. 6 ქ. 12 მ. 2 ბ. 2 დ. 1 ჩ).**

ფილადელფია-ნიუ ორლ. 102:96
30:21, 24:19, 22:25, 26:31

ფილადელფია: კორვერი (25 ქ. 4 მ. 4 პ), იგუოდალა (20 ქ. 6 ბ. 4 მ), კარნი (13 ქ), ა. მილერი (13 ქ. 11 პ), დალემბერი (10 ქ. 7 მ).

ნიუ ორლეანი: დევინ ბრაუნი (24 ქ. 4 პ), მეისონი (17 ქ. 6 მ), დევიდ უესტი (16 ქ. 11 მ. 3 ჩ).

ორლანდო-დალასი 92:111
18:32, 27:27, 33:28, 17:22

ორლანდო: ნელსონი (18 ქ. 4 პ), დ. ჰოვარდი (15 ქ. 14 მ), გ. ჰილი (15 ქ), თურქოღლუ (12 ქ).

დალასი: ნოვიცკი (33 ქ. 9 მ. 8 პ), ჯოშ ჰოვარდი (25 ქ. 4 მ), ტერი (14 ქ. 6 პ), დევინ ჰარისი (13 ქ).

ვაშინგტონი-ფინიქსი 105:127
20:41, 31:35, 30:24, 24:27

ვაშინგტონი: არენასი (31 ქ. 5 მ. 5 პ), კ. ბატლერი (24 ქ. 5 მ. 4 ჩ), ა. დენიელსი (20 ქ).

ფინიქსი: ნეში (27 ქ. 14 პ), მერიონი (21 ქ. 6 მ. 4 ჩ), რ. ბელი (21 ქ. 8 მ), ჯეიმს ჯოუნსი (16 ქ), ა. სტაუდმაიერი (15 ქ. 7 მ), დიაო (14 ქ. 7 პ), ბარბოსა (10 ქ. 11 პ. 6 მ).

სიეტლი-დენვერი 112:117
28:25, 32:28, 18:32, 34:32

სიეტლი: რ. ალენი (44 ქ. 5 მ. 3 ჩ), უილკოქსი (25 ქ. 12 მ. 4 პ), კოლისონი (18 ქ. 10 მ).

დენვერი: ენტონი (34 ქ. 9 მ. 3 ჩ), აივერსონი (21 ქ. 10 პ), ჯეი. არ. სმიტი (20 ქ), ნენე (17 ქ. 7 მ), კემბი (10 ქ. 8 მ. 5 დ. 4 პ).

კლიპერსი-მილუოკი 115:96
34:24, 35:34, 20:16, 26:22

კლიპერსი: ბრენდი (25 ქ. 7 მ. 5 პ. 3 ჩ. 3 დ), მობლი (22 ქ. 6 მ), მაგეტი (15 ქ. 4 მ. 4 პ), როსი (13 ქ), კამანი (11 ქ. 11 მ. 6 დ).

მილუოკი: ჩ. ბელი (24 ქ. 6 მ), პატერსონი (16 ქ. 6 მ. 4 პ), ბოიკინსი (14 ქ. 5 პ), ილიასოვა (11 ქ. 4 მ).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქადრაკი

ვეიკ-ენ-ზეე (ჰოლანდია)
IX ტური

კარლსენი (ნორვეგია)-**რაჯაბოვი** (აზერბაიჯანი) 0.5:0.5; **ანანდი** (ინდოეთი)-**ვან ველი** (ჰოლანდია) 1:0; **კრამნიკი** (რუსეთი)-**სვიდლერი** (რუსეთი) 0.5:0.5; **არონიანი** (სომხეთი)-**ტოპალოვი** (ბულგარეთი) 0.5:0.5; **პონომარიოვი** (უკრაინა)-**კარიაკინი** (უკრაინა) 1:0; **ნავარა** (ჩეხეთი)-**შიროვი** (ესპანეთი) 0:1; **ტივიაკოვი** (ჰოლანდია)-**მოტილიოვი** (რუსეთი) - 0.5:0.5.

მდგომარეობა ცხრა ტურის შემდეგ: 1. **ტოპალოვი** - 6.5 ქულა; 2. **რაჯაბოვი** - 6; 3-5. **კრამნიკი, სვიდლერი, არონიანი** - 5.5; 6-7. **ანანდი, კარიაკინი** - 5; 8. **პონომარიოვი** - 4.5; 9. **ნავარა** - 4; 10-11. **მოტილიოვი, ტივიაკოვი** - 3.5; 12-13. **ვან ველი, კარლსენი** - 3; 14. **შიროვი** - 2.5.

კალათბურთი

მგლებს მწვრთნელი შეუცვალეს

სამშაბათს, "მინესოტა ტიმბერვულვზის" ხელმძღვანელობამ მთავარი მწვრთნელის პოსტიდან გაათავისუფლა **დუეინ კეისი**. ამ სპეციალისტმა "მგლების" დამრიგებლად წელიწადნახევარი იმუშავა. 2005-06 წლების სეზონში, "მინესოტა" ფლეი ოფში ვერ მოხვდა, მიმდინარე სეზონში კი, კლუბი რვა საუკეთესოთა შორის არ იმყოფება. ყველაფერი ამის გათვალისწინებით, კლუბის შეფობამ კეისისთან თანამშრომლობა აღარ მოინდომა.

დღეიდან, "მინესოტას" მთავარი მწვრთნელი ფუნქციებს კეისის ექს-ასისტენტი **რენდი უიტმენი** შეასრულებს. ამ სპეციალისტს NBA-ში მუშაობის ორი წლის სტაჟი აქვს - 1999-2001 წლებში, მან "კლივლენდს" 164 მატჩში 62-ჯერ გაამარჯვებინა.

კვირის მოთამაშეები

გასულ კვირას, NBA-ის რეგულარული ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშეებად "ფინიქს სანზის" გამთამაშებელი **სტივ ნეში** და "ვაშინგტონ უიზარდსის" ფორვარდი **კერონ ბატლერი** დასახელდნენ.

ნეშმა დასავლეთ კონფერენციაში აჯობა ყველას. ის წინა კვირას ჩატარებულ ოთხ მატჩში, საშუალოდ 15.5 ქულასა და 13.8 შედეგიან გადაცემას (საუკეთესო მაჩვენებელი ლიგაში) აგროვებდა.

რაც შეეხება ბატლერს, მან ნეშის მსგავსად ოთხივე შეხვედრა მოიგო და საშუალოდ მატჩში 23 ქულას, 7.5 მოხსნას, 6.0 შედეგიან გადაცემასა და 2.8 ჩაჭრას უყრიდა თავს.

ჯოში ფანების გინებისთვის დაისაჯა

როგორც სააგენტო AP იუწყება, NBA-ის ხელმძღვანელობამ "ატლანტა ჰოქსის" ფორვარდი **ჯოშ სმიტი** 25 ათასი დოლარით დააჯარიმა იმ უხამსი ყესტების გამო, რომელიც კალათბურთელმა "შარლოტთან" მატჩის დროს, გულშემატკივრებს აკადრა.

ეს ინციდენტი მას შემდეგ მოხდა, რაც სმიტმა მეორე ტექნიკური ჯარიმა მიიღო და ვადაზე ადრე დატოვა მოედანი.

ბრეჟეცი 10 დღეს დაისვენებს

"შარლოტ ბობკატსის" სლოვენიელი ცენტრი **პრიმოჟ ბრეჟეცი**, ზურგის ტრავმის გამო, კიდევ 10 მატჩს გამოტოვებს. ამ კალათბურთელს მონაწილეობა არ მიუღია ბოლო სამ ტურში, რადგან ხერხემლის დისკები აქვს დაძრული, თუმცა, "შარლოტის" ხელმძღვანელობა იტყობინება, რომ ბრეჟეცს ტრავმის სამკურნალოდ ოპერაცია არ დასჭირდება.

რეალს ახალწვეული ჰყავს

ULEB-ის თასის ერთ-ერთმა საუკეთესო მოთამაშემ - **ბლაგოტა სეკულიჩმა,** ამ ტურნირის ფლეი ოფის წინ კლუბი შეიცვალა. სერბმა კალათბურთელმა ბერძნული პაოკი ესპანურ "რეალში" გაცვალა.

ეს გუნდები ULEB-ის თასის პირველ ეტაპზე ერთ ჯგუფში თამაშობდნენ. პაოკ-მა პირველი ადგილი დაიკავა, "რეალმა" - მეოთხე.

სეკულიჩმა "სამეფო კლუბში" ტრავმირებული **რატკო ვარდა** უნდა შეცვალოს. "რეალის" ახალწვეული, ULEB-ის თასზე მეოთხე ადგილზეა მატჩში მოხსნების საშუალო მაჩვენებლით (8.2), ხოლო ქულების მხრივ მისი მონაგარი 13.8-ს შეადგენს.

ჰოკეი

აღმოსავლეთი ძლიერია

"ყველა ვარსკვლავის მატჩამდე" ერთი დღით ადრე, დალასში ჰოკეის ეროვნული ლიგის საუკეთესო ახალგაზრდა მოთამაშეთა შეხვედრა გაიმართა.

ამ მატჩში ყველანი "პიტსბურგის" რუსი ვარსკვლავის, **ევგენი მალკინის** გაბრწყინებას ელოდნენ, მაგრამ ამ სეზონის მთავარმა აღმოჩენამ შეხვედრა ქულის გარეშე დაასრულა, მატჩის საუკეთესო მოთამაშედ კი, "ნიუ ჯერსი დევილზის" ფორვარდი **ზაკ პარიზე** დასახელდა, რომელმაც ორი გოლი გაიტანა და 4 შედეგიანი გადაცემა შეასრულა. აქვე გთავაზობთ ამ შეხვედრის ოქმს.

აღმოსავლეთი-დასავლეთი 9:8 (3:2, 3:1, 3:5)

გოლები: 0:1 კოპიტარი (უებერი, იოკინენი), 1:1 პარიზე (ვანეკი, ლეჰტონენი), 2:1 უიტნი (სტაალი, სტინი), 2:2 იოკინენი (კოპიტარი, ბუდაი), 3:2 მეზაროში (გრინი, სტინი), 4:2 კესელი (რეინჯერი, ვანეკი), 4:3 კოპიტარი (ნადი), 5:3 რეინჯერი (გრინი, პარიზე), 6:3 მეზაროში (სტინი, პარიზე), 7:3 კესელი (გრინი, პარიზე), 8:3 პარიზე (რეინჯერი, კესელი), 8:4 კარლი (ვოლსკი, სტემპნიაკი), 9:4 კესელი (სტაალი, პარიზე), 9:5 გეტცლაფი (კოპიტარი, უებერი), 9:6 გეტცლაფი (კოპიტარი), 9:7 კარლი (სტემპნიაკი, ვოლსკი), 9:8 რადულოვი.

■ ■ ■

გუშინვე ცნობილი გახდა, რომ 2009 წელს, "ყველა ვარსკვლავის მატჩის" მასპინძელი, კანადის ქალაქი მონრეალი იქნება. ასეთი გადაწყვეტილება იქნა მიღებული სამშაბათს, NHL-ის კლუბების გენერალური მენეჯერების შეხვედრაზე.

ამავე შეხვედრაზე კიდევ რამდენიმე საკითხი განიხილეს. კერძოდ, არ შეიცვლება რეგულარული ჩემპიონატის კალენდრის შედგენის პრინციპი, რომლის მიხედვითაც, კლუბებს ზოგიერთ ქალაქში ჩასვლა სამ წელიწადში უწევთ ხოლმე.

NHL-ის კომისარმა **გერი ბეტმენმა** ისიც განაცხადა, რომ არ იგეგმება ლიგის შემადგენლობის გაზრდა.

ოლიმპიზმი

ყველაზე მწვანე ოლიმპიადა

ლონდონის 2012 წლის ოლიმპიადის ორგანიზატორები, ისტორიაში ეკოლოგიურად ყველაზე სუფთა თამაშების ჩატარებას გვპირდებიან. ამის შესახებ, ოლიმპიური ობიექტების მშენებლობათა კომიტეტის მიერ, სამშაბათს გამოქვეყნებულ მოხსენებაში წერია. ამ დოკუმენტის გამოსვლა სიმბოლურ თარიღს დაემთხვა - ლონდონის ოლიმპიადის დაწყებამდე 2012 დღე არის დარჩენილი.

ამ თარიღთან დაკავშირებით, საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდენტმა, ლორდ **სებასტიან კოემ** აუდიორგოლი ჩაწერა ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ **ტონი ბლერთან** ერთად. მასში პრემიერ-მინისტრიც ამახვილებს ყურადღებას მომავალი ოლიმპიადის ეკოლოგიურობაზე და ამბობს, რომ სურვილი აქვს *"ეს იყოს ყველაზე მწვანე თამაშები ისტორიაში".*

ავსტრალიის ღია პირველობა

ნადალი შინ გაუშვეს

მაშასადამე, გაირკვა ყველა იმ ჩოგბურთელის ვინაობა, რომლებიც ავსტრალიის ღია პირველობის ფინალში გასასვლელად იბრძოლებენ. გუშინ ნახევარფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს: გერმანელმა **ტომი ჰაასმა**, ჩილელმა **ფერნანდო გონსალესმა**, ბელგიელმა **კიმ კლაისტერსმა** და რუსმა **მარია შარაპოვამ**.

რაც მთავარია, კაცების ბადეს მოწინავე სამეულის ერთბაშად ორი მეჩოგნე გამოაკლდა - ჯერ ჰაასმა ხუთსეტიან თრილერში აჯობა რუს **ნიკოლაი დავიდენკოს**, მერე კი **როდ ლეივერის** სახელობის კორტი გონსალესსა და ესპანელ **რაფაელ ნადალს** დაეთმოთ. ბევრი სპეციალისტი, მათ შორის წარსულში ცნობილი შვედი მეჩოგნე **მატს ვილანდერი** ვარაუდობდა, რომ შეხვედრა მინიმუმ ოთხ სეტს გასტანდა, მაგრამ შეცდა. ყველასთვის მოულოდნელად, მსოფლიოს მეორე ჩოგანი სამ სეტში დანებდა ჩილელ მეტოქეს, ვინც კარიერაში პირველად გავიდა სასლემო ტურნირის ნახევარფინალში.

"ბედნიერი ვარ, როგორც იქნა, გავიარე დიდი სლემის ტურნირის მეოთხედფინალი, სადაც ადრე რამდენჯერმე წავაგე", - მატჩის შემდეგ განაცხადა გონსალესმა, ვინც ურთიერთშეხვედრებში ნადალს 3:1-ს უგებს, ნახევარფინალში კი ჰაასთან ექნება საქმე. **მარსელო რიოსის** შემდეგ, გონსალესი პირველი ჩილელი მეჩოგნეა, ვინც დიდი სლემის (სლემი ბანქოს ტერმინია და არაფერი აქვს საერთო მუზარადთან) ტურნირის ნახევარფინალში ითამაშებს. შეგახსენებთ, რომ რიოსმა 1998 წელს ავსტრალიის ღიას ფინალს მიაღწია.

მეოთხედფინალის გზაზე ნადალმა ოთხსეტიან ჯახში მოუგო კერკეტ გერმანელ **ფილიპ კოლშრაიბერს**, მერე კი ხუთსეტიან თრილერში დაამარცხა ბრიტანელი ამმავალი ვარსკვლავი **ენდი მარი**. გონსალესმა კი გაცილებით ძლიერი მეტოქეები დაამარცხა - ჯერ ოზ **ლეიტონ ჰიუიტს** აჯობა, შემდეგ კი ამერიკელი **ჯეიმს ბლეიკიც** ზედ მიაყოლა.

აღსანიშნავია, რომ ნადალთან შეხვედრის წინ გონსალესს ამ სეზონში წაგება არ ჰქონია. მატჩის დაწყებისთანავე მან შემტევი სტილი აირჩია და არც შემცდარა. ჯერ ერთი, ძლიერი მოწოდებით ბომბა ესპანელი, მეორეც, ხაზიდანაც უფრო მრავალფეროვნად ირჯებოდა. შედეგად, მან 10 ეისი მოაწოდა და თავისი აქტიურობითაც 41 ქულის აღება შეძლო. შედარებისთვის, ნადალმა აქტიურობით მხოლოდ 14 ქულას მოუყარა თავი და ერთადერთი ეისი მოაწოდა.

" ფერნანდო ძალიან ძლიერი ჩოგბურთელია. ის თითქმის ყველაფერს შესანიშნავად აკეთებდა. მე კი პრობლემები მქონდა. ორივე ფეხში სპაზმები მაწუხებდა, რის გამოც სირბილიც კი მიჭირდა. ჰოდა, რა უნდა მექნა, როცა ბურთის მისაღებად კორტის ერთი კუთხიდან მეორესკენ გადარბენა ხშირად მიწევდა",- განაცხადა ნადალმა, ვინც ამ სეზონში მესამე მარცხი იწვნია.

ესპანელმა, როცა იგრძნო, რომ მეტოქის მაღალ ტემპს ვერ უმკლავდებოდა, ხრიკს მიმართა - სხვადასხვა მიზეზით, მან რამდენჯერმე ალოდინა გონსალესს, რათა ამის ჟინი დაეცხრო, მაგრამ სასურველ მიზანს ვერ მიაღწია. ამის მიზეზი კი ის იყო, რომ ჩილელის აგრესია მას შეცდომების დაშვებას აიძულებდა.

მესამე სეტის მეორე გეიმში ნადალმა კიდევ ერთხელ გაიბრძოლა და ბრეიკსაც კი მიაღწია, მაგრამ გონსალესმა უმალ დაუბრუნა ხურდა. ესპანელმა, როცა მიხვდა, რომ ყველანაირი საშუალება ამოწურა, ტრავმული პაუზა მოითხოვა, რომ მეტოქე რიტმიდან ამოეგდო, მაგრამ არც ამან უშველა. პირიქით, ამან უფრო დააჩქარა მისი წაგება. მოკლედ, გონსალესს მოსაგებად ორ საათზე ნაკლები დასჭირდა.

გაცილებით რთული თამაში მოიგო ჰაასმა. გადამწყვეტი სეტის დასაწყისში, ის 1:3-ს აგებდა, მეათე სეტში კი დავიდენკოს მატჩ პოინტიც კი ჰქონდა, მაგრამ გერმანელმა შეძლო განსაცდელისგან თავის დაღწევა, ეს ქულაც იხსნა და მომდევნო გეიმში თავად შეძლო ბრეიკის აღება, რის შემდეგაც გამარჯვება აღარ გასჭირვებია.

მოკლედ, მან რუსისგან აშშ-ის შარშანდელი ღია პირველობის მეოთხედფინალში ნაგემი მარცხისთვის სრულფასოვანი რევანში აიღო.

პირველ ორ სეტში ჩოგბურთელებმა თითო ბრეიკი იმყოფინეს მოსაგებად. შემდეგ კი დავიდენკომ, ვინც ავსტრალიის ღიას მეოთხედფინალის გავლა ზედიზედ მესამედ ვერ შეძლო, საკმაოდ იოლად (33 წუთში) მოიგო მესამე სეტი. თუმცა, იქვე გერმანელისგან საკადრისი პასუხი მიიღო. ეგაა, ჰაასს მეოთხე სეტის მოსაგებად ერთი წუთით მეტი დასჭირდა.

აღსანიშნავია, რომ გერმანელის პირველ მატჩ პოინტზე, დავიდენკოს მიერ დარტყმული ბურთი ლაინსმენმა აუტად შეაფასა, რაზეც რუსმა ვიდეოგანხილვა მოითხოვა. ჩანაწერზე კი გამოჩნდა, რომ ბურთი კორტში ჩავარდა. მაგრამ მომდევნო მოწოდებაზე, გერმანელმა მორიგი მატჩ პოინტი გამარჯვების ქულად აქცია.

შარშანდელივით, კლაისტერსმა ტურნირი კვლავ მეოთხედფინალში დაატოვებინა შვეიცარიელ **მარტინა ჰინგისს**. ეს შეხვედრა ორივე მხრიდან დაშვებული უამრავი შეცდომით გამოირჩეოდა. განსაკუთრებით ხშირად კი ბელგიელი სცდებოდა, რომელმაც სამ სეტში 62 უნებლიე შეცდომა დაუშვა. თუმცა, დიდი მონდომების ხარჯზე ახერხებდა ფონს გასვლას და მელბურნ პარკზე თავისი ბოლო გამოსვლა (ამ სეზონის ბოლოს ის კარიერას დაასრულებს) ნახევარფინალამდე გააგრძელა.

"ერთადერთი, რაც დღეს გამომდიოდა, მონდომება და ყველა ქულისთვის ბრძოლა იყო. ბურთს წესიერად ვერც კი ვხედავდი. ასე თუ ვითამაშე, მარის წინააღმდეგ მცირე შანსი მექნება. ისიც ყველა ქულისთვის ბოლომდე იბრძვის და იოლად არაფრის დამთმობი არაა. ვიმედოვნებ, რომ მასთან შეხვედრაში გაცილებით ნაკლები შეცდომა მექნება", - განაცხადა კლაისტერსმა, ვინც ტურნირზე პირველი სეტი სნორედ ჰინგისთან შეხვედრაში დათმო.

შარაპოვამ კი რუსეთის სახელით მოასპარეზე **ანა ჩაკვეტაძეს** მოუგო. იოლი შეხვედრა არც მას ჰქონია. მსოფლიოს აწ უკვე პირველმა ჩოგანმა, ორივე სეტში მეტოქეს თითო ბრეიკის საშუალება მისცა, თუმცა ორივე შემთხვევაში, საქმის გამოსწორება შეძლო. ოღონდ, პირველში მოსაგებად ტაიბრეიკი დასჭირდა.

ჩაკვეტაძემ კარგად ითამაშა, მაგრამ ისეთ მარტივ სიტუაციებში სცდებოდა, რომ განთესილ ჩოგბურთელს არ ეკადრება. სტაბილური თამაშით არც შარაპოვა გამოირჩეოდა. მეტადრე კი გადამწყვეტ მომენტებში ცდებოდა. თუმცა, კლაისტერსის მსგავსად, ბრძოლისუნარიანობითა და შემართებით ახერხებდა შეცდომებით გამოწვეული დანაკარგების ანაზღაურებას.

მერაბ ლორთქიფანიძე

გონსალესი პირველად გავიდა დიდი სლემის ტურნირის ნახევარფინალში

კაცები. 1/4 ფინალი

ფერნანდო გონსალესი (10) - რაფაელ ნადალი (2) 6:2, 6:4, 6:3

ტომი ჰაასი (12) - ნიკოლაი დავიდენკო (3) 6:3, 2:6, 1:6, 6:1, 7:5

ქალები. 1/4 ფინალი

მარია შარაპოვა (1) - ანა ჩაკვეტაძე (12) 7:6(5), 7:5

კიმ კლაისტერსი (4) - მარტინა ჰინგისი (6) 3:6, 6:4, 6:3

ინტერვიუ სერენა უილიამსთან

საკუთარი გვარის გაგება მომენატრა

სეზონის პირველი სასლემოს ერთ-ერთ უმთავრეს მოვლენად სერენა უილიამსის შესანიშნავი თამაში იქცა. დიდი სპორტიდან მხოლოდ მისთვის ცნობილი მიზეზებით გაუჩინარებულმა შავკანიანმა მეგავარსკვლავმა, დაბრუნება ნახევარფინალში გასვლით აღინიშნა, თუმცა მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი ამით დაკმაყოფილებას არ აპირებს და მხოლოდ ჩემპიონობისთვის ბრძოლას გეგმავს. მეოთხედფინალში, უმცროსმა უილიამსმა დაძაბულ ბრძოლაში შაარ პეერი დაამარცხა, მესამე სეტი 8:6 მოიგო და ეს მიუხედავად იმისა, რომ ამერიკელმა უამრავი უნებლიე შეცდომა დაუშვა. ნახევარფინალურ შეხვედრამდე, რომელშიც უილიამსი ჩეხ ნიკოლ ვაიდიშოვას ხვდება, სერენას ESPN.com-მა ინტერვიუ ჩამოართვა, სადაც ის მიმდინარე ტურნირზე, თავისი უფროსი დის შესაძლო დაბრუნებასა და კიდევ სხვა თემებზე საუბრობს.

- სერენა, მეოთხედფინალში წაგებამდე ორად ორი ქულა გაშორებდათ. რას გრძნობდით იმ მომენტში?

- რა უნდა მეგრძნო?! საკუთარ თავზე საშინლად გაბრაზებული ვიყავი. მთელი ბოლო პერიოდის განმავლობაში გაწეული შრომა წყალში უნდა გადამეყარა. თანაც, ვგრძობდი, რომ პეერი იმდენად აღარ იყო საკუთარ თავში დარწმუნებული, როგორც წინა გეიმებში. ერთი უნებლიე შეცდომა, გაფუჭებული სმეში, ორმაგი შეცდომა - მეტოქე აშკარად ღელავდა. დიდ ჩოგბურთში უკვე იმდენ ხანს ვტრიალებ, რომ ასეთ ეპიზოდებში საუკეთესო გამოსავლის მოძებნა არ გამჭირვებია. თამაში უფრო აგრესიული გავხადე და ალბათ, სწორედ ამან გადამარჩინა. ისე, პეერს ჩემი კომპლიმენტები მინდა მივუძღვნა. მან საოცარი ჩოგბურთი ითამაშა.

- ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს შეხვედრა ზედმეტად ნერვიულად დაიწყეთ.

- ეს თქვენ იცით. მართლა ასე ჩანდა?

- დიახ, აშკარად.

- შეიძლება, ვერაფერს გამოვრიცხავ. ნუ დაგავიწყდებათ, რომ ავსტრალიის ღია პირველობამდე ძალიან დიდი ხანი გამიცდა, ჩოგბურთი კი ერთ ადგილზე არ დგას, მუდამ წინ მიდის. პეერის წინააღმდეგ ადრეც მითამაშია და ვიცოდი, რომ ამ გოგოს პრო-ტურზე ერთ-ერთი საუკეთესო ფორჰენდი ჰქონდა. იმაშიც ვიყავი დარწმუნებული, რომ ადრე თუ გვიან, იგი ანერვიულდებოდა და ეს შანსი ეგრევე უნდა გამომეყენებინა.

- მესამე სეტში 4:1 გახვედით წინ და კინაღამ წააგეთ. "ძველი" სერენა მეტოქეს ასეთ დიდ ფორას არ გააბათილებინებდა.

- ჰოდა, თქვენ იმ "ძველ" სერენას უქომაგეთ, მე კი ახალს დავუჭერ მხარს.

- როგორ გგონიათ, თქვენ უფრო მოგენატრათ დიდი ჩოგბურთი, თუ ჩოგბურთს უფრო დააკლდა სერენა უილიამსი?

- ალბათ, მე უფრო მომენატრა. გადახედეთ თანამედროვე "ვარსკვლავებს". მათგან 10 და მეტი ტურნირი მხოლოდ საუკეთესოებს აქვთ მოგებული, დანარჩენები კი ისე - ბალასტია. ერთი ან ორი ნახევარფინალი, დიდ სლემზე გამართლების შედეგად მიღწეული წარმატება (მაქსიმუმ, მეოთხედფინალი) და მოთამაშე უკვე ვარსკვლავად ითვლება! რა სისულელეა! თავის დროზე, ჰინგისისთვის, დავენპორტისთვის ან ჩემი დისთვის რომ არ მომეგო, საკუთარ თავს დიდ მოთამაშედ ვერასოდეს ჩავთვლიდი, დღეს კი, ყველაფერი გამარტივდა. მოუგე პირველი ოცეულის მოთამაშეს? ძალიან კარგი! მეორე დღეს, რომელიმე დიდ გაზეთში შენზე ისე საუბრობენ, თითქოს უიმბლდონის ფინალში შტეფი გრაფი ან მარტინა ნავრატილოვა დაგემარცხებინოს. თანაც, ჩემს კოლეგებს ალალად სჯერათ, რომ ისინი ისეთები არიან, რომ ჩოგბურთი მათ გარეშე ვერ გაძლებს. ჩოგბურთი ჰინგისის გარეშე გაფერმკრთალდა, ხოლო სხვები კი მარტინასთან, ჩემთან, კიმთან, ჟუსტინთან ახლოს სახსენებლებიც არ არიან. ცხადია, ყველას პატივს ვცემ, მაგრამ ზოგიერთი "ვარსკვლავის" სიძლიერეში ალალად მეპარება ეჭვი.



სერენა უილიამსი

- ვენუსს როდისთვის უნდა ველოდოთ?

- მას მარჯვენა კოჭი აწუხებს, თუმცა, ბოლო ერთი თვის განმავლობაში ჩემი და მაინც აქტიურად ვარჯიშობს და არ არის გამორიცხული, იგი თებერვალში რომელიმე ტურნირზე, თუნდაც წყვილებში რომ გამოვიდეს. ვნახოთ, ჯერ არაფერია გადაწყვეტილი. ვენუსს დაბრუნება სურს და მჯერა, რომ სულ მალე, მე და ჩემი და პირველ ათეულში ისევ შევალთ.

- მხოლოდ ათეულში?

- ჯერ ათეულში, მერე კი უფრო წინ.

- ვისი თამაში მოგეწონათ ყველაზე მეტად?

- საკუთარი თავის. ნამდვილად არ მეგონა, თუ ასე კარგად ვითამაშებდი. მარტინაც ძალიან კარგია. მჯერა, რომ წელს საინტერესო ფინალი იქნება. უილიამსთან ერთად თუ მის გარეშე, ამას დიდი მნიშვნელობა არ აქვს. მთავარია, წინ მართლაც საუკეთესოები მივიწევდეთ და ქალებში გაცვეთილი ვარსკვლავები აღარ შემორჩნენ. ტურნირის დასრულების მერე, საკუთარი გვარის გაგონება მომენატრა. ქალბატონებო და ბატონებო, ტურნირის ჩემპიონი, სერენა უილიამსი! თქვენ არ მოგენატრათ?

ზურაბ თალაკვაძე

TV სპორტი

25 იანვარი. ხუთშაბათი

SPORT 1 (უკრაინა)

08:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ვილიარეალი-სევილია.
09:50 სპორტდოსიე.
10:00 სპორტინფორმი.
10:11 ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. მიმოხილვა.
11:05 სპორტინფორმი.
11:17 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბეტისი-ბარსელონა.
13:05 ჰოკეი. ALL STAR-ის უიქ ენდი. ახალგაზრდა ვარსკვლავთა მატჩი.
15:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ატლეტიკო-ოსასუნა.
16:45 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
17:36 კრივი. რინგ-საიდი.
18:32 ჩოგბურთი. WTA. ფინალი. ჰობარტი. ავსტრალია.
20:30 სპორტინფორმი.
20:45 ჰოკეი. ALL STAR-ის უიქ ენდი. ყველა ვარსკვლავის მატჩი.
22:40 სპორტინფორმი.
22:53 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
23:19 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
23:45 სპორტინფორმი.
23:58 ფეხბურთი. ინგლისის თასი. 1973 წელი. ფინალი. სანდერლენდი-ლიდსი.
01:45 სპორტინფორმი.
01:55 კრივი. ნოკაუტების დრო.
02:44 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბეტისი-ბარსელონა.
04:29 ჩოგბურთი. WTA. ფინალი. ჰობარტი. ავსტრალია.
06:25 ჰოკეი. ALL STAR-ის უიქ ენდი. ყველა ვარსკვლავის მატჩი.

EUROSPORT

09:30 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. ქალები. 1/2 ფინალი.
11:30 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. მამაკაცები. 1/2 ფინალი (LIVE).
15:30 ფიგურული სრიალი. ევროპის ჩემპიონატი. ორიგინალური ცეკვები. ვარშავა. პოლონეთი (LIVE).
19:15 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. მამაკაცები. 1/2 ფინალი.
20:30 ფიგურული სრიალი. ევროპის ჩემპიონატი. მამაკაცები. თავისუფალი პროგრამა. ვარშავა. პოლონეთი (LIVE).
00:30 ბოულსი. მსოფლიო ჩემპიონატი.
02:00 ბრძოლა წესების გარეშე.

EUROSPORT-2

09:30 ახალი ამბები.
12:00 ზამთრის უნივერსიადა. სნოუბორდი. ტურინი. იტალია (LIVE).
13:30 ზამთრის უნივერსიადა. ჰოკეი.
14:30 ზამთრის უნივერსიადა. სნოუბორდი. ტურინი. იტალია (LIVE).
15:30 ახალი ამბები.
16:00 ზამთრის უნივერსიადა. ჰოკეი.
18:00 ზამთრის უნივერსიადა. სნოუბორდი.
19:00 ტრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი.
20:00 ახალი ამბები.
20:30 სნოუბორდი.
21:00 ფრისტაილი. მსოფლიო თასი.
21:30 ახალი ამბები.
22:00 ზამთრის უნივერსიადა. ჰოკეი.
23:00 ტრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი. გრანადა. ესპანეთი.
00:00 ზამთრის უნივერსიადა. სნოუბორდი. ტურინი. იტალია.
01:00 ახალი ამბები.
01:15 ზამთრის უნივერსიადა. ჰოკეი.
02:15 ახალი ამბები.

ცხელი ხაზი

ფეხბურთი

ესპანეთი

ბეტისი-ბარსელონა	1:1

იტალია

კალიარი-ეფოლი	2:1

იტალიის თასი

1/2 ფინალი. I მაგჩი

სამპდორია-ინტერი	0:3

ინგლისის ლიგის თასი

1/2 ფინალი. I მაგჩი

ბოლტონი-არსენალი	2:2

პოლანდიის თასი

1/8 ფინალი

უტრეხტი-როტერდამი	1:0
სპარტა-ეინდჰოვენი	2:2 დ.დ. 2:3
გრონინგენ-ბრედა	1:2
ალკმარი-ეაარლემი	4:0

საბერძნეთის თასი

კერკირა-ლარისა	0:0

საფრანგეთი

მარსელი-ოსერი	3:1
ლილი-ბუკ	1:0
ლორიანი-ლანსი	1:0
მონაკო-რენი	0:2
ნიცა-ტულუზა	0:1
სოშო-სედანი	1:1
ბრეტ-ნანტი	1:0
ვალანსი-ლე მანი	1:1
ლიონი-ბორდო	1:2

კალათბურთი

ევროლიგა

ციბონა-ხეზენგელი	77:74
პანათინაიკოსი-პარტიზანი	80:93
ბაუ-პრეკომი	76:64
ულიასა-რომა	68:66
კლიმამიო-ეფესი	74:76
ბენეტონი-პო ორტეზი	87:66

ხელბურთი

მსოფლიო ჩემპიონატი

უნგრეთი-ჩეხეთი	28:25
ისლანდია-ბუნისი	36:30
ესპანეთი-რუსეთი	33:29
ნორვეგია-ეგვიპტე	27:18
ხორვატია-დანია	28:26
გერმანია-სლოვენია	35:29
საფრანგეთი-პოლონეთი	31:22

კარგი, ვილაპარაკოთ ფეხბურთზე...

ფოტო: კოტორა

ირაკლი ბერიაშვილი

3 ის რა გვახსოვს იმ დროიდან? მე - თითქმის არაფერი. რატომღაც კალათბურთი უფრო დამამახსოვრდა ტელევიზორიდან. და რატომღაც არა "დინამო", არამედ - "ბურევესტნიკი", ჩვენი მეორე გუნდი - გლურჯიძე, მანაგაძე, ჯუღელი... რა თქმა უნდა, სერგო კოვალენკო, 2 მეტრი და 15 სანტიმეტრი. მერე, ცნობარში რომ ვნახე, უცნაური რამ ეწერა - დაიბადა ამა და ამ წელს, ქალაქ პორტ-არტურში...

ფეხბურთის რეპორტაჟებიდან რატომღაც ეროსი მანჯგალაძის ხმა და ოხუნჯობები უფრო დამამახსოვრდა. - როგორ, შენ გგონია, ჩვენ იქ, პორტ არტურში ეკალას ვკრეფდით?

არა, ეს იქიდანაა. ერთი, ხვალ რომ მოვა, ბუხრიკიძეს უნდა ვთხოვო, რომ იქნება სადმე კინორეცენზია დამაბეჭდინოს და მოვისვენებ. გაცვლითი პროგრამით. თვითონ ხომ ვაწერინებ სპორტზე? აი, ასე იცის რამსების... ბოდიში, ჟანრების აღრევამ (ბარემ არ დამავიწყდეს: ხვალ არტ-კრიტიკოსი დავით ბუხრიკიძე დაწერს ფიგურულ ციგურაობაზე).

და ახალი ავტორების ძიებამ. დღეს მე და პაატა ორსაათნახევარი ვესაუბრეთ ერთ კაცს. ჩემს ყოფილ კოლეგას და ახლა სპორტის ერთი სახეობის სპეციალისტს. გვინდა, რომ ამ საქმეში ჩავაბათ. ორივენი სულ პირდაღებულები ვუსმენდით - გეოლოგი რომ რაღაც დიდ საბადოს აღმოაჩენს, იმ მდგომარეობაში. მოლაპარაკების პირველი ეტაპი დასრულდა. პოზიციები შევაჯერეთ, როგორც პოლიტიკოსები იტყვიან და დავნიშნეთ მეორე რაუნდი. კონსენსუსს თუ მივაღწიეთ და რაც ილაპარაკა, დავაწერინეთ, ძალიან მაგარი იქნება.

მაგრამ, ამასობაში დამავიწყდა, დღეს რაზე უნდა დამეწერა. გაბრუებული ვიყავი. ა, რეცენზიაზე. კინოზე არა, ფეხბურთის რეცენზიაზე! უფრო სწორედ, იმ კაცზე, ვინც ეს ჟანრი თუ დარგი შექმნა ჩვენს სპორტულ პრესსაში. ეხლა დაიმორცხვებს, მე რა შუაში ვარ და ჩემამდე არსებობდაო, რეებს ბოდიალობო...

რა თქმა უნდა, მაგასაც ვინმესგან ექნება ნასწავლი, მაგრამ, მე და ჩემი თაობის სპორტულ ჟურნალისტებს, შუახნის ხალხს, უფრო ძველი არ წაგვიკითხავს, ან თუ წაგვიკითხავს, პატარები ვიყავით... ერთხელ ბაბუნაშვილმა მითხრა - ირაკლის დაწერილი ფეხბურთის რეცენზიები დღესაც, ოცი წლის შემდეგაც მახსოვსო და მეც დავუდასტურე.

ირაკლის ერთი ნაწერი, ბაკურიანიდან, უკვე წაიკითხეთ ამ გვერდზე. ფეხის ათრევა იცის ხოლმე, ამიტომ მეორე თემა მე თვითონ მოვუგონე და შევთავაზე: დაგვიწერე, როგორ იწერება ფეხბურთის რეცენზია!

წაიბუზღუნა, ხომ იცი, რომ ვთარგმნი და თან ჩემსასაც ვწერ რაღაცას, ეგ საქმე აღარ მაინტერესებსო, მაგრამ ორ დღეში გამოაგზავნა. მართალია, სიტყვა რეცენზიას არც ახსენებს და ანგარიშს, ხანაც რეპორტაჟს უწოდებს, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს. ეხლა ეგ თამაშიც გამახსენდა, ცეესკასთან და ის რეცენზიაც, მაგ თამაშზე. ოცდაათი წლის შემდეგ. ოღონდ, გელაშვილმა დააზუსტა, 76 კი არა, 77 წელი იყოო.

მოკლედ, გვიახლოვდება თურქეთთან მატჩი, მეგობრებო! ნამდვილად ვერ დაგპირდებით, რომ ირაკლი ბერიაშვილს სტადიონზე წავიყვანთ და მერე თამაშს გავარჩევინებთ. თხილამურებით ჩამოსრიალება ურჩევნია კოხტაგორიდან, მაგრამ იქნებ, შთაბეჭდილებები დავაწერინო. ტელევიზორიდან...

და ახლა გამახსენდა, რატომ ვახსენე სიტყვა პორტ არტურიც. არაჩვეულებრივი გამოფენა! ხომ დაგპირდით, რომ ამ გვერდზე ფოტოგამოფენასაც გავხსნით მეთქი. აი, ტელევიზორის ფეხბურთიდან ეს კაცი მახსოვს. ბუნდოვნად - გაქცევა, მოძრაობა, აღნაგობა. სილუეტი, მოკლედ. და ფეხბურთიდან გაცილება. ბიჭიც ყველას გეხსომებათ.

კოტორა წარმოგიდგენთ...

მამუკა ჩიხლაძე
კომენტატორი

ეს ბოლო ათი-თხუთმეტი წელიწადი როგორღაც გავციოდი, გულგრილი გავხდი ფეხბურთის მიმართ. მიზეზიც ერთი შეხედვით, ყოველ შემთხვევაში ჩემთვის მაინც, გასაგები იყო - ნაკრებისა და საერთოდ ჩვენი ფეხბურთის უკუსვლა თუ არა, ერთი ადგილის ტკეპნა მაინც.

ადამიანის სისულელეებსა და შეცდომებს საზღვარი არა აქვს. ამას პირველი აბზაცის დაწერისთანავე მივხვდი:

ამდენი წლის შემდეგ ისევ ერთმანეთის პირისპირ ვსხედვართ, მე და შენ, მე - ეგრეთ წოდებული "ფეხბურთის საგაზეთო კომენტატორი" და შენ - ამ თამაშის მოუსყიდავი და ერთგული გულშემატკივარი. დაწყვეტილი ძაფები თითქოს ისევ გაიბა და ამ არაჩვეულებრივი ურთიერთობის პირველი ნიშანიც იქვე გაჩნდა - მკლავებზე ბუსუსებმა დამაყარა.

შენ ისევ მანდ ხარ და არც ფეხის მოცვლას აპირებ? გინდა თქვა, რომ მსგავსი არაფერი დაგმართნია? ძალიან კარგი. მაშინ ისღა დაგვრჩენია, ვილაპარაკოთ ფეხბურთზე... არა, გუნდზე არა, ეს სამომავლოდ გადავდოთ. მოდი, ჯერ ფეხბურთთან ჩვენი ურთიერთობა გავარკვიოთ. რა უცნაურია - იმდენ ხანს ვწერდი ფეხბურთზე და ერთხელაც არ მომსვლია თავში ეს თემა.

იმ დღეს ქულა თუ სულაც ორი ქულა დავკარგეთ. მაგრამ მთავარი მაინც ის იყო, რომ ბასამ - ვანიჩკას თქმისა არ იყოს, მოფერებით ასე ვეძახდით ავთანდილ ღოღობერიძეს - ორი თერთმეტმეტრიანი გამაზა. ორი პენალტი ერთ მატჩში! კაციშვილს არ დაუსტვენია ტრიბუნაზე. თამაში დამთავრდა, ტრიბუნა თითქმის დაიცალა, მე კი ვიჯექი და ვტიროდი. თოთხმეტი წლისა ვიყავი. ორი წლის შემდეგ მოსკოვის "ტორპედოსთან" თასის ფინალის შემდეგ ისევ ამომიჯდა გული - ძალით გამოგვგლიჯეს გამარჯვება. კარგა დიდი ხნის წინათ ბელადს ნათქვამი ჰქონდა, რომ ყველაფერში რუსები უნდა იყვნენ პირველებიო, რასაც ყველა სფეროში და, ცხადია, სპორტშიც ხუთიანზე ასრულებდნენ და დღემდე ეგურგურებიან გულის ფიცარზე ამოჭრილ დანაბარებს.

მიუხედავად ამ ყველაფრისა, მაინც კარგი დრო იყო. თბილისის "დინამოს" თამაშის დღე ლამის სადღესასწაულო დღეებს - 7 ნოემბერს, ახალ წელსა და 1 მაისს უთანაბრდებოდა. ნამდვილი გულშემატკივარი ვიყავი. გულშემატკივარს კი, მოგეხსენებათ, გული ყელში აქვს მიბჯენილი. ამიტომაც ტირის, იცინის, ყვირის, იგინება... სტადიონის ეს საოცარი გუგუნი, ეს საოცარი ერთიანობა, სიხარულის, სევდისა და აღტაცების - სიცოცხლის ეს საოცარი შეგრძნება... არა, სიტყვებით ძნელია ამის გადმოცემა...

სამწუხაროდ, ერთ მშვენიერ დღეს ეს ყველაფერი დასრულდა.

გაზეთ "თბილისში" ვმუშაობდი შტატგარეშე კორესპონდენტად. ერთბაშად ორი წინადადება მივიღე - ჯერ "სოფლის ცხოვრებიდან", მერე კი "ლელოდან". კაკაბეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარის ქალიშვილი ტრაქტორზე დამჯდარიყო და ნარკვევის დაწერა მთხოვეს. თავმჯდომარის ქალიშვილთან ერთად ტრაქტორითაც ვისეირნე და, უარზე კი ვიყავი, მაგრამ თავმჯდომარის ვაჟის "ნივით" კარგა "დატვირთულიც" ჩამომაცილეს სახლამდე. პერსპექტივა ნათელზე ნათელი იყო: ნარკვევების წერა აღმასკომისა და კოლმეურნეობების თავმჯდომარეებზე, სოციალისტური შრომის გმირებზე, ან უარეს შემთხვევაში მათ სიდედრებზე თუ არა, სიძეებზე მაინც.

"ლელოში" 120 მანეთი ხელფასის გარდა არაფერს მთავაზობდნენ. თუმცა, როგორ არა. მაგალითად შეზღუდულ ტირაჟს - რა მოთხოვნაც არ უნდა ყოფილიყო, ცეკას გაზეთების ტირაჟს ვერ გადააჭარბებდა. ამიტომ დახლს ქვემოდან იყიდებოდა გაზეთი. "ლელოს" გრაფიკიც შეზღუდული ჰქონდა. ეგ რაღაა? რა და, "კომუნისტზე" ადრე უნდა დაბეჭდილიყო, რომ სპორტული ინფორმაციაც რესპუბლიკის მთავარ გაზეთზე ნაკლები ჰქონოდა. ისე, სიტყვა "საქართველოს" ხსენება აქაც აკრძალული იყო.

ბევრი არ მიფიქრია და "სოფლის ცხოვრებას" სპორტული ცხოვრება ვამჯობინე.

გაზეთში სახეობები დანაწილებული ჰქონდათ. ფეხბურთი ბიჭიკო ქორქიას ებარა. საქმეში მეტისმეტად აკურატული, პუბლიკაციებში კი სადა და სიტყვაძუნწი იყო. საიდან გამოტყვრა, ან როგორ მიაგნო - თუ არ ვცდები, ნევროზი შეეყარა. ავადმყოფობა გაუგრძელდა და რედაქტორმა მე დამავალა ანგარიშის დაწერა.

იმ დღიდან გავჩუმდი. არა, ლაპარაკი არ დამვიწყებია, თამაშის დროს აღარ ვიღებდი ხმას. ისე, კაცმა რომ თქვას, არც მეცალა - კუთხურებს ვითვლიდი, საჯარიმოებს ვითვლიდი, კარში დარტყმებს ვითვლიდი. ათ წუთში ფეხბურთელების განლაგების სქემა დახაზული მქონდა, ზუსტად ვიცოდი, ვინ ვის მეურვეობდა. ჟურნალისტთა ლოჟაზე თავიდანვე უარი ვთქვი. ეს რაღაცნაირად გამოწვევასაც ჰგავდა, მაგრამ ჩრდილოეთის ტრიბუნის მეორე იარუსიდან ვამჯობინე თამაშის ყურება. მოკლედ, გულშემატკივრებში კი ვიჯექი, მაგრამ აღარც გულშემატკივარი ვიყავი ამ სიტყვის პირდაპირი და სრული გაგებით. თუმცა ერთი რამ პირველი რეპორტაჟიდანვე გადავწყვიტე — ერთ-ერთზე, მოწმეების გარეშე მელაპარაკა ფეხბურთის ქომაგთან. მაშინ ნოდარ გუგუშვილის საკალათბურთო რეპორტაჟების გარდა თითქმის ყველა ნაწერს ცეკას ან სპეციალისტებისკენ ცალი თვალით ცქერის კვალი აჩნდა. პროფესიონალებზე, ექსპერტებზე დაყრდნობაში ცუდი არაფერია, მაგრამ რადგან საკუთარ გვარს ვაწერდი, აზრებიც ჩემი მინდოდა ყოფილიყო. მოკლედ, მე თვითონ უნდა გავმხდარიყავი პროფესიონალი.

1976 წელი. "დინამო" თბილისი-ცსკა. "დინამო" - 4-3-3. პირველ ტაიმში მოსკოველებმა მინდვრის შუაგულის მარჯვენა ფლანგზე რიცხობრივი უპირატესობის შექმნა მოახერხეს. ამას ჩვენს კარში ორი გოლი მოჰყვა. მეორე ტაიმში "დინამოს" ერთი თავდამსხმელი ნახევარმცველით(!) შეიცვალა. ჩვენებმა ორივე გოლი გაქვითეს და მატჩი ფრედ დასრულდა. ეს ყველაფერი იმდენად ნათელი და მარტივი იყო, რომ სულ თხუთმეტ წუთში გავაშანშალე რეპორტაჟი. თუმცა ზემოხსენებული შეზღუდული გრაფიკის გამო, მინდოდა-არ მინდოდა, ნახევარ საათში უნდა ჩავტეულიყავი.

სამი თამაშის მერე ნოდარ ახალკაცთან ინტერვიუ დამავალეს. ვუთხარი, საიდანაც ვიყავი და სანამ რამეს ვკითხავდი, ფეხბურთი ასე კარგად საიდან იციო.

- უბნის გუნდი გვყავს, ქალაქის ჩემპიონატში ვთამაშობთ...

- ქალაქის ჩემპიონატში კი არა, ნაკრებში თამაშობენ, თამაშის ნაკითხვა კი არ შეუძლიათ.

მხრები ავიჩეჩე.

მერეღა გავიგე: მაშინ გუნდის მწვრთნელებად თანაბარი უფლებებით იყვნენ... N და ნოდარ ახალკაცი. პირველი ტაიმი სხვისი სქემით ითამაშა გუნდმა, მეორე - ახალკაცის.

"დინამოს" სახელოვანი მწვრთნელის კომპლიმენტს მერე და მერე უფრო დაედო ფასი, გუნდს ხშირად დავყვებოდი სხვადასხვა ქალაქებში, რეპორტაჟების წერაც მომწონდა, მაგრამ...

მაგრამ როცა ჩემს გაპროფესიონალებამდე დროს ვიხსენებ, იმ დასკვნამდე მივდივარ, რომ არც თამაშის წაკითხვის ჩვევა და არც ექსპერტობა არ ღირს იმად, რაც სამუდამოდ და მოუბრუნებლად დავკარგე.

ჩემდა სამწუხაროდ, გულშემატკივარი აღარ ვარ. ამიტომ აღარც ცრემლი მადგება თვალზე და ვეღარც თოთხმეტი წლის ბიჭივით ვხტუნაობ, როცა გოლი გადის მეტოქის კარში.

ასე რომ, გაუფრთხილდი პროფესიას, ჩემო კარგო.

სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაგეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაბაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კოგა ხატისაშვილი
გესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა გიგილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ გალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცველიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კოგა გელაშვილი

კორექტორა
ლელა ხომასურიძე
ლევან გიგილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდგორიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ეგანოვიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ გასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1984-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი: საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14, 0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10ᵃ, 0159 თბილისი (დილომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge; gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოლის ყოველდღე, გარდა კვირისა